სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 14 სექტემბერი 2000 №177 (1199) | ფასი 50 თეთრი

ელგუჯა ბერიშვილი

სიდნეიდან

«თამაშები» თამაშებამდე

ოლიმპიური თამაშები „გაიხსნა“!

სიდნეის მთავარ სტადიონზე ოლიმპიური ცეცხლი აგიზგიზდა და ოლიმპიადის დედაქალაქის ცა ზღაპრულმა ფოიერვერკმა გააჩირაღდნა. 110 ათასი მაყურებელი ტაშით მიეგება საზეიმო აღლუმის მონაწილეებს, რომელთაც, წესისამებრ, საბერძნეთის დელეგაცია მიუძღოდა. დანარჩენები — ანბანის მიხედვით. შემდეგ იყო საორგანიზაციო კომიტეტისა და სოკ-ის პრეზიდენტთა მისასალმებელი სიტყვები და პრემიერის ასევე სავალდებულო წინადადება: „გახსნილად ვაცხადებ სიდნეის თამაშებს, თანამედროვე ეპოქის XXVII ოლიმპიადას“. ამას მოჰყვა ოლიმპიური დროშა და ცეცხლი, საზეიმო ფიცი სპორტსმენთა და მსაჯთა სახელით, ბოლოს — ავსტრალიის ეროვნული ჰიმნი და უკვე ნახსენები ფოიერვერკი. ეს გრანდიოზული აურზაური 3 საათი, 7 წუთი და 30 წამი გაგრძელდა (წამი წამში ჩაჯდა). მთავარი აღლუმმეისტერი კმაყოფილი ჩანდა, გენერალური რეპეტიციით ყველა მონაწილეს მადლობა გადაუხადა და იმ იმედით დატოვა სტადიონი, რომ ხვალ, 15 სექტემბერს, მართლაც აღლუმზე, ყველაფერი რიგზე იქნება.

ისე, ზემოთ აღწერილ ამბავში ყველაფერი შეთხზული როდია. გენერალურ რეპეტიციაზე მართლაც მოვიდა 110 ათასი კაცი და ტრიბუნაზე ცარიელი ადგილი არ დარჩენილა, თანაც ბილეთში 20 დოლარი გადაიხადეს (ნამდვილ აღლუმზე მოხვედრა გაცილებით ძვირი ღირს — 800-დან 1500 დოლარამდე), „ძირითადი შეადგენლობისა“ გახლდათ ცეკვა-სიმღერაში მონაწილეთა უმრავლესობა და, რაღა თქმა უნდა, აღლუმის პერსონალი. რეპეტიციას „რატომღაც“ აკლდნენ ნამდვილი პრეზიდენტები და სხვა ჩინოსნები, ცეცხლი რომ ცეცხლია, ისიც არ ყოფილა ნამდვილი, საქართველოს „დელეგაციას“ კი, ჩვენი დროშით ხელში, ძალოსან გიორგი ასანიძის ნაცვლად მოცურავე ზურაბ ბერიძე მოუძღოდა.

გიორგი ასანიძე, კიდევ 19 ქართველ ოლიმპიელთან და დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად, ღღეს საღამოს ჩამოფრინდება სიდნეიში. ამავე რეისით ჩამოდიან ჩემი კოლეგები — პრესატელევიზიის ჟურნალისტები. ვიდრე ქართული ოლიმპიური მისიის ხელმძღვანელობა ჩვენებურთა დასახვედრად აეროპორტში გაემგზავრება, მთელი დღე შეხვედრიდან სხდომაზე სირბილი მოუწევთ. ადრე დილით შეფების შეკრებაა დანიშნული, მერე — ტექნიკური სხდომები მშვილდოსნობასა და ტყვიის სროლაში, სადაც ათას წვრილმან-მსხვილმანზე იმსჯელებენ. ღღესვე გაირკვევა ფრიად მნიშვნელოვანი ამბები: მოეწყობა წილისყრა ძიუდოსა და კრივში, გამოვლინდებიან ჩვენი ბიჭების პირველი მეტოქენი. ჯერ მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ თემურ ხურცილავას წონაში (54 კგ) 28 მოკრივეა, ვლადიმერ ჭანტურიასი — 16. ძიუდოისტებიდან ტატამზე პირველად ნესტორ ხერგიანი (60 კგ) გავა და ეს 16 სექტემბერს მოხდება. მის წონაში 34 ძიუდოისტია, მათ შორის ატლანტის ოლიმპიადის და მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი ტადაშირო ნამურა. საერთოდ, საქართველოს ოლიმპიელთაგან სტარტს პირველნი აიღებენ მშვილდოსნები (ხათუნა ქვრივიშვილი, ხათუნა ფუტკარაძე, ასმათ დიასამიძე) — 16 სექტემბერს ღილის 9 საათზე იწყება საკვალიფიკაციო ტურნირი.

ცხადია, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ჩვენი გუნდის ყველაზე სახელიანი და გამოცდილი სპორტსმენის ნინო სალუქვაძის გამოსვლა. ნინო 17 სექტემბერს პნევმატური პისტოლეტით იწყებს.

4:4 ზღაპარი ჰამბურგში

მე-5 წუთზე „იუვენტუსი“ იგებდა 1:0-ს; 53-ე წუთზე „იუვენტუსი“ იგებდა 3:1-ს; 72-ე წუთზე “ჰამბურგის“ მეკარემ ანგარიში გაათანაბრა; 82-ე წუთზე „ჰამბურგი“ იგებდა 4:3-ს... საბოლოოდ, ჰამბურგული ზღაპარი მშვიდობიანად, 4:4 დამთავრდა.

იხილეთ მეორე გვერდი



REUTERS ჰამბურგიდან

იგებდა, აგებდა... ხან სამი ქულა, ხან არაფერი... საბოლოოდ, „იუვენტუსმა“ ქულა იშოვა

UEFA CHAMPIONS LEAGUE

E ჯგუფი

ჰამბურგი	4
იუვენტუსი	4
პანათინაიკოსი	1
დეპორტივო	1

F ჯგუფი

ჰელსინგბორგი	1
ბაიერნი	3
რუსენბორგი	3
პარი სენ ჟერმენი	1

G ჯგუფი

პსვ ეინდჰოვენი	2
დინამო	1
მანჩესტერი	5
ანდერლეხტი	1

H ჯგუფი

ბარსელონა	4
ლიდსი	0
მილანი	4
ბეშიქთაში	1

ახალი ვირუსი საქართველოში

მიდსი

„ბათუმში“ დიდი რია-რიაა. მეთორმეტე ეროვნული ჩემპიონატის უღიმღამოდ დაწყებას გუნდში ცვლილებებიც ბლომად მოჰყვა. ყველაზე მოულოდნელი და, შეიძლება ითქვას, სენსაციური კი ის გახლდათ, რომ ტექნიკური დირექტორის თანამდებობიდან გაათავისუფლეს მევლუდ ცინარიძე. კაცი, რომლის სახელიც ლამის კლუბთან იყო გაიგივებული და „ბათუმში“ საბჭოთა კავშირის პირველი ლიგიდან მოყოლებული მუშაობდა. ამას კიდევ ერთი რადიკალური ნაბიჯი მოჰყვა, გუნდიდან ერთბაშად ექვსი ისეთი ფეხბურთელი დაითხოვეს, მათი უმეტესობა ამ სეზონის წინ რომ მიიწვიეს — სიდამონიძე, ქვაჩახია, ქობულაძე, შენგელია, გაბისონია, ბარქაია ბათუმელებად აღარ ითვლებიან. ყოველივეს გუნდის იტალიელი მწვრთნელის, ჯანი კარნევალის განცხადებაც დაერთო — თუ „ბათუმს“ არ ვჭირდები, მზად ვარ, ახლავე შინ წავიდეო. ერთი სიტყვით, გუნდში არსებულ ვითარებაზე დღესდღეობით სახარბიელო არ ითქმის. მით უმეტეს, იტალიელი კარნევალი, საქართველოს ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ ყოფილი ჰოლანდიელი მწვრთნელის იოჰან ბოსკამპის მსგავსად, ქართულ მენტალიტეტზეც ალაპარაკდა. არადა, საქართველოში ახალჩამოსული ამბობდა, თქვენთან შეგუება რატომ უნდა გამიჭირდეს, ვატყობ, საერთო ბევრი გვაქვსო.

იხილეთ მესამე გვერდი



ჯანი კარნევალი

ბადრი ბეთლაძის ფოტო

REUTERS ბაბურგიდან

„ჰამბურგს“ „იუვენტუსის“ ოთხი გოლიდან სამი (ერთი პენალტით) ფილიპო ინძაგიმ გაუტანა

REUTERS მანჩესტერიდან

ხუთი სამზე ასე გაიყო: „ანდერლეხტს“ სამი ენდი კოულმა, თითო-თითო კი ტედი შერინგემმა (№10) და დენის ირვინმა გაუტანეს

ჩემპიონთა ლიგა. პირველი ტური

გასაკვირი ჰამბურგის „თავსხმა“ იყო, თორემ შეჯიბრში „მანჩესტერ იუნაიტედის“ და „ბარსელონას“ ჩართვით რომ შედეგიანობა მოიმატებდა, ცხადი იყო.

ფერგიუსონის ბიჭებმა ამ ზაფხულს შერცხვენილი ფილიპ დე ვილდე მთლად მოსპეს — გოლები პანტა-პუნტით გაჰქონდათ, თან კლუბის ისტორიას ქმნიდნენ: ენდი კოული პირველი ზუსტი თავურით „იუნაიტედის“ ყველა დროის საუკეთესო ევრობომბარდირი გახდა და თვით დენის ლოუს გაუსწრო; ირვინის პენალტმა ევროთასეულზე მანჩესტერელთა გატანილი გოლების რაოდენობა სამასამდე შეავსო, კოულის მეორე გოლი კი ამ კლუბისთვის ჩემპიონთა თასზე მეორასე გამოდგა.

„ლიდსის“ მწვრთნელმა დევიდ ოლირიმ კი უბრალოდ აღიარა: „ბარსა“ ფანტასტიური გუნდია...

UEFA CHAMPIONS LEAGUE

E ჯგუფი

ჰამბურგი 4:4 იუვენტუსი

0:1 ტუდორი (5), 1:1 იებოა (17), 1:2, 1:3 ინძაგი (36, 53), 2:3 მაჰდავიკია (55), 3:3 ბუტი (72ვ), 4:3 კოვაჩი (82), 4:4 ინძაგი (88ვ)

ჰამბურგი: ბუტი, ჰერრმანი, ჰოოგმა, პანადიჩი, ჰოლერბახი (კეტელაერი 46), ნ. კოვაჩი, ბროტი (ტოფტინგი 27), კარდოზო (ბრეგერი 66), ბარბარესი, იებოა, მაჰდავიკია

მწვრთნელი: ფრანც ბეგენბაუერი

იუვენტუსი: ვან დერ სარი, იულიანო (ბირინდელი 58), ტუდორი, ფერარა, პესოტო, ტაკინარდი, დავიდსი, ონილი (ბაკინი 73), ზიდანი, დელ პიერო (კოვაჩევიჩი 58), ფ. ინძაგი

მწვრთნელი: კარლო ანჭელოტი

მსაჯი: ვიტორ მანუელ მელო პერეირა (პორტუგალია)

პანათინაიკოსი 1:1 დეპორტივო

1:0 ვარგასა (29), 1:1 ნაიბეტი (84)

პანათინაიკოსი: ნიკოპოლიდისი, პენრიკსენი, ვოკოლოსი, ოლივარესი, ფისასი, პაულუ სოუზა (პეტლიასენი 57), კოლა (სიპპიევსკი 77), კარაგუნისი, ბასინასი, ვარგასა (კუცეურესი 69), ლიბეროპულოსი

მწვრთნელი: ანგელოს ანასტასიადისი

დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, დონატო, ნაიბეტი, რომერო, მაურო სილვა, ემერსონი (ვალერონი 73), ფრანი, პინდიანი, ვიტორი (სკალონი 82), დიეგო ტრისტანი (სეზარ სამპაიო 87)

მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა

მსაჯი: პიუ დალასი (შოტლანდია)

52 000 მაყურებელი

F ჯგუფი

ჰელსინგბორგი 1:3 ბაიერნი

0:1 შოლი (7), 0:2 სალიჰამიჯიჩი (48), 0:3 იანკერი (54), 1:3 ბ. იოჰანსენი (90)

ჰელსინგბორგი: ს. ანდერსონი, ო. ნილსონი, რ. ნილსონი, მატოვაცი, ბ. იოჰანსენი, უ. იანსონი (ი. იანსონი 76), პერსონი, ჰანსონი, ს. იოჰანსენი (ეკლუნდი 61), კ ანდერსონი (ბრეკა 73), ალვარო

მწვრთნელი: ნანე ბერგსტადი

ბაიერნი: კანი (ვესელი 66), სანიოლი, ლიზარაზუ, კუფური, ბ. ანდერსონი, ვისინგერი, შოლი (ზტრუნეცი 65), სფორცა, ფინკი, იანკერი, სალიჰამიჯიჩი (ბარგრიფსი 83)

მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

გაძევება: კუფური (37)

მსაჯი: გრეგ ბარბერი (ინგლისი)

12 623 მაყურებელი

რუსენბორგი 3:1 პარი სენ ჟერმენი

0:1 კრისტიანი (7), 1:1 ბერგი (17), 2:1 ფ. იოსენი (62), 3:1 სკამელსრუდი (90ვ)

რუსენბორგი: არსონი, ჰოფტუნი, ბასმა, რ. სტრანდი (კნუტსენი 77), ო. ბერგი, სორენსენი, ფ. იოსენი, სკამელსრუდი, ვინსნესი, ბ. იოსენი, სტენსაასი

მწვრთნელი: ნილს არნე ეგენი

პარი სენ ჟერმენი: ლეტიზი, ელ კარკური, ლეფსენი, კრისტიანი (ლეროუა 81), დალმა, დეუ, ალფერინო, ე სისე, დიტენი, რობერი (ოკოჩა 66), ანელკა

მწვრთნელი: ფილიპ ბერეერო

მსაჯი: ოგიუზ სარვანი (თურქეთი)

13 921 მაყურებელი

G ჯგუფი

ასვ ეინდჰოვენი 2:1 დინამო

0:1 შაკიხი (6), 1:1 ლუსიუსი (38), 2:1 ბრუგინკი (52)

ასვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ვან დერ ვეერდენი, ნიკიფოროვი, ჰოფლანდი (ოიერი 82), ჰაინეკე, კლაუდიო (ლუსიუსი 37), ვოგელი, ვან ბომელი, ბოუმა, კეუმანი, ბრუგინკი

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

დინამო: შოგკოვსკი, საკკე

ახალი ვირუსი საქართველოში

მიდსი

მენტალური იმუნოდეფიციტის სინდრომი საფრთხე უცხოელი მწვრთნელებისთვის

„დინამოს“ და საქართველოს ნაკრების მწვრთნელყოფილი იოჰან ბოსკამპი

დასაწყისი პირველ გვერდზე

— ჩვენ ახლა ძალიან ახალგაზრდული გუნდი გვყავს — გვითხრა „ბათუმის“ იტალიელმა მწვრთნელმა — ყველა თამაში ჩვენთვის რთული და მნიშვნელოვანი იქნება და უნდა ვეცადოთ, დასახულ მიზანს მივაღწიოთ.

— მიზანი რა არის?

— ჯერჯერობით ამას ვერ გეტყვით. ჩემპიონატის პირველი წრე გუნდის შეთამაშებას დასჭირდება, მერე დასკვნებს გავაკეთებ, შევხედავ ვინ რისი მაქნისია და მიზანსაც შემდეგ დავსახავთ. დღეს კი გუნდში მთლად გამოუცდელი ბიჭები ვარჯიშობენ, „სიონთან“ მოგებულ მატჩშიც ერთი-ორმა ფეხბურთელმა უმაღლეს ლიგაში პირველად ითამაშა, თუმც ახლავე შემიძლია ვთქვა, რომ პერსპექტიული ჭაბუკები არიან.

— რა მიზანსაც დაისახავთ, იმას უფრო იოლად არ მიაღწევდით, ის ექვსი ფეხბურთელი რომ დაგეტოვებინათ?

— ძნელი სათქმელია. ჩვენ ახალგაზრდული გუნდის გაკეთება გადავწყვიტეთ და, იმედი მაქვს, მომავალში ყველაფერი კარგად იქნება.

— „სიონთან“ მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ბრძანეთ, იმ ექვსი ფეხბურთელის გაშვება მე არ მსურდაო. ვინ უთხრა მათ გუნდი დატოვეთო?

— სპონსორმა.

— ეგ როგორ გავიგოთ?

— როგორც ვთქვი.

— გუნდის სპონსორი ვინ არის?

— მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ასლან ფაღავა.

— სეზონის წინ „ბათუმი“ რომ თითქმის ათმა ფეხბურთელმა დატოვა, ამის მიზეზი რა იყო?

— ფეხბურთისთვის რამდენიმე უკვე ასაკოვანი გახლდათ, ზოგიც გუნდს ვერა და ვერ მოერგო, ზოგისთვისაც ჩემი სამუშაო პროგრამა იყო მიუღებელი, თანაც, როგორც ვთქვი, ბევრი პერსპექტიული ახალგაზრდა გამოჩნდა და ძველებმა კონკურენციას ვერ გაუძლეს.

— ცინცაძე რატომ გაათავისუფლეს?

— არ ვიცი. ჩვენ ერთად ერთი წელი ვიმუშავეთ. მე, როგორც მწვრთნელს, გუნდის ტექნიკური დირექტორის თანამდებობაზე ასლან ბალაძე მსურდა.

— მაინც, ეგებ თქვათ, ცინარიძე...

— ვერ გეტყვით მისი განთავისუფლების მიზეზი რა იყო. ეტყობა, რაღაც დააშავა.

— თქვენ დაგიშავათ?

— არა, ჩემთვის პირადად ცუდი არაფერი გაუკეთებია.

— გუნდიდან ექვსი ფეხბურთელის წასვლაში მისი ხელი ურევია?

— ცინარიძე მანამდე გაათავისუფლეს. მაშინ ის გუნდში აღარ მუშაობდა.

— რის საფუძველზე განაცხადეთ, თუ გუნდს არ ვჭირდები, აქაურობას ახლავე დავტოვებო?

— იცით რა, თუ სპონსორები მხარში ამოგვიდგებიან, მაშინ დავრჩები „ბათუმში“, თუ არა და, წავალ, ჩემს გზას დავადგები, თუმცა სპონსორთა იმედი კი მაქვს და გუნდიც კარგი გვეყოლება.

— რამდენიმე კაცისთვის გითქვამთ, მე და ქართველები ერთმანეთს ვერ ვეწყობითო. ასეა?

— კი, მართალია, განსხვავებული მენტალიტეტი გვაქვს.

— უფრო კონკრეტულად ეს რაში გამოიხატება?

— დისციპლინაში.

ჯანი კარნევალის გუნდის ვარჯიშზე მიეჩქარებოდა და დამშვიდობებისას კიდევ ერთხელ გაგვიმეორა, ახალგაზრდული გუნდი, აი, ეს გვსურსო. ჩვენც „ბათუმის“ ახალდანიშნულ ტექნიკურ დირექტორს, ასლან ბალაძეს ვთხოვეთ ერთი-ორი სიტყვა ეთქვა გუნდში შექმნილი სადღეისო ვითარებაზე:

— ჩემთვის საკმაოდ მოულოდნელი იყო ტექნიკურ დირექტორად დანიშვნა, ისევე როგორც მევლუდ ცინარიძის წასვლა. მას „ბათუმისთვის“ ბევრი კარგი საქმე გაუკეთებია, კლუბის წინაშე დიდი დამსახურება აქვს. ახლა გუნდში ცოტა არ იყოს არასასურველი სიტუაციაა, მალე ყველაფერი გაირკვევა.

— ცინარიძე რატომ გაათავისუფლეს?

— ხომ ვთქვი, ეს ჩემთვის მოულოდნელი იყო. მიზეზი არ ვიცი.

— გუნდი ექვსმა ფეხბურთელმა დატოვა. არ გაგიჭირდებათ?

— გაგვიჭირდება, მაგრამ... კაცი იმედიც ცოცხლობს. გუნდიდან ერთბაშად ექვსი ფეხბურთელი რომ წავა, სერიოზული საქმეა. ამ ბიჭებს თვითონ დავეხმარები. მესმის, რა მდგომარეობაშიც არიან, მეც ხომ ვთამაშობდი. ყველაფერს ავუხსნი.

— კარნევალიმ სპონსორებზე თქვა, უნდა დაგვეხმარონ, თორემ გუნდს დატოვებო. ამაზე რა აზრის ბრძანდებით?

— ჩვენს სპონსორებს კარგი, ძლიერი გუნდის ჩამოყალიბება სურთ და გააკეთებენ კიდეც.

ძოგა ინასარიძე

ორი იტალიელი: საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი მწვრთნელი რობერტო ლანდი და „ბათუმის“ ამჟამინდელი თავკაცი ჯანი კარნევალი

ერთად

გუშინ სპორტის დეპარტამენტის სააქტო დარბაზში პრესკონფერენცია გამართა ფედერაციის ბავშვთა ფეხბურთისა და რეზერვების კომიტეტის ხელმძღვანელმა ლევან ყიფიანმა.

ბავშვთა ფეხბურთის თავკაცმა ვრცალდ ისაუბრა ჩატარებულ სამუშაოზე, მომავალ გეგმებზე და არც შეცდომების აღიარებისთვის აურიდებია თავი.

ახლა საქართველოში ბავშვთა ფეხბურთის ბუმია. ფედერაციაც არაერთ ტურნირს ატარებს. ჩოხელის, მეტრეველის, მესხის სახელობის ტურნირები, ბავშვთა საფეხბურთო ლიგა და ასე შემდეგ.

არც ფედერაციის წვლილზე დაგვიხუჭავს თვალი და არც ხარვეზები გამოგვრჩენია.

პრესკონფერენციაზე ჩვენთვის უცნობი ბევრი არაფერი თქმულა. ცოტა იმან გაგვაკვირვა, თქვენგან თანადგომას არ ვგრძნობთო, რომ გვითხრეს. ერთხელაც გავიმეორებთ, სასიკეთო საქმის მხარდასაჭერად მუდამ მზად ვართ და არც არასდროს დაგვზარებია. სულ სხვა ამბავია, ამას ვინ როგორ აღიქვამს.

მთავარი და უპირველესი საკითხი ბოლოს გაირკვა. უკვე რა ხანია, დაპირისპირებაა „ირაოსა“ და „ნორჩ დინამოელს“ შორის. ორივე ბავშვთა ფეხბურთის სამსახურშია.

დავის საგანი ეროვნული სარბიელის გვერდით მდებარე წიდისსაფრიანი საკვარჯიშო სტადიონია, რომელზეც დიდი ხანია „ირაომ“ სარემონტო სამუშაოები დაიწყო.

ახლა იქაურობას თურმე ცალკე „დინამოს“ საბჭო იჩემებს, ცალკე, ღმერთმა იცის, ვინ.

ჩვენთვის უცნობია საქმის ძირითადი არსი. სიმართლე თუ გნებავთ, ვინ რა დაბარჯა, ვის რა ერგება და ამგვარები არცაა სპორტული გაზეთის საქმე. ამიტომაც იცავს „სარბიელი“ ნეიტრალიტეტს.

ერთს კი მაინც მოგახსენებთ. ის წიდისსაფრიანი სავარჯიშო სტადიონი დიდი ხანი იყო შეუკეთებელ-მოუწყობელი, სანამ „ირაო“ სამუშაოებს დაიწყებდა. აშენებენ, ხომ არ ანგრევენ და იქნებ ერთად გეშენებინათ, თქვეკაი ხალხო. აშენებს „ნორჩი დინამოელიც“ და არა გვგონია, ისეთი ბოროტი იყოს ვინმე, სიკეთე სწყინდეს.

იმის კითხვა, კანონიერია თუ არა საფეხბურთო მოედნის კეთილმოწყობა, ყურით მოთრეული მიზეზი გვგონია. შენება-ნგრევა მაშინ არავის უკითხავს, სპორტულ მოედნებზე გარაჟებსა და კორპუსებს რომ დგამდნენ.

აღნიშნული პრობლემა მოუგვარებელი არ გახლავთ. ბატონებო, დასხედით ერთად და მოილაპარაკეთ, გადაწყვიტეთ ყველაფერი ბავშვთა ფეხბურთის საკეთილდღეოდ.

ვამუკა კვანტალიანი

გიორგი რევაზიშვილი

რევაზიშვილი ჰაიდუკში გადაბარგდა

გორელი ნახევარმცველი, თავის დროზე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი და ეროვნულ გუნდში ნათამაშევი გიორგი რევაზიშვილი ბოლო წლებია, მოლდოვურ ჩემპიონატში ასპარეზობს. ჩვენებურისთვის არც რუსეთის უმაღლეს ლიგაში ბურთაობა ყოფილა უცხო ხილი.

ტირასპოლის „შერიფში“ ჩარიცხულმა რევაზიშვილმა თავიდანვე ძირითადში დაიმკვიდრა ადგილი, მერე ტრავმა მიიღო და კუთვნილი ადგილი რომ დაებრუნებინა, დიდი ძალისხმევა დასჭირდა.

ისევ უმუხთლა ბედმა და გასულ ზამთარს მენისკის ოპერაციაც გაიკეთა. მას შემდეგ სასტარტო თერთმეტეულში იშვიათადღა ამწესებდნენ. გიორგიმ სათადარიგოობა არ ინდომა და გამოსავალიც იპოვა.

—შეცვლებზე თამაში არ მაკმაყოფილებდა. მივედი მწვრთნელთან და ვუთხარი, თუ არ გჭირდებით, გამანათხოვრეთ-მეთქი. მსურველებიც იყვნენ. ჩემით ყველაზე მეტად უმაღლეს ლიგაში ახალაღზევებული „ჰაიდუკ-სპორტინგი“ იყო დაინტერესებული.

გარიგებაც მალე შედგა და ახლა მეორე წრის დაწყებამდე ჰაიდუკელი ვარ. ისე, არ არის გამორიცხული, მალე თავი ისევ რუსეთის ჩემპიონატში ამოვყო. იქაური „ალანია“ და „ტორპედო — ზილი“ ნორმალურ პირობებს მთავაზობენ.

პირობები აქაც კარგია და ჯერჯერობით ბედს არ ვუჩივი, ვნახოთ, მერე რა იქნება.

სატელეფონო საუბარი ბევრს ვერ დაიტევს. მით უმეტეს გიორგი სტადიონის ტრიბუნებზე მოვიხელთეთ, მეგობრებს — დათო მუჯირს და ვაჟა თარხნიშვილს ქომაგობდა „კონსტრუქტორულ“ — „შერიფის“ მატჩში.

დავით მუჯირმა საქართველო მომენატრა და ნოემბერში ჩამოვალო, ვაჟა თარხნიშვილმა მწვრთნელთან პრობლემები მოაგვარა და „შერიფისთვის“ ისევ შეუცვლელია. მუმუს გოლები გააქვს და თამაშობენ ქართველები მოლდოვაში.

გამომშვიდობებისას მუჯირმა ეს გვითხრა, მალე აქედან ავიბარგებით და უფრო სოლიდური ქვეყნის ჩემპიონატში ვითამაშებთო. გასახარი ამბავია, რამეთუ ნიჭიერი, ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელი მოლდოვის მსგავს საფეხბურთო ჩემპიონატში არ უნდა იხარჯებოდეს.

ვამუკა კვანტალიანი

რაჭველი ფრინგერი ჯერ ისევ ფიქრობს

როლფ ფრინგერის შვეიცარიულ წარმომავლობაში დარწმუნებულნი რომ არ ვიყოთ, მისი საქციელის შეშხედვარე, ეგებ მის რაჭველობაშიც შეგვეტანა ეჭვი. ფრინგერი, მოგეხსენებათ, შვეიცარიული „არაუს“ მთავარი მწვრთნელია, იმ „არაუსი“, რომლის ღირსებასაც თბილისის „დინამოსა“ და „ბათუმის“ ყოფილი თავდამსხმელი ლევან ხომერიკი იცავს.

ხომერიკი „არაუში“ ამ ზაფხულს გადავიდა. „ბათუმის“ ამჟამინდელმა იტალიელმა თავკაცმა ჯანი კარნევალიმ შვეიცარიული კლუბის ხელმძღვანელობა ქართველი ფორვარდით დაინტერესა, მათაც ჩვენებური გასასინჯად მიიწვიეს. დაახლოებით ორი კვირა აკვირდებოდა ფრინგერი ხომერიკს, აი, დღეს გადაწყვეტთ შენს საქმეს, აი, ხვალო, აიმედებდა ყოველდღე. ბოლოს, როგორც იქნა, საბოლოო გადაწყვეტილებაც მიიღო — ხომერიკი არაუელი გახდა. იმდენად მოეწონა მწვრთნელს ჩვენებური, კარნევალის დაუკავშირდა და შენი ნაქები ამირან მუჯირიც გამომიგზავნეო, შემოუთვალა. მუჯირი რომ შვეიცარიაში ჩავიდა, ივლისის პირველი ნახევარი იდგა. დაახლოებით ოცი დღე ივარჯიშა „ბათუმის“ ნახევარმცველმა ფრინგერის მეთვალყურეობით. „არაუს“ მეორე შემადგენლობაში ამხანაგურ მატჩებსაც ატარებდა. თითქმის ყველაფერი კარგად იყო. ფრინგერი ქართველს აქებდა და გუნდში აყვანასაც უპირებდა. მუჯირი ძალიან იმედგაცრუებული დარჩა. „კარგი ფეხბურთელი ხარ, მაგრამ მე ისეთი მჭირდება, ცენტრიდან ბურთს რომ წამოიღებს, მეტოქის მცველებს მოატყუებს და გოლსაც გაიტანს“ — აი, ასე აუხსნა მწვრთნელმა ჩვენებურს უარის მიზეზი. მუჯირი სამშობლოში დაბრუნდა და ახლაც „ბათუმში“ თამაშობს.

6 სექტემბერს თბილისის „დინამო“ ბოლნისის „სიონს“ თავისი ლიდერის, გიორგი ანჩაბაძის გარეშე ეწვია. გიორგი შვეიცარიაში წავიდა, „არაუმ“ მიიწვია გასასინჯად და დღეს ამიტომ არ ითამაშო, შვეიტყვეთ დინამოელებისგან. დიახ, ანჩაბაძე ათი დღეა, შვეიცარიაშია და ფრინგერს თავის შესაძლებლობებს უმტკიცებს.

„ჯერჯერობით არ ვიცით, დარჩება თუ არა გიორგი შვეიცარიაში. მისი საქმე დღეს უნდა გაირკვეს. ამხანაგური თამაში აქვთ, თუ კარგად ითამაშებს, მწვრთნელი დატოვებს“ — გვითხრეს ანჩაბაძის ოჯახში ორი დღის წინ.

გუშინ კი იმ საკონტროლო მატჩის თაობაზე პატარა ინფორმაცია შვეიცარიულმა „არგაუერ ცაიტუნგმაც“ გამოაქვეყნა. „არაუს“ ახალგაზრდული გუნდი ამხანაგურად მესამე ლიგის ბინადარ „ფრიკს“ გასჯიბრებია. არაუელებს 4:0 მოუგიათ, პირველი გოლი კი ანჩაბაძეს გაუტანია, რომელსაც საკმაოდ კარგად უთამაშია. მიუხედავად ამისა ფრინგერს მისი დარჩენა-არდარჩენის საკითხი კვლავაც ვერ გადაუწყვეტიაო, წერენ შვეიცარიელები. ქართველს ცოტა ხანი კიდევ უნდა დავაკვირდე — ამბობს თურმე ფრინგერი. ჩვენებურს ალბათ კიდევ ერთი საკონტროლო მატჩის თამაშიც მოუწევს.

როგორც შევიტყვეთ, ანჩაბაძეს „არაუში“ ძალიან მოსწონს, შეთავაზებული პირობებიც აკმაყოფილებს, ჰოდა, საქართველოს ჩემპიონატში გამორჩეული მოთამაშეც, იმედია, „რაჭველ“ ფრინგერს თავს მოაწონებს.

ვანო ოქროპირიძე

საქართველოს თასი

ევროპა რეგიონულ ლიგაში

ჯახელებს „მილანი“ ჰყავთ, დედაქალაქში „ოლიმპიკი“ რა ხანია დაფუძნდა, ახლა „ვალენსიაც“ მიმატებია. ქუთაისში „ინტერი“ ბობოქრობს და არ იკითხავთ, სად თამაშობენ ქართული გრანდები (სახელებით, რა თქმა უნდა)? სად და რეგიონულ ლიგაში. ისე, უპრიანი იქნებოდა გურულებს, მეგრელებსა და აჭარლებსაც გამოეყვანათ თითო „ბარსელონა“, „მანჩესტერი“ და „ბაიერნი“, მაშინ მთელი კოპორტა შეიყრებოდა თავისი დიდებულებით.

ეს ისე, ხუმრობით. და ახლა იმაზე ვთქვათ, საქართველოს თასის გათამაშება რომ დაიწყო. 11 სექტემბერს შესარჩევი ციკლის პირველი ეტაპი ჩატარდა, რომელშიც რეგიონული ლიგის გუნდები პაექრობდნენ.

ცხუმი (სოხუმი) — *კავკასიონი (თბილისი)* 1:1 (3.4:6)
დინამო 2 (თბილისი) — ვალენსია (თბილისი) 4:0
ალაზანი (გურჯაანი) — ჭაბუკიანი (ჭაბუკიანი) 8:3
ლოკომოტივი (თბილისი) — ოლიმპიკი (თბილისი) 1:1 (3.5:3)
დილა 2 (გორი) — *ს.აიბერია (თბილისი)* 1:9
ამირანი (ოჩამჩირე) — საბურთალო (თბილისი) 3:1
თბილისი 2 (თბილისი) — ვიტ ჯორჯია 2 (თბილისი) 2:0
მესხეთი (ახალციხე) — *ვარძია (ასპინძა)* 1:1 (3.4:5)
სქური (წალენჯიხა) — მზიური (გალი) 2:1
სამეგრელო (ჩხოროწყუ) — *ლაზიკა (ზუგდიდი)* 0:7
სალხინო (მარტვილი) — *კოლხეთი 2 (ფოთი)* 2:3
სულორი (ვანი) — *ინტერი (ქუთაისი)* 0:4
ბათუმი 2 — დინამო (სოხუმი) 2:1

15 სექტემბერს შესარჩევის მეორე ეტაპი ჩატარდება

ჭაბუკიანი (ჭაბუკიანი) — შსს აკადემია (თბილისი)
კავკასიონი (თბილისი) — ს.აიბერია (თბილისი)
შევარდენი (თბილისი) — დინამო 2 (თბილისი)
ლოკომოტივი 3 (თბილისი) — ვარძია (ასპინძა)
ამირანი (ოჩამჩირე) — თბილისი 2 (თბილისი)
ინტერი (ქუთაისი) — გურია (ლანჩხუთი)
კოლხეთი 2 (ფოთი) — ბათუმი 2
ლაზიკა (ზუგდიდი) — სქური (წალენჯიხა)

27 სექტემბერს თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალი დაიწყება. რეგიონული ლიგის გუნდებს უმაღლესი და პირველი ლიგის კლუბები დაემატებიან, საპასუხო მატჩები კი 17 ოქტომბერს გაიმართება.

მამუკა კვანტალიანი

საქართველოს პირველი ლიგა — ჩემპიონატი 12 ნრე

3 ტური

ბომბარდირი

3 - კალანდაძე	შუქურა
2 - არუთინიანი	ცხინვალი
ზ. ბეჟაია	მეტალურგი
მარდიშვილი	ცხინვალი
ბოჭორაძე	ცხინვალი
ა. ჯანაშია	თორი
კუტალია	ზუგდიდი

პირველი ტურის მატჩები

იმერის დაკვა ამერში გაირჩევა

თუ ასე გაგრძელდა, ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტი მალე საქმეს ვეღარ აუვა. უმაღლეს და პირველ ლიგაში ტური არ ჩაივლის აყალმაყალისა და დავიდარაბის გარეშე. ახლა ისიც ვთქვათ, რეგიონალური ლიგაც რომ კარსაა მომდგარი და...

წყალტუბოში „სამგურალისა“ და „მეტალურგის“ მატჩში თავიდანვე დაიძაბა სიტუაცია და საბოლოოდ თამაში ჩაიშალა.

უახლოეს დღეებში ფეხბურთის ფედერაციაში წყალტუბოური და ზესტაფონური კლუბის თავკაცებს მოელიან, ჩამოდით, მტყუან-მართალი გავარჩიოთო.

დებოში თავიდან მასპინძლებმა დაიწყესო, ჩივიან ზესტაფონელები. სტუმრებმა უსაქციელობით აგვიკლესო, გაიძახიან წყალტუბოელები. ჩვენი აზრით, გარკვეული და სხვადასხვა დოზით ყველამ შესცოდა და იმედია, ფედერაციაც ობიექტურ განაჩენს გამოიტანს, თუმც ვერდიქტის დადგენა კი გაუჭირდება. მიზეზი ერთია, მატჩი არ დასრულებულა. არადა, აუცილებელი და სასურველიც კი იყო.

„მეტალურგის“ ხელმძღვანელობა მსაჯებზეა გამწარებული. ზუგდიდში გამარჯვება ძალით გამოგვტაცეს ხელიდან, აქ წაგვაგებინეს, ნუთუ სამართალი არ არსებობსო.

შეხლა-შემოხლისა გარეშე არც ქობულეთურ დაპირისპირებას ჩაუვლია. „შუქურამ“ „გურიას“ 1:0 მოუგო, მაგრამ მასპინძელთა მწვრთნელს ანინიძეს და სტუმართა მოთამაშე გეწადეს განსაკუთრებით თანამსაჯთა ქმედებები არ მოეწონათ და მათი ამბავიც გაირკვევა.

სხვა მატჩებიდან ჯერჯერობით საგანგაშო სიგნალი არ მიგვიღია. —ცხინვალმა“ ხობში არ წაავო, ხოლო კახური „მილანი“ სამტრედიულ „ოკეანეს“ დაუზავდა.

„ზუგდიდმა“ პირველად მოიგო და პირველადვე გაიტანა ერთ ბურთზე მეტი. ბორჯომელებმაც, წლეულს შედარებით სოლიდური გუნდი რომ შეუკოწიწებიათ, პირველად იმარჯვეს, თანაც სტუმრად, დედაქალაქში.

„თორი“ და „თბილისი“ საშინაო მატჩებს ისევ ნათხოვარ სტადიონებზე ატარებენ, მშობლიურ სარბიელებზე რემონტი გაუგრძელდათ და იმიტომ.

ხმაურიანი გამოდგა პირველი ლიგის მესამე ტური, სინამდვილეში პირველი რომ გახლდათ და თავის დროზე იმიტომ გადაიღო, ბევრმა კლუბმა სალაროში 12 ათასი ლარი ვერ მოიძია.

მამუკა კვანტალიანი

წყალტუბო
12 სექტემბერი
13 საათი
26 მაისი
? (ტევადობა 12 000)

სამგურალი 3:2 მეტალურგი

1.0 გოლეთიანი (43), 1.1, 2.1 ლურსმანაშვილი (47, 57სკ), 2.2 ფირცხალაიშვილი (85), 3.2 ჯიქია (89)
სამგურალი: ბიდოკა, ბერაძე მ. ჯინჭარაძე დ. ქულიტე, ბაბუნაშვილი, ფუტკარაძე, ფხაკაძე, გოლეთიანი (კაკულია 76), დარსაძე, კიკვაძე (თირქია 46), ზ. ქუთათელაძე, დ. ჯიქია
სათადარიგო: ფოფხაძე, ტეხოვი, ლ. ქობულაძე, მაჭარაძე
მეტალურგი: ნიკაბერიძე, გურეშიძე, ა. ლურსმანაშვილი, ძიძიგაშვილი (მოდებაძე 77), ბაქრაძე, აბაზაძე (ფანცხავა 46), კაციაშვილი, ორმოცაძე, ამაშუკელი, გ. გვაზავა, ქურციკიძე (ფირცხალაიშვილი 60)
სათადარიგო: ოდიკაძე, გოგაძე, მერაბაშვილი, გაგაშელიძე
გაფრთხილება: ჯინჭარაძე (30), კაციაშვილი (45), ბაქრაძე (48), ამაშუკელი (50)
გაძევება: დარსაძე (45), ლურსმანაშვილი (88)
მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); კ. თბილელი, ს. შალამბერიძე (ორივე თბილისი); ა. ორდინიძე (ონი)

ძეგლიები
12 სექტემბერი
13 საათი
ცენტრალური
1 800

შუქურა 1:0 გურია

1.0 კალანდაძე (87)
შუქურა: გოგუა, კოროტკოვი, კვეკვესკირი, ოქროპირიძე, ქუტუნიძე, ბერიძე (ბაეფანაშვილი 75), ფუტკარაძე, ჩადუნელი, გეგეშიძე, კალანდაძე, კორკველია (კაკალაძე 55)
სათადარიგო: ბერმანოვი; ჩელებაძე, მესხიძე, ფალიჩავა, გორგილაძე
გურია: დოლიძე, ორბელაძე, გაბრიჭიძე, ლონდაძე, ჯალარკავა (მინაშვილი 90), სულაკაძე (ზიტია 59), განეფი, ჯუღელი, დანელია (ვოსკანოვი 72), ენდელაძე, გენაძე
სათადარიგო: მერკვილიშვილი; კუკულაძე, ფაცერია, ბატარაია
გაფრთხილება: გენაძე (63), ფუტკარაძე (64), კაკალაძე (69), ჯალარკავა (70), ჯუღელი (89), ბაფუნაშვილი (90)
მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ზ. ჯვარიძე, მ. ფურუბაძე; ა. მეშკოვი (ყველა თბილისი)

ზუგდიდი
12 სექტემბერი
13 საათი
ცენტრალური
1 500

ზუგდიდი 3:1 ივერია

1.0, 2.0 კუტალია (I, 30), 2.1 ყაჩლაგაშვილი (55), 3.1 გამსახურდია (82)
ზუგდიდი: კვარაცხელია, ლურჯკაია, ქითანავა, გეგელიანი (დიდიმე 52), გეგენიძე, ონიანი, ყოლბაია, კუტალია, ბუკია, თორია, კალმახელიძე (გამსახურდია 76)
სათადარიგო: ნაფოფია; ჯიქია, თოლორაია
ივერია: ხვედელიძე, ბეგლაშვილი, ვეშაპიძე, ულუმბელაშვილი (ვასოფი 28), ნეკერაშვილი, ლურსმანაშვილი, ქობაძე, გოგოლაძე (ყაჩლაგაშვილი 54), ჩალაძე, ჯაფარაშვილი (ბლიადე 78), თ. ხაჩიძე
სათადარიგო: ბლიადი??ძე; დ. ხაჩიძე
გაფრთხილება: ულუმბეგაშვილი (25), ჯაფარაშვილი (74)
მსაჯები: მ. მაისურაძე (თბილისი); ლ. რაზმაძე (გორი), ბ. ბრეგვაძე (ქუთაისი); დ. სანაია (სოხუმი)

სამტრედია
12 სექტემბერი
13 საათი
ერეკლე მანჯავაძე
16000

ოკეანე 0:0 მილანი

ოკეანე: თევზაძე, ტონია (ჩიგოგიძე 65), ძიძიგური, თოდაძე, გოგია, ქიმაძე, ლორთქიფანიძე, გაბედავა, კიკვაძე, კრავეშვილი, მალალურაძე
სათადარიგო: ქუთასელი
მილანი: გ. სომხიშვილი, თელიაშვილი, ტარუღაშვილი, კაპანაძე (სოსელია 67), ინასარიძე, მედოევი, ტოკლიკიშვილი, კობაიძე, ვარამიშვილი (კიკვიძე 86), ქყონია, მელქაძე
სათადარიგო: მეტონიძე, ჩიტაური, სოსელია, დ. სომხიშვილი
გაფრთხილება: კობაიძე (23), გაბედავა (42), ტარუღაშვილი (73)
მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); თ. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); დ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი)

ხობი
12 სექტემბერი
13 საათი
ცენტრალური
500

ხობი 0:0 ცხინვალი

ხობი: გოგია, ჯაბურია, ო. ჯაბუა, ლ. ჯაბუა, აბაკელია, ხურცილავა, ვართაგავა, ჯაშიბაძე (ტყებუჩავა 76), ჯიქია, ქიჭინაძე, ბიანადი (ქედია 68)
სათადარიგო: გუგულაშვილი, მურადელი, წიქარიძე
ცხინვალი: ქქანაშვილი, ცხადაძე, რ. ხაჭაურიძე, ტყემალაძე, ვაჩლავაშვილი, მოსიაშვილი, არუთინიანი, მარგიევი, მარლიშვილი, ნასუაშვილი (მაისურაძე 51), ბოჭორაძე (ჩაჩიბაია 89)
სათადარიგონი: გუგულაშვილი, მურადელი, წიქარიძე
გაფრთხილება: ბიანადი (67), ვართაგავა (76), ცხადაძე (79), ჩაჩიბაია (89)
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი); კ. გაბრიძე, ნ. რუსიშვილი; ბ. დიგრასშვილი (ყველა ქუთაისი)

თბილისი
12 სექტემბერი
13 საათი
ისანი
500

თბილისი 0:1 თორი

0.1 ჯანაშია (90)
თბილისი: კუპატაძე, ჯაფარიძე, ჩალაძე, გეგეჭჩავა, სახარია, შენგელია, სტურუა (აბრამიშვილი 67), ქუხილავა, მისაბიშვილი (გოგმაჩაძე 55), სალარიშვილი, კოხრიძე (ჯღარკავა 62)
სათადარიგო: კოდალაური; მანგაძე, მეშლაძე, ქიბრიშვილი
თორი: ლაბაძე, ლეკიშვილი, მ. ლომიძე, კობესაშვილი, ლომიძე, ტარიელაშვილი, თალაკვაძე, სოსროშვილი, ჯანაშია, ვარდიაშვილი, გელეშაძე (ზაქარეიშვილი 64, სეფერთელიძე 89)
სათადარიგონი: სულავა; სუხიაშვილი, შალიკაშვილი, ფირცხალავა
გაფრთხილება: ლეკიშვილი (23), სალარიშვილი (72), სოსროშვილი (73)
მსაჯები: ო. ხეკაძე; ლ. სილაგავა, მ. ელიკაშვილი; ა. შილაკაძე (ყველა თბილისი)

პირველი ლიგა	სულ							შინ							სტუმრად						
№ გუნდები	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1 ცხინვალი	3	2	1	0	6:4	2	7	1	1	0	0	2:1	1	3	2	1	1	0	4:3	1	4
2 შუქურა	3	2	0	1	5:1	4	6	2	2	0	0	5:0	5	6	1	0	0	1	0:1	-1	0
3 მეტალურგი	2	1	1	0	2:1	1	4	1	1	0	0	1:0	1	3	1	0	1	0	1:1	0	1
4 გურია	3	1	1	1	1:1	0	4	1	1	0	0	1:0	1	3	2	0	1	1	0:1	-1	1
5 ზუგდიდი	3	1	1	1	4:3	1	4	2	1	1	0	4:2	2	4	1	0	0	1	0:1	-1	0
6 მილანი	3	1	1	1	2:2	0	4	1	1	0	0	1:0	1	3	2	0	1	1	1:2	-1	1
7 ხობი	3	1	1	1	1:1	0	4	2	1	1	0	1:0	1	4	1	0	0	1	0:1	-1	0
8 თორი	3	1	0	2	4:5	-1	3	1	0	0	1	3:4	-1	0	2	1	0	1	1:1	0	3
9 თბილისი	3	1	0	2	1:5	-4	3	2	1	0	1	1:1	0	3	1	0	0	1	0:4	-4	0
10 სამგურალი	2	1	0	1	1:1	0	3	1	1	0	0	1:0	1	3	1	0	0	1	0:1	-1	0
11 ოკეანე	3	0	3	0	1:1	0	3	2	0	2	0	0:0	0	2	1	0	1	0	1:1	0	1
12 ივერია	3	0	1	2	2:5	-3	1	1	0	1	0	1:1	0	1	2	0	0	2	1:4	-3	0

ბრიტანული ქულა:
დანდის გასახარი დერბის საწუხარია

ჩვენდა საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, დაუსრულებელი ლეგიონური ამბის ბოლო კვირას კულმინაციამ უდავოდ სამშაბათ საღამოს უწია.

ამსტერდამის „აიაქსმა“ ბელგიურ გენტში ისეთი რამ ჩაიდინა, ომის მეფის გამოსახულებით მკერდდამშვენებულებს ძველი, ზათქით და სახელით მოგებული ლაშქრობები მოაგონა.

— „აიაქსი“ ქართველმა შოთა არველაძემ დააწინაურა, არნახული მოძრაობით ხუთ მოტყუებულ მცველს რომ გასცდა და ისე გაიტანა — იტყობინება სააგენტო „როიტერი“.

შოთას სუპერგოლს კნოპერმა დუბლი, გრონკიაერმა, ვან დერ ვაარტმა და ვან დერ გუნმა თითოც მოაყოლეს და ერთ დროს სუპერგრანდ „აიაქსის“ საკადრისი ანგარიშიც შვეს.

ბელგიაში ასეთი ანგარიშით მოგება შესაძლოა იმის ნიშანი იყოს, რომ ამსტერდამელებს ახალი თაკაცის, კოადრიანსეს ხელი დაეტყოთ. თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ შორეულ წარსულში კი არა, აგერ ორი ტურის წინ „აიაქსმა“ 0:3 წააგო „ნაიმეგენთან“, მივხდებით, სხვადასხვა დროს სამივე ევროთასის მომგები კლუბის ძველი დიდება ჯერაც შორსაა.

რაკი პირველად უეფას თასზე მოგვიწია საუბარმა, ბარემ გელა შეყილაძე და მისი „ლიერსიც“ აქვე ვახსენოთ. ფრანგულმა „ბორდომ“, რომლის წინააღმდეგაც ქართველმა მცველმა ძირითადში 81 წუთს ითამაშა, ლიერში კარი მშრალად შეინახა და შინ ქულით დაბრუნდა.

აშვეთიას და წერეთლის „ალანია“, ყაველაშვილის და ჯამარაულის „ციურიხი“, ზაზა ჯანაშიას „ლოკომოტივი“, კაიდარაშვილის „კრივბასი“ და ჯიქიას „რუხი“ უეფას თასის პირველი ეტაპის მატჩებს დღეს გამართავენ.

ამით საერთაშორისოს მოვრჩეთ და ახლა ლეგიონერთა „საშინაო“ ამბებზეც ვთქვათ.

ბუნდესლიგაში ისევ ოთხივე ქართველმა ითამაშა, თუმცა თავის გამოჩენა ვერავინ შეძლო. როგორც ყოველთვის, არაერთი საგოლე მომენტი შექმნა ალექსანდრე იაშვილმა, მაგრამ გამოყენება და წლეულს პირველი ბუნდესლიგური გოლის გატანა ვერც ამჯერად მოახერხა. ორივე ქართულმა გუნდმა ფრე ითამაშა: „ფრაიბურგმა“ სტუმრად „ჰანზასთან“, „კიოლნმა“ კი შინ „ლევერკუზენთან“.

პრემიერლიგაში კვლავ შეცვლაზე ითამაშა გიორგი ქინქლაძემ — ასე გადაწყვიტა „დერბის“ თავკაცმა ჯიმ სმიტმა. „დერბი“ პირველ ტაიმს მალკოლმ კრისტის და სიმო ვალაკარის გოლებით იგებდა, მაგრამ მერე დაცვაში გერმანელი შნურის უხეში შეცდომებით პრობლემები შეექმნა და „ჩარლტონმა“ ანგარიში მოედანზე ქინქლაძის შესვლიდან წუთნახევარში არათუ შეამცირა, სულაც გაათანაბრა. ყველაფერი თავიდან იყო დასაწყები და გოიც ჩვეულად, ჯარისავით დატრიალდა, პასებიც უხვად არიგა, მაგრამ დაშავებული ბელგიელი თავდამსხმელის, ბრანკო შტრუპარის გარეშე მოთამაშე დერბელებმა გოლით ვერც ერთი შეტევა დააგვირგვინეს. რომ არა არბიტრის გაუგებარი მოქმედება, ერთ, როგორც იტყვიან, 100-პროცენტიან შანსს „დერბი ქაუნთი“ მაინც იმსახურებდა. ქინქლაძის პასით საჯარიმოში შეჭრილი სტეფანო ერანიოს მცველი ალალად ეუხეშა, მაგრამ მასპინძელი მსაჯს კამათის მიუხედავად პენალტს ვერ გამორჩა. ის კი არა, გაფრთხილებაც დაიმსახურა და კაპიტანი ვარ, სიტყვა მეთქმისო, ამის ახსნამაც ვეღარ უშველა — 2:2.

პირველ დივიზიონში შაბათს არ უთამაშია კოჭის ტრავმის გამო სათადარიგოდ გამწესებულ თემურ ქეცბაიას და უმისოდ შინ „ტრანმერთან“ დამარცხებულმა „ვულვერჰემპტონმა“ გათამაშების ცხრილში კარგა ღრმად დაყვინთა. თუმცა, თემურმა გუშინწინ შეცვლაზე ითამაშა „შეფილდ იუნაიტედთან“ და მასპინძლებს ქულა მოაპოვებინა.

ბრიტანეთში მოთამაშე კიდევ ერთი ქართველის, გიორგი ნემსაძის გუნდმა კი გვარიანად იხეირა. საშინაო ფრე ვისთვის დანაკარგია და ვისთვის მიღწევა. თუ „დერბი“ „ჩარლტონთან“ დაკარგულ ორ ქულას მისტირის, „დანდი“ „რეინჯერსთან“ დაზავებას მონაპოვრად მიიჩნევს.

ნემსაძე „დანდის“ ძირითადს დაუბრუნდა და ნახევარდაცვა გააძლიერა, „რეინჯერსი“ კი თვით ექსბარსელონელ რონალდ დე ბურით გაძლიერებული ეწვია დანდის. გიორგის მატჩის მიწურულს გათანაბრებულზე თანაგუნდელთა დაწინაურების საგოლე შანსიც ჰქონდა, მაგრამ ვერ გამოიყენა.

შვეიცარიაში კვლავ გაიტანა მიხეილ ყაველაშვილმა, რომელმაც „ბაზელთან“ სტუმრად ანგარიშის გათანაბრებით „ციურიხს“ საგარეო ქულა მოუნადირა.

დიდი ანგარიშით, 0:6 დამარცხდა ლევან ხომერიკის „არაუ“ ყაველაშვილის ყოფილ კლუბთან, „გრასჰოპერთან“.

რუსეთში ჩემპიონატს თასის მეთექვსმეტედფინალი ჩაენაცვლა და მერვედფინალში მხოლოდ სამი ქართველის გუნდი გავიდა. აღსანიშნი ზაზა ჯანაშიას 120-წუთიანი კარგი თამაში, შეცვლაზე შესული მიხეილ ჯიშკარიანის 14 წუთში გაძევება და „ალანიას“ მესამედივიზიონელ ურენის „ენერგეტიკთან“ გამოვარდნა იყო.

„სად არის მერვედფინალის ურენი“? პირველ გვერდზევე კითხულობს ორშაბათის „სპორტ ეკსპრესი“, გულისხმობს რა ურენში დონეს (ეროვენს) და ნიჟნი ნოვგოროდის გუბერნიის წყალტუბოსხელა ქალაქის გუნდის მერვედფინალში მოხვედრისთვის უმაღლესლიგელებს ასილაქებს.

ჯერ ფოთის „კოლხეთმა“ უეფას თასზე მინსკის „დინამოსთან“, მერე კი ქუთაისის „ტორპედომ“ ინტერტოტოზე ბელგიურ „ლომელთან“ ცუდად დასცადეს რუსი ანდრეი ბუტენკოს მსაჯობა. ასე მოუვიდა „ტორპედო ზილის“ მიხეილ ჯიშკარიანსაც, რომელიც ბუტენკომ შეცვლაზე შესვლიდან ნახევარ საათში გააძევა, თამაშით კი სულ 14 წუთს ათამაშა.

ჯიშკარიანი იგნატიევმა ძირითადი დროის გასრულებამდე ათი წუთით ადრე შეუშვა მოედანზე. ათ წუთში ბუტენკომ მოსკოვის დინამოელი გრიშინი სიმულაციისთვის მეორედ გააფრთხილა და დამატებითი დროის წინ სხვა ფეხბურთელებთან ერთად გასახდელისკენ მიუთითა. დამატებითი დრო ახალი დაწყებული იყო, ბუტენკომ ახლა „დინამოს“ თავკაცი ვალერი გაზაევი რომ გააძევა და სათადარიგოთა სკამიდან ტრიბუნაზე გაუშვა. ასეთ უთანასწორობას შეცვლა სჭირდებოდა და მსაჯმა ოვერტაიმის მეოთხე წუთზე ჯიშკარიანი გააძევა — ოქმში კი მიზეზად ეს ჩაწერა — მეტოქეზე თავის დარტყმა.

სხვაგან არსად წერია, რა ან რატომ დაარტყა ჯიშკარიანმა მეტოქეს, ერთი კი ფაქტია, გუნდს აშკარად გამოაკლდა და მატჩისშემდგომი პენალტებისას საფირმო თერთმეტმეტრიანით ვერ შეეშველა.

როგორ ითამაშეს ჩვენმა უკრაინელმა ლეგიონერებმა, ამის თაობაზე სამშაბათის „სარბიელშიც“ ვწერდით. ამიტომ დღეს მხოლოდ ამას გავიმეორებთ:

ნავსი გატეხა და გოლი გოლს წააწყო გიორგი დემეტრაძემ, რომელმაც პოკერს ახლა დუბლიც მოაყოლა.

თითო გაუტანეს კაიდარაშვილის „კრივბასს“ გოჩა ტრაპაიძემ და ვასილ გიგიაძემ. გიგიაძე კი კიდევ ერთი საგოლე პასით, დემეტრაძის დარად მატჩის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს.

მოლდოვურ ლეგიონს შეემატა ტრავმამოშუშებული გიორგი რევაზიშვილი, რომლის „შერიფიდან“ კიშინიოვის „ჰაიდუკ სპორტინგში“ გადასვლის ამბავი ახლახან შევიტყვეთ.

გუშინ თარხნიშვილის და მუჯირის „შერიფი“ „კონსტრუქტორულს“ გამოტოვებულ მატჩში სტუმრად ეთამაშა და 2:0 მოუგო. მეორე გოლი პენალტით დავით მუჯირმა გაიტანა.

განახლდა აზერბაიჯანის ჩემპიონატი, სადაც ორი ქართველის „ხაზარი“ შინ 2:2 დაუზავდა გაზერბაიჯანელებულ ბაღრი კვარაცხელიას ჩემპიონ „შამქირს“. კახაბერ ძებისაშვილის დუბლს კულიკოვი და კვარაცხელიამ უპასუხეს.

ვახტანგ მზიკაძე

სახელი	გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა	თ	გ	ა
გერმანია									
ბუნდესლიგა									
ალექსანდრე	იაშვილი	ფრაიბურგი	ს	ჰანზა 0:0	90		4	0	8
ლევან	კობიაშვილი	ფრაიბურგი	ს	ჰანზა 0:0	63	შეცვალეს	4	1	8
ლევან	ცქიტიშვილი	ფრაიბურგი	ს	ჰანზა 0:0	90		3	0	8
არჩილ	არველაძე	კიოლნი	შ	ლევერკუზენი 1:1	78	შეცვალეს	4	0	12
მეორე ბუნდესლიგა									
მიხეილ	საჯაია	როიტლინგენი	ს	ნიურნბერგი 0:2	0	შემადგენლობაში ვერ მოხვდა	1	0	8
ინგლისი									
პრემიერლიგა									
გიორგი	ქინქლაძე	დერბი	შ	ჩარლტონი 2:2	30	შეცვლაზე ითამაშა	2	0	16
რატი	ალექსიძე	ჩელსი	ს	ნიუკასლი 0:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	10
პირველი დივიზიონი									
თემურ	ქეცბაია	ვულვზი	შ	ტრანმერი 1:2	0	სათადარიგო	4	2	18
		ვულვზი	შ	შეფილდ იუნ. 1:2	53	შეცვლაზე ითამაშა	5	2	16
შოტლანდია									
პრემიერლიგა									
გიორგი	ნემსაძე	დანდი	შ	რეინჯერსი 1:1	90		5	0	5
ჰოლანდია									
უმაღლესი ლიგა									
შოთა	არველაძე	აიაქსი	შ	გრონინგენი 3:1	82	შეცვალეს	4	2	4
გოგა	გახოკიძე	პსვ ეინდჰოვენი	ს	სიტარდი 3:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	6
ბელგია									
უმაღლესი ლიგა									
გელა	შეყილაძე	ლიერსი	ს	შარლეროა 0:2	90		4	0	8
ლაშა	ჯაკობია	აალსტი	შ	ლოკერენი 2:2	0	საქართველოში იმყოფება	0	0	17
შვეიცარია									
უმაღლესი დივიზიონი									
გოჩა	ჯამარაული	ციურიხი	ს	ბაზელი 1:1	90		9	2	8
მიხეილ	ყაველაშვილი	ციურიხი	ს	ბაზელი 1:1	90	1 გოლი	8	5	8
ლევან	ხომერიკი	არაუ	ს	გრასჰოპერი 0:6	90		10	2	10
რუსეთი									
ჭეჭნის თასის მეთექვსმეტედფინალი									
ზაზა	ჯანაშია	ლოკომოტივი	ს	ტომი 1:0 დ.დ.	120		1	0	
ოთარ	ხიზანეიშვილი	სპარტაკი	ს	ნოსტა 4:1	0	ტრავმირებული იყო	0	0	
მიხეილ	აშვეთია	ალანია	ს	ენერგეტიკი 1:2 დ.დ.	40	შეცვლაზე ითამაშა	1	0	
მამუკა	წერეთელი	ალანია	ს	ენერგეტიკი 1:2 დ.დ.	0	დისკვალიფიცირებული იყო	0	0	
დავით	გვარამაძე	კრილია	ს	ჟემჩუჟინა 1:0 დ.დ.	0	სათადარიგო	0	0	
ზურაბ	ფოფხაძე	ნ.ნოვგოროდი	ს	სოკოლი 2:6	0	თამაშის უფლება არ ჰქონდა	0	0	
დავით	ხმელიძე	როსტსელმაში	ს	ირტიში 0:2	0	სათადარიგო	0	0	
გიორგი	დავითნიძე	ურალანი	ს	არსენალი 1:1 პ.2:3	0		0	0	
მიხეილ	ჯიშკარიანი	ტორპედო ზილი	შ	დინამო 2:2 პ.4:5	14	შეცვლაზე ითამაშა, გააძევეს	1	0	
გოჩა	გოგრიჭიანი	ჟემჩუჟინა	შ	კრილია 0:1 დ.დ.	90		2	0	
უკრაინა									
უმაღლესი ლიგა									
კახა	კალაძე	დინამო	შ	სტალი 2:0	90		3	0	1
გიორგი	დემეტრაძე	დინამო	შ	სტალი 2:0	90	2 გოლი 1 პენალტით	8	7	1
ალექსანდრე	კაიდარაშვილი	კრივბასი	ს	ტავრია 0:3	17	შეცვლაზე ითამაშა	3	0	10
ვიტალი	დარასელია	ცსკა	ს	კარპატი 0:1	0	იტალიურ „რეჯანაში“ ისინჯება	1	0	8
გოჩა	ტრაპაიძე	ტავრია	შ	კრივბასი 3:0	66	1 გოლი, შეცვალეს	5	1	6
ვასილ	გიგიაძე	ტავრია	შ	კრივბასი 3:0	90	1 გოლი, 1 საგოლე პასი	2	1	6
მიხეილ	ფოცხვერია	დნიპრო	შ	შახტარი 1:4	45	შეცვალეს	6	0	3
ავთანდილ	კაპანაძე	ნივა	ს	მ.ზაპოროჟიე 0:2	86	შეცვალეს	7	2	12
ტარიელ	კაპანაძე	ნივა	ს	მ.ზაპოროჟიე 0:2	90		7	0	12
კახა	დგებუაძე	ნივა	ს	მ.ზაპოროჟიე 0:2	90		9	2	12
ავთანდილ	სიხარულიძე	ნივა	ს	მ.ზაპოროჟიე 0:2	4	შეცვლაზე ითამაშა	4	0	12
შოთა	ჩომახიძე	ნივა	ს	მ.ზაპოროჟიე 0:2	61	შეცვალეს	5	1	12
ავთანდილ	გვიანიძე	ნივა	ს	მ.ზაპოროჟიე 0:2	90		2	1	12
ისრაელი									
უმაღლესი ლიგა									
გივი	დიდავა	მ.თელ ავივი	ს	ჰ.ფეთაჰ თიქვა 1:3	90		4	0	9
კობა	წიტაიშვილი	ი.რიშონი	ს	ცაფრირიმი 2:2	0		3	1	8
პოლონეთი									
უმაღლესი ლიგა									
მამია	ჯიქია	რუხი	შ	გკს კატოვიცე 0:0	57	შეცვალეს	2	0	16
მოლდოვა									
უმაღლესი ლიგა									
ლადო	ახალაია	ზიმბრუ	ს	ტილიგული 1:1	?		?	1	1
ლევან	გვაზავა	ზიმბრუ	ს	ტილიგული 1:1	?		?	0	1
ვაჟა	თარხნიშვილი	შერიფი	ს	აგრო 2:0	90		4	0	3
		შერიფი	ს	კონსტრუქტ. 2:0	90		5	0	3
დავით	მუჯირი	შერიფი	ს	აგრო 2:0	?		3	1	3
		შერიფი	ს	კონსტრუქტ. 2:0	90	1 გოლი პენალტით	4	2	3
გიორგი	რევაზიშვილი	ჰაიდუკი	ს	ნისტრუ 1:3	90		3	0	1
აზერბაიჯანი									
უმაღლესი ლიგა									
ვარლამ	კილასონია	ტურანი		ტური გამოტოვა			2	1	10
გია	კილასონია	ტურანი		ტური გამოტოვა			3	2	10
ჯაბა	ნიკლაური	ტურანი		ტური გამოტოვა			3	0	10
მამუკა	ხუნდაძე	ქიაფაზი	შ	ყარაბღი 2:1	90		3	1	4
კახაბერ	ძებისაშვილი	ხაზარი	შ	შამქირი 2:2	90	2 გოლი	3	3	7
გიორგი	თვალაბეიშვილი	ხაზარი	შ	შამქირი 2:2	57	შეცვალეს	2	0	7
ჩემპიონთა ლიგა									
ჯგუფური ტურნირის პირველი ტური									
ოთარ	ხიზანეიშვილი	სპარტაკი	შ	ლევერკუზენი 2:1	0	ტრავმირებული იყო	0	0	1
უეფას თასი									
პირველი ეტაპი									
შოთა	არველაძე	აიაქსი	ს	გენტი 6:0	70	1 გოლი, შეცვალეს	1	1	
გელა	შეყილაძე	ლიერსი	შ	ბორდო 0:0	81	შეცვალეს	3	0	

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

სპარტაკი 2:0 ლევერკუზენი

1:0 ტიტოვი (51), 2:0 ბეზროდნი (89)
პარფიონოვმა ვერ გაიტანა პენალტი (90, ძელი)
სპარტაკი: ფილიმონოვი, კოვტუნი, ანანკო, პარფიონოვი, ბულატოვი, ტიტოვი, ტიხონოვი, ბეზროდნი, შტოლცერსი (ბარანოვი 46), შირკო (მარკაო 74), რობსონი (კალინიჩენკო 75)
მწვრთნელი: ოლეგ რომანცევი
ლევერკუზენი: ცუბერბიულერი, რ. კოვაჩი, იენს ნოვოტნი, ფიკოვიჩი, ზე რობერტო (ბრდარიჩი 61), ბალაკი, ვრანიეში, ოჯიგვე (შნაიდერი 62), რამელო, რინკი, ნოიფილი
მწვრთნელი: კრისტოფ დაუმი
მსაჯი: პოლ დარკინი (ინგლისი)
42 000 მაყურებელი

სპორტული რუსეთი ჭკუიდან გადადგა: სამ დღეში ორი ასეთი წარმატება! ჩოგბურთელ მარატ საფინს სამშაბათს მხარი მოსკოვის „სპარტაკმაც“ აუბა და ლიგაში პირველი სამი ქულა (შესაბამისი თანხაც) მიითვალა.

არადა, ოლეგ რომანცევის გუნდმა გოლები სწორედ იმ ტაიმში გაიტანა, ლამის პირწმინდად რომ წააგო. ტიტოვის გოლამდე ნახევარი წუთით ადრე ანგარიში სტუმარ რინკს უნდა გაეხსნა, მაგრამ თანაგუნდელთა დარად გადამწყვეტ მომენტში ვერ ივარგა — ფილიმონოვმა მისი დარტყმული ფეხით მოიგერია. ცენტრის აქეთ ბურთის გადმოსვლა, შირკოს პასი და ტიტოვის გოლიც ერთი იყო. ამის მერე ბალაკს, ნოიფილს და ისევ ბალაკს შეეძლოთ ნახევარმილიონფრანკიანი გოლის გატანა (ლიგაში თითო ქულა სწორედ ამდენად ფასობს), მაგრამ კარის ბადე ისევ საპირისპირო მხარეს შეირხა, როცა შეცვლაზე შესული ბრაზილიელი მარკაოს პასით ბეზროდნიმ იხეირა.

ტიტოვი, ბეზროდნი... განგებამ კრისტოფ დაუმის გუნდს ფათერაკი სწორედ იმათგან შეჰყარა, ლევერკუზენთან ურთიერთობა აღრეც რომ ჰქონიათ: ტიტოვმა ტრავმა სწორედ ამ ქალაქში, ცნობილი გერმანელი პროფესორის დახმარებით მოირჩინა, ბეზროდნი კი ცოტა ხნის წინ თვით „ბაიერში“ ისინჯებოდა, მაგრამ დაიწუნეს...

„სპარტაკი“ უპირატესობას პირველ ტაიმში ფლობდა. მოსკოველებმა ამჯერად უარი თქვეს მეტოქის საჯარიმოსთან საფირმო, უფრო ხელბურთისთვის დამახასიათებელ ბურთის გათამაშებაზე, თუმცა ამით არაფერი წაუგიათ. ისე, საწყისი 45 წუთის ყველაზე სახიფათო მომენტიც მასპინძელთა კართან შეიქმნა, როცა ბალაკმა უმეკარეოდ დარჩენილ ოთხკუთხედში დარტყმა დააყოვნა, დაგვიანებული კი კარის ხაზიდან პარფიონოვმა გამოიტანა. ამ მომენტში რუსებს აშკარა თამაშგარე ეგონათ, თუმცა თანამსაჯმა ასე არ განსაჯა, რისთვისაც მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე რომანცევის რისხვა დაიმსახურა.

REUTERS მოსკოვიდან

სპარტაკი — ლევერკუზენი 2:0. პენალტის ამცილებელმა დმიტრი პარფიონოვმა (მარცხნივ) თავის გამოჩენა არც ბაიერელ პაულო რინკს დაანება

პარფიონოვი კი მატჩის ბოლო წუთზეც გამოირჩა, როცა გერმანელებს გამანადგურებელი ანგარიში ველარ აკადრა და პენალტის ნიშნულიდან ბურთი ძელს გაარტყა.

რუსული სპორტული მედია ჭკუიდან გადადგა — ტიტოვის გოლი პირველია წლევანდელ ლიგაში (ეს მატჩი, ცხადია, სხვებზე გაცილებით ადრე დაიწყო) და ეგებ ბოლოც „სპარტაკისა“ გამოდგესო.

ნეტარ არიან მორწმუნენი.

სპორტინგი 2:2 რეალი

1:0 ზა პინტუ (38), 2:0 ანდრე კრუზი (42), 2:1 რობერტო კარლოსი (50), 2:2 რუი ფორეე (70ს.ჯ.)
სპორტინგი: შმაიხელი, პრატესი, ბეტუ სევერუ, ანდრე კრუზი, რუი ფორეე, უგო (კაირეში 72), ზა პინტუ (პიმენტა 80), ბინუ, პორვატი, ფოაუ პინტუ (ტოკიტო 84), ალბერტო აკოსტა
მწვრთნელი: აუგუსტო ინასიო
რეალი: კასილიასი, სალგადო, კამპო, ელგერა, რობერტო კარლოსი, ფლავიო კონსეისაო (გუტი 60), მაკელელე (სელადესი 60), ფიგუ, საგიო, რაული, მუნტანისი (ფულიო სეზარი 89)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
მსაჯი: ალფრედო ტრენტალანჯე (იტალია)
42 000 მაყურებელი

ლისაბონშიც, მოსკოვური მატჩის დარად, მეტოქეებმა ტაიმები „დაინაწილეს“, თუმცა აქ ყველაფერი ლოგიკურად დამთავრდა: მატჩის „სპორტინგულ“ ნახევარში წყვილი გოლი კანისარესის კარში გავიდა, „რეალურ“ ტაიმში კი ამდენივე იმავე კარში, ოღონდ შმაიხელის ზურგსუკან აღმოჩნდა.

მასპინძელთა უდავო უპირატესობა პირველ ტაიმში იმდენად თვალსაჩინო გახლდათ, რომ ეს ფაქტი დელ ბოსკესაც არ დაუფარავს. ლისაბონელები გაცილებით სწრაფად თამაშობდნენ (მუხრუჭს ფეხი საერთოდ აუშვესო — წერდა „როიტერის“ მიმომხილველი), დრო და დრო კი თასის მფლობელს ბურთს უმალავდნენ. შედეგად, ჯერ ზა პინტუმ თაურით, ოთხ წუთში კი ანდრე კრუზმა ოცმეტრიანი საჯარიმო დარტყმით სტუმრები კატასტროფის წინაშე დააყენეს.

მატჩის შემდეგ „სპორტინგის“ მწვრთნელი აუგუსტო ინასიო იტყვის: ჩვენ რომ ჩემპიონთა ლიგაში თამაშის სულ მცირე გამოცდილებაც გვქონდა, დღევანდელი მატჩი ასე არ დამთავრდებოდაო. დიახაც, ალბათ სწორედ უდიდესმა ევროგამოცდილებამ იჩინა თავი მეორე ტაიმში. ცხადია, „რეალზე“ გვაქვს საუბარი.

... რობერტო კარლოსმა იმავე 20 მეტრიდან გლიჯა თავისებური, თან ბურთი ცოცხალი კედლის სწორედ იმ ადგილას გააძვრინა, საიდანაც მისმა თანაგუნდელმა გაიყვანა „ზედმეტი“ კაცი. 70-ე წუთზე კი რაულის უზუსტოდ დარტყმულმა ბურთმა გზად რუი ჟორჟეს ფეხი მოიებანა, და შმაიხელის მიღმა აფართხალდა.

ბოლოს ფიგუს შეეძლო ყოფილი გუნდის მთლად ნოლზე დატოვება, მაგრამ პორტუგალიელები დანიელმა მეკარემ იხსნა. ალბათ, ამაზე თქვა დელ ბოსკემ — სულ ვგრძნობდი, რომ მატჩის ბედი ბოლო წუთებში უნდა გადაგვწყვიტა, მაგრამ არ გამოგვივიდაო.

იმედია, მომავალ ოთხშაბათს გამოუვა. იმ დღეს „რეალი“ ჯგუფის ლიდერს მასპინძლობს.

ზიგა კოგანიძე

	A ჯგუფი	1	2	3	4	ბ	ქ
1	სპარტაკი		27.09	7.11	2:0	2:0	
2	სპორტინგი	17.10		2:2	7.11	2:2	1
3	რეალი	20.09	25.10		17.10	2:2	1
4	ლევერკუზენი	25.10	20.09	27.10		0:2	0

შახტარი 0:3 ლაციო

0:1 კლაუდიო ლოპესი (27), 0:2 ნედვედი (70), 0:3 ინძაგი (80)
შახტარი: ვირტი, გლევეცკასი, ტიმოშჩუკი, პოპოვი, ბახარევი, ზუბოვი, ატელკინი, ვორობეი, ხმარკო, შევჩუკი, აბრამოვი (ბიელიკი 79)
მწვრთნელი: ვიქტორ პროკოპენკო
ლაციო: პერუცი, ნესტა, პანჯარო, ფავალი, მიხაილოვიჩი (ფერნანდუ კოუტუ 55), სიმეონე (სალასი 86), ნედვედი, სტანკოვიჩი (ლომბარდო 84), ვეერონი, კლაუდიო ლოპესი, ს. ინძაგი
მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი
მსაჯი: მიშელ პირო (ბელგია)
31 000 მაყურებელი

კიევის „დინამოს“ შემყურე დონეცკის „შახტარის“ ლიგაში მოხვედრა თითქოს მოულოდნელი არც იყო, მაგრამ სამშაბათ საღამოს მაღაროელთა ქალაქის სიამაყემ ისე უსუსურად ითამაშა, ღმერთმანი, საქართველოს გუნდი გეგონებოდათ.

დონეცკელებს დიდი ფეხბურთი ერთობ მონატრებოდათ და მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში არცთუ მშვიდი სიტუაციაა, სტადიონი მაინც გადაავსეს.

გუშინწინ დონეცკი მიტინგებმა შეჭამა. მოგეხსენებათ, იქ რუსულენოვანი მოსახლეობა ჭარბობს უკრაინულისას და, როცა უკრაინულის აუცილებლად შესწავლის კანონი მიიღეს, ხალხიც ქუჩაში გავიდა. ბევრი საბჭოთა დროშასაც აფრიალებდა და ბრეჟნევის „ტკბილ დროს“ მისტიროდა.

სტადიონზე კი ტევა არ იყო. „შახტარმაც“ ლიგის სადებიუტო მატჩი რიხით დაიწყო, მაგრამ...

გახსოვთ 80-იანი წლების ბოლოს თბილისის „დინამო“? საშინაო შეხვედრებში დიდად ინდომებდა, მთელი თამაში უტევდა, მაგრამ ერთი კონტრშეტევა გაეპარებოდა და აგებდა. აი, ასეთი იყო სამშაბათს „შახტარი“: დაგეშილი, მონდომებული, მაგრამ უკლასო და საცოდავი.

სვენ გორან ერიკსონის „მსოფლიოს ნაკრებმა“ უკრაინელებს ისე მოუგო, პატარა ბავშვებს რომ გაბითურებენ ხოლმე. არადა, საარაკო ფულის ხარჯვის მიუხედავად, „ლაციოს“ მაინც აკლია ის, რაც დიდი გუნდისთვის ყველაზე მთავარია: თვითმყოფადობა და სოლიდურობა.

„შახტარმა“ 70-ე წუთამდე გააფთრებით იბრძოლა, არანორმალურად ირბინა და იმოძრავა, მაგრამ როცა სტუმართა ჩეხმა პაველ ნედვედმა მეორე შეაგდო, ყველაფერი დამთავრდა. მასპინძლებმა ყურები ჩამოყარეს და ბოლო ოცი წუთი წვალება უფრო იყო, ვიდრე ფეხბურთის თამაში. სიმონე ინძაგის მესამე გოლიც აღარაფრის მნიშვნელი გამოდგა. ანგარიში კი შარშანდელი ლიგის ერთ-ერთმა გმირმა, „ვალენსიიდან“ „ლაციოში“ გადასულმა არგენტინელმა კლაუდიო ლოპესმა გახსნა.

ჟურნალისტებმა გამოქექეს: თურმე ეს გუნდები დონეცკში 1964 წელს ამხანაგურად შეხვედრიან ერთმანეთს და „შახტარს“ 1:0 მოუგია. როცა ეს ამბავი მატჩამდე ერიკსონისთვის უთქვამთ, შვედიც უმალ გამოცოცხლებულა: რაღა გინდათ, გამარჯვებისთვის დამატებითი მოტივაციაც გვქონიაო — გაუხუმრია. მაგრამ, რა დასამალია და, „ლაციოს“ არანაირი მოტივაცია არ სჭირდებოდა, რომ მოენდომებინა იმდენს გაიტანდა, რამდენსაც მოისურვებდა.

„ტოტალიზატორებზე არ ვბრაზობ. მართალია მათ კლასიფიკაციაში „ლაციო“ პირველია, „შახტარი“ კი ბოლო, 32-ე, მაგრამ ჩვენ დანებებას სულაც არ ვაპირებთ. მიმაჩნია, რომ ჯგუფიდან გასვლის შანსი ყველას აქვს“ — ეს „შახტარის“ მწვრთნელის ვიქტორ პროკოპენკოს სიტყვებია.

„მშვენიერი და ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი იყო. ბედნიერი ვარ, რომ ტურნირი ასეთი ლამაზი გამარჯვებით დავიწყეთ. კარგი იქნება, თუ თამაშის ასეთ ხარისხს ლიგის ბოლომდე შევინარჩუნებთ. გულშემატკივრები ჩვენგან თასის მოგებას მოითხოვენ და ვეცდებით არ გავაწბილოთ“ — იტალიელთა მწვრთნელის ეს სიტყვები, მისი კოლეგის ნაუბრისგან განსხვავებით, უფრო რეალური ჩანს.

REUTERS დონეცკიდან

შახტარი — ლაციო 0:3. ალესანდრო ნესტამ და „ლაციომ“ ლიგის დებიუტანტ ანდრეი ვორობეისა (№11) და მის „შახტარს“ საფეხბურთო გაკვეთილი ჩაუტარეს

სპარტა 0:1 არსენალი

0:1 სილვინიო (33)
სპარტა: პოსტულკა, გრიგერა, ზ. სვობოდა, ირჟი ნოვოტნი, კინჩლი (ზიგლი 62), ობაიდინი, ბოლფი, პ. ნოვოტნი, პაპუშეკი (პროხაზკა 79), როსიცკი, მინარი (ფლახბარტი 86)
მწვრთნელი: ივან ჰაშეკი
არსენალი: სიმენი, დიქსონი, კიოუნი, ლუჟნი, სილვინიო, ვიეირა, პირესი, ლიუნგბერგი (ვივასი 80), გრიმანდი, კანუ, ანრი (ვილტორდი 77)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
მსაჯი: ფილ ვესიე (საფრანგეთი)
17 666 მაყურებელი

„არსენალის“ ბრაზილიელი სილვინიოს ინდივიდუალურმა ოსტატობამ „მეთოფეებს“ პირველი სალიგო გამარჯვება მოუტანა.

პრაღაში, „სპარტასთან“ მატჩის 33-ე წუთზე, სილვინიომ მოწინააღმდეგის საჯარიმოში რობერ პირესისგან მიიღო პასი, სამი მცველი ცრუ მოძრაობით ჩამოიცილა და მეკარე ტომაშ პოსტულკასაც აჯობა.

„ბრწყინვალე გოლი იყო“ — ნამატჩევს აღფრთოვანებას ვერ ფარავდა სტუმართა მენეჯერი არსენ ვენგერი.

„არსენალს“ კიდევ შეეძლო გატანა. პირველ ტაიმში ტიერი ანრის თავური ოდნავ ასცდა მიზანს. სამაგიეროდ, მალევე დევიდ სიმენს თავისი სამეკარეო ცოდნის გამომზეურება მოუხდა, როცა სპარტელი პაველ ნოვოტნის ურთულესი თავური მოიგერია.

მასპინძელთაგან თავის გამოჩენა პეტრ პაპუშეკსა და იოჟეფ ობაიდინსაც მართებდათ: „ფეხბურთელებს ვერ გავამტყუნებ. რაც შეეძლოთ, ყველაფერი გააკეთეს. თამაშსაც ვაკონტროლებდით და ხელსაყრელი მომენტებიც გვქონდა, მაგრამ...“

„სპარტას“ მწვრთნელმა ივან ჰაშეკმა ყველაფერი იღბალს დააბრალა.

სოლომონ გულისაშვილი

	B ჯგუფი	1	2	3	4	ბ	ქ
1	ლაციო		17.10	20.09	25.10	3:0	3
2	არსენალი	27.09		25.10	20.09	1:0	3
3	სპარტა	7.11	0:1		27.09	0:1	0
4	შახტარი	0:3	7.11	17.10		0:3	0

ვალენსია 2:1 ოლიმპიაკოსი

1:0 ბარახა (36), 2:0 დიეგო ალონსო (44), 2:1 ჯორჯევიჩი (73)

ვალენსია: კანისარესი, ანგლომა, პელეგრინო, ჯუკიჩი, კარბონი, მენდიეტა, დეშამპი, ბარახა, კილი გონსალესი, ზაპოვიჩი (ხუან სანჩესი 63), დიეგო ალონსო

მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი

ოლიმპიაკოსი: ელეფთეროპულოსი, მავროგენიდისი, ამანატიდისი, პაცაოღლუ, კონტისი, ჯორჯევიჩი, ზე ელიასი, პურსანიდისი, ლუსიანო, ზეტერბერგი, ჯოვანი

მწვრთნელი: იანის მაცურაკისი

მსაჯი: ანდრეს ფრისკი (შვედეთი)

44 000 მაყურებელი

REUTERS ვალენსიიდან

ვალენსია — ოლიმპიაკოსი 2:1. მსოფლიოს ჩემპიონის დიდი დეშამპის (№4) შეჩერებას ზე ელიასი (ძირს) და ხრისტოს კოხტისი ამაოდ ცდილობენ

ზლატკო ზაჰოვიჩმა ძველ თანაგუნდელებს უმასპინძლა. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ „ოლიმპიაკოსში“ იანის მაცურაკისი სლოვენიელს დიდად არ სწყალობდა, ზაჰოვიჩს განსაკუთრებული მონდომებით უნდა ეთამაშა. ასეც იყო, ფეხბურთელს თავი არ დაუზოგავს, თუმცა ბევრი არაფერი გამოუვიდა. მატჩის გმირები იმ დღეს სხვები იყვნენ.

უპირველესად გაისკა მენდიეტა ვახსენოთ, რომელიც ვალენსიელთა ორივე გოლის თანაავტორი გახდა: ჯერ რუბენ ბარახას გაატანინა თავურით კუთხურის შემდეგ, ტაიმის მიწურულს კი ურუგვაელ დიეგო ალონსოს მოემსახურა.

მეორე ტაიმი სტუმრებმა უფრო აგრესიულად დაიწყეს, თუმცა მასპინძელ თავდამსხმელთაგან შეშინებულები იძულებულნი იყვნენ, უსაფრთხოებაზე ეზრუნათ. ეს იმანაც განაპირობა, რომ ბერძნებს გრიგორიოს ვეორგატოსი და გიორგიოს ანატოლაკისი დამტვრეული ჰყავთ და შემადგენლობაში აქამდე ლიგაში ფეხშუდგმელი ხრისტოს პაცაღოღლუ დააყენეს. მოკლედ, თავდასხმაში ბრაზილიელი ჯოვანი სილვა დე ოლივეირა მარტოკაცად დარჩა.

„ვალენსია“ კვლავ უტევდა. იმავ დიეგო ალონსოს ანგარიშის მეტად გაზრდის ორი კარგი შესაძლებლობა მიეცა, მაგრამ ოდნავ არაზუსტად დაარტყა. გათამამდნენ მასპინძელთა მცველებიც. მაურისიო პელეგრინო და ამადეო კარბონი თავიანთ ზონებსაც მეთვალყურეობდნენ და რამდენიმე სახიფათო იერიშშიც ჩაერთვნენ. ცხადია, კარგად ირჯებოდა მენდიეტაც.

73-ე წუთზე ბურთმა სანტიაგო კანისარესის კარის ბადე შეარხია. ბერძენთა იუგოსლავიელმა პრედრაგ ჯორჯევიჩმა უკანმოუხედავად შეტევაში გადართული მასპინძლები დასაჯა.

როგორ ფიქრობთ, რა მოხდებოდა შემდეგ? წესით და რიგით, ვალენსიელებს დარჩენილ 17 წუთში დაცვაზე უფრო უნდა ეფიქრათ, რათა სამი ქულა ერთად არ ქცეოდათ, მით უმეტეს, ამ მატჩამდე სამი დღით ადრე „რეალთან“ განცდილ მწარე მარცხს მათთვის ჭკუა უნდა ესწავლებინა. მაშინ, პრიმერადივიზიონის პირველ ტურში ბოლო წუთებზე წაგებული მატჩის შემდეგ, ექტორ რაულ კუპერმა განაცხადა: „მოგებული თამაში შვიდ წუთში დავთმეთ, ჩვენმა ამბიციურობამ დაგვღუპა. გოლი რომ გავიტანეთ, საკუთარ უსაფრთხოებაზე უნდა გვეზრუნა, ჩვენ კი შეტევები განვაგრძეთ.“

ეს ამბავი იმიტომ გავიხსენეთ, რომ ასე იყო „ოლიმპიაკოსთანაც“. ერთმა გაშვებულმა გოლმა მასპინძლები ვერ შეაშინა და მესამეს გატანის წყურვილით კვლავაც წინ მიიწევდნენ. კინაღამ გაიტანეს: 81-ე წუთზე ამადეო კარბონის დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა.

დავუმატოთ, რომ თამაში საკმაოდ უხეში გამოდგა და ევრო 2000-ის ფინალის განმსჯელმა შვედმა ანდრეს ფრისკმა ყვითელი ბარათები ბლომად ააფრიალა. უფრო სტუმრები სცოდავდნენ, ხოლო კილი გონსალესი და მენდიეტა კამათის გამო დაისაჯნენ.

ლიონი 3:1 ჰერენვენი

1:0 ანდერსონი (2), 2:0 ჰუტუინი (10ს.ჯ.), 2:1 ტალანი (35), 3:1 მარლე (58)

ლიონი: კუპე, დეფლანდრე, ლავილი (მიულერი 60), კარტერონი, ბრეშე, ლეგლი, ფოე, დორასო, ლინარესი, მარლე (გოვუ 90), ანდერსონი (მალბრანკი 76)

მწვრთნელი: ჟაკ სანტინი

ჰერენვენი: ვონკი, ვენემა, ჰანსმა, გ. დე ნოიერი, რადომსკი, ნურმელა, ტალანი (ებინგე 83), იენსენი (ტუუტერუ 39), ლურლინგი, ჰუტუინი, ვან გესელი (ჰუიზინგი 72)

მწვრთნელი: ფოპ დე ჰაანი

მსაჯი: სტიუარტ დუგლასი (შოტლანდია)

30 000 მაყურებელი

ლიგის ახალწვეულმა ლიონის „ოლიმპიკმა“ ასევე დებიუტანტ „ჰერენვენს“ უმასპინძლა. თუმცა ერთიცაა: მატჩის შემხედვარე ჰოლანდიელთა დებიუტანტობას ადვილად ირწმუნებდა კაცი, ფრანგებს კი წინა სეზონში შეძენილი გამოცდილება გამოჰყოლოდათ, როცა ისინი უეფას თასზე თამაშობდნენ.

ლიონის „მუნისიპალ დე ჟერლანზე“ დაგვიანებით მისულ გულშემატკივრებს (თუკი ასეთები იყვნენ) არ გაუმართლათ, რადგან პირველი გოლი მატჩის დაწყებისთანავე გავიდა სტუმართა საჯარიმოში შექმნილი არეულობის შემდეგ.

რამდენიმე წუთიც და პირველს მეორე გოლი მოჰყვა, ამჯერად საკუთარ კარში. ჰერენვენელთა კარის ხაზთან დიდი ზედახორა იყო, პირველი გოლის ავტორ სონი ანდერსონისგან შევიწროებულ მაქს ჰუტუინს ბურთი ხელზე მოხვდა და კარში შეგორდა — შოტლანდიელ მსაჯ სტიუარტ დუგლასს არც გაემტყუნება, პენალტის დანიშვნის ნაცვლად გოლის ჩათვლა რომ ამჯობინა.

მატჩის ბედი ამ დროისთვის გადაწყვეტილი იყო. ლიონელმა თავდამსხმელმა სტივ მარლემ მოგვიანებით განაცხადა: „ორი გოლის გატანის შემდეგ მეტოქეს თამაშის საშუალება მივეცით. დაწყებიდან ათ წუთში, ფაქტობრივად, უმოტივაციოდ დავრჩით. მივხვდით — მოგება განალდებულ გვქონდა და ის ერთი საპასუხო ბურთიც იმიტომ გაგვიტანეს, რომ ყურადღება მოვადუნეთ“.

ფრანგთა მეკარე გრეგორი კუპემ თანაგუნდელისგან ოდნავ განსხვავებულად შეაფასა მატჩი: „უმეტესი დროის განმავლობაში მეტოქეს ფეხი არ გაუნძრევია, თითქოს თამაშის სურვილი არც ჰქონდა. ამიტომაც იყო, რომ უდავო უპირატესობას ვფლობდით. ამასთანავე, შეცდომებიც პრაქტიკულად არ დაგვიშვია“.

ასე იყო თუ ისე, ჰოლანდიელებმა პირველივე ტაიმში ერთი გოლი გაქვითეს, რაც მათი შესაძლებლობების ზღვარი აღმოჩნდა. მასპინძლებს კი მომენტები ბლომად ჰქონდათ, თუნდაც შეხვედრის დასრულებამდე რვა წუთით ადრე, როცა მათმა გამთამაშებელმა ვიკაშ დორასომ ბურთი ძელს გაარტყა. თუმცა ზემოთ ნახსენებ ორ გოლს ფრანგებმა მხოლოდ ერთიღა მიუმატეს. მარლეს ამ გოლს გადამწყვეტი მნიშვნელობა, მართალია, არ ჰქონია, მაგრამ ძალიან სასარგებლო გამოდგა — პირველი ტურის შემდეგ „ლიონი“ ჯგუფის სათავეში მოაქცია.

„ჩინებული სტარტი გვქონდა — მატჩის შემდეგ სიხარულს ვერ მალავდა ლიონელთა მწვრთნელი ჟაკ სანტინი — ცხადია, მომდევნო მეტოქეები „ჰერენვენზე“ ძლიერები გვყავს, მაგრამ კარგმა დასაწყისმა მიზნისკენ ერთი ნაბიჯი უკვე გადაგვადგმევინა. მიზანი კი ასეთი გვაქვს — შინ ქულები არ დავკარგოთ, გასვლითი შეხვედრებიდან კი ხელცარიელები არ დავბრუნდეთ“.

გათამამებულია ფრანგთა მეკარეც: „ჯერ კიდევ ბევრი უნდა ვისწავლოთ და გავაკეთოთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჯგუფიდან გასვლა შეგვიძლია“.

გასაოცარი იქნებოდა, სტუმართა დამრიგებელი ფოპ დე ჰაანი მატჩის შედეგით და თავისი შეგირდების თამაშით კმაყოფილი დარჩენილიყო, თუმცა ისიც სიმართლეა, რომ ჰერენვენელთაგან რაიმე განსაკუთრებულს არც არავინ ელოდა. ფოპ დე ჰაანი: „მატჩის დაწყებისთანავე დაშვებულმა ორმა სულელურმა შეცდომამ წაგვაგებინა. ფეხბურთელებს აუცილებლად ვუსაყვედურებ, ჩემპიონთა ლიგაში ასე გამოსვლა არ შეიძლება“.

გიორგი დარჯანია

	C ჯგუფი	1	2	3	4	ბ	ქ
1	ლიონი		17.10	7.11	3:1	3:1	3
2	ვალენსია	27.09		2:1	7.11	2:1	3
3	ოლიმპიაკოსი	20.09	7.11		27.09	1:2	0
4	ჰერენვენი	25.10	20.09	17.10		1:3	0

გალათასარაი 3:2 მონაკო

1:0 ჟარდელი (16), 2:0 ჰაჯი (29), 2:1 ნონდა (50), 2:2 სიმონე (62პ), 3:2 კაპონე (80)

გალათასარაი: ბულენთ ჩორქმაზი, პოპესკუ, ემრე, ოკანი (ბიულენთ აქინი 17), სუათი, ჰაჯი, დავალა უმითი (ჰასან სასი 67), კაპონე, ჟარდელი (მარსიო 90), ჰაქან უნსალი

მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ

მონაკო: პორატო, მარკეში, კრისტენვალი, ჯეტუ, ფიული, სიმონე, დაბო, ლეონარი (რიისე 9), ნონდა (პრსო 78), ბონალი (ფარნერუდი 90), ირლი

მწვრთნელი: კლოდ პუელი

გაძევება: ჰაჯი (69), დაბო (71)

მსაჯი: არტურო დაუდენ იბანიესი (ესპანეთი)

22 000 მაყურებელი

მალა ჭამაში მოდისო, სტამბოლის „გალათასარაიზეა“ ნათქვამი. თურქებს წლევანდელი უეფას თასი და ევროპის სუპერთასი გაუტკბათ და ახლა უფრო სოლიდური მიზანი დაისახეს — ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლა.

„ამას სენსაციად ნუ აღიქვამთ და კუდს ნუ გამოაბამთ“ — სთხოვა ჟურნალისტებს თურქული კლუბის რუმინელმა თავკაცმა მირჩა ლუჩესკუმ და დაამატა — „ჩვენ რეალურად შეგვწევს ამის ძალა“. ლუჩესკუს ეს განცხადება ორშაბათს, მატჩისწინა პრესკონფერენციაზე გააკეთა, მეორე დღეს კი „გალათასარაი“ საქმეს შეუდგა.

სამშაბათს სტამბოლს საფრანგეთის ჩემპიონი „მონაკო“ ეწვია. საინტერესო მატჩი გამოდგა, ინტრიგა რომ არ აკლდა, ისეთი. სტუმრებმა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. თავიდან კი გაუჭირდათ...

„კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჯოჯოხეთში“ — ბოლო დროს „გალათასარაის“ ნაგიჟარი ქომაგები სტამბოლში ჩასულ ყველა უცხოურ კლუბს ასეთი ტრანსპარანტებით ხვდებიან. ახლაც ასე იყო. „მონაკოსაც“, ვიდრე „ალი სამ იენის“ სტადიონზე გამეფებულ არცთუ სასიამოვნო ატმოსფეროს გაუშინაურდებოდა, დრო დასჭირდა, თუმც გონს რომ მოეგო, უკვე 0:2-ს აგებდა. მე-16 წუთზე ბრაზილიელმა ჟარდელმა გამოიჩინა თავი, „გალათასარაიში“ თავის მერვე მატჩში მე-13 გოლი გაიტანა, როცა მცველების შეცდომის შემდეგ ცარიელი კარის წინ დარჩენილმა ბურთი ლამის დაამიწა. მეორე გოლი კი ბრწყინვალე გახლდათ: „გალათასარაის“ ლიდერმა, რუმინელმა გეორგე ჰაჯიმ დაახლოებით 30 მეტრიდან ისეთი დაარტყა, ერთი კი არა, სამი პორატო ვერ აიღებდა.

ამის მერე „მონაკო“ გამოფხიზლდა და ნელ-ნელა მასპინძელთა საჯარიმოსაც შეეჩვია. ლეონარმა, ნონდამ და დაბომ ხიფათიც შექმნეს, მაგრამ გატანა ვერ შეძლეს. აი, მეორე ტაიმში კი ფრანგებმა ლამის გმირობა ჩაიდინეს. პირველ ნახევარში დაშვებული შეცდომა ნონდამ გამოასწორა, რამდენიმე მეტოქე საჯარიმოში იოლად მოატყუა და ტაფარელიც გააქვავა. 62-ე წუთზე კი მის აქტიურობას პენალტი და სიმონეს გოლი მოჰყვა — 2:2. ამას ჰაჯის გაძევება დაერთო. რუმინელმა ტრადიციას არ უღალატა, ნერვები ვერ მოთოკა, მეტოქეს იდაყვით გაუმასპინძლდა და გასახდელშიც დროზე ადრე გაუჩინარდა. მანამდე კი იყო ეპიზოდი, რომელმაც თურქები განარისხა: ჯარიმიდან ჰაჯის ჩაწოდებული ბურთი ჟარდელმა კარში გადაგზავნა, თუმც მსაჯმა, თამაშგარეაო. ამ საეჭვო მოქმედებით გამოწვეული ვნებათაღელვა თავად არბიტრმა ჩააცხრო ორ წუთში, როცა დაბოს ისეთ მომენტში, მაქსიმუმ ყვითელი რომ ეკუთვნოდა, წითელი ბარათი უჩვენა და მინდორზეც ორივე გუნდი ათი კაცით დარჩა... და გოლიც გავიდა — კაპონემ იმარჯვა, თავურით „გალას“ 3:2 მოაგებინა.

„დღეს ნებისყოფის გამოცდა იყო, რომელიც ჩვენ უფრო წარმატებით ჩავაბარეთ. ჰაჯის არ ვამართლებ, თუმც ასეთი ემოციურობა მარტო „გალათასარაის“ არ ახასიათებს“ — მოკლე კომენტარი გააკეთა ლუჩესკუმ, „მონაკოს“ თავკაცმა თავკაცმა კლოდ პუელმა კი მარცხი გამოუცდელობას მიაწერა, ორბურთიან ჩამორჩენას რომ აანაზღაურებ და მაინც წააგებ, აბა, რისი ბრალიაო“.

მოკლედ, „გალათასარაიმ“ ჩემპიონთა ლიგის ფინალისკენ მიმავალ გრძელ და ეკლიან გზაზე პირველი ნაბიჯი გადადგა. შემდგომი წინსვლისთვის თურქებმა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მინდორზე ქცევის წესები უნდა ისწავლონ.

რეინჯერსი 5:0 შტურმი

1:0 მოლსი (9), 2:0 დე ბური (19), 3:0 ალბერტეი (29), 4:0 ვან ბრონკჰორსტი (71), 5:0 დოდსი (85)

რეინჯერსი: კლოსი, რეინა, კონტერმანი, ამორუზო, ნუმანი, რ. დე ბური (მაკკანი 71), ფერგიუსონი, ალბერტეი, ვან ბრონკჰორსტი, ჯონსტონი (კანჩელსკისი 76), მოლსი (დოდსი 59)

მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი

შტურმი: შიკლგრუბერი, მამედოვი, ფოდა, შტრაფნერი, შობი, შუბი, კორსოში, ფლურკინი, პრილასნიგი, რაინმაიერი (საბიჩი 79), ოურანი (მაელიხი 79)

მწვრთნელი: ივიცა ოსიმი

მსაჯი: ლუის კორტეს-ბაბისტა (პორტუგალია)

49 317 მაყურებელი

REUTERS გლაზგოდან

რეინჯერსი — შტურმი 5:0. გლაზგოელები იორგ ალბერტეის გოლს ზეიმობენ. ამგვარად მასპინძლებმა კიდევ ოთხჯერ გაიხარეს

გლაზგოს „რეინჯერსი“ შარშანაც კარგი გუნდი იყო და „შტურმთან“ სამშაბათის მატჩით თუ ვიმსჯელებთ, წლეულს კიდევ უფრო უკეთესია. სწორად მოიქცა ჰოლანდიელი რონალდ დე ბური, „ბარსელონას“ სათადარიგოთა სკამს „რეინჯერსის“ ძირითადი რომ ამჯობინა. იგი შოტლანდიურ კლუბში ახალმოსულია, თუმც „შტურმთან“ ისე ითამაშა, კაცი იფიქრებდა, მთელი კარიერა აქ გაუტარებიაო. დე ბური გუნდის სული და გული გახლდათ და „რეინჯერსის“ თითქმის ყველა შეტევას უძღვებოდა. უნარიანადაც — თავად ხომ გაიტანა, პარტნიორებიც ახეირა, მამედოვს კი პენალტი გამოსტყუა, რომელიც ალბერტცმა ვერ გამოიყენა — მეკარემ აიღო.

„რეინჯერსმა“ მთელი მატჩი ჩინებულად ჩაატარა. გლაზგოელები რასაც მოისურვებდნენ, იმას აკეთებდნენ, „შტურმი“ კი შეგირდივით შეჰყურებდა მეტოქეს.

ანგარიში მე-9 წუთზე გაიხსნა, როცა დე ბურმა მცველს ბურთი მოჰპარა და კარის წინ გამოჯანმრთელებული მოლსი იპოვა — 1:0. ათ წუთში დე ბური ჯონსტონის კარის გასწვრივ ჩაწოდებულს დაუხვდა და გოლად აქცია, კიდევ ათ წუთში ისევ დე ბურმა ორი მეტოქე ჩამოიტოვა და ალბერტცს დაუგორა, რომელმაც ბურთი შიკლგრუბერს მარცხენა დაბალ კუთხეში ჩაუჭედა. მეორე ნახევარში ჯერ ვან ბრონკჰორსტმა ისახელა თავი, მერე — დოდსმა. შეცვლაზე შესული დოდსის გოლი ნამდვილი შედევრი გახლდათ — ავსტრიელ მეკარეს ერთი შეხებით გადაუგდო ბურთი თავზე. ყველაფერი ძალიან ლამაზად მოხდა.

შოტლანდიელებს კიდევ ჰქონდათ შანსი, მაგრამ ორჯერ ძელმა შეუშალათ ხელი, რამდენჯერმე შიკლგრუბერმა იმარჯვა, ერთი-ორჯერ კი თავადაც შესცოდეს.

ავსტრიელებმა ამას სამი ისეთი მომენტით უპასუხეს, სამივე ერთად თუნდაც ჯონსტონის ძელს გარტყმულს რომ არ უდრიდა. რუს სერგეი იურანს კაპიკის საქმე არ გაუკეთებია, ისევე, როგორც რამიზ მამედოვსა და სხვა თანაგუნდელებს (მეკარის გამოკლებით).

„ჯერ კიდევ მატჩამდე ვიცოდი, რომ არანაირი შანსი არ გვქონდა. შინაურ ასპარეზზე აღარ ვკარგავართ და ლიგაში რა უნდა გვექნა? თანაც ამას უამრავი დაშავებული და დისკვალიფიცირებული ფეხბურთელიც დუმატეთ. თამაშის წინ ბიჭები გავაფრთხილე, შეიძლება ჩემპიონთა ლიგა კოშმარად გვექცეს-მეთქი. სამწუხაროდ, ჩემი ვარაუდი გამართლდა. მომავალ მატჩებში შეიძლება უარესი შეგვემთხვეს, თუმც იმედს მაინც არ ვკარგავ. ვასტირი, ნოიკირხნერი, კოციანი და სხვები დაგვიბრუნდებიან და ეგებ რამე გვეშველოს“ — განწირული ჩანდა ნამატჩევს ივიცა ოსიმი, „შტურმის“ მთავარი მწვრთნელი.

„რეინჯერსის“ ჰოლანდიელი დამრიგებელი დიკ ადვოკაატი კი, ცხადია, კმაყოფილი გახლდათ: „უკეთეს დასაწყისს ვერც ვინატრებდი. ყველაზე მეტად, გოლი რომ არ გავუშვით, იმან გამახარა. ძალიან კმაყოფილი და ბედნიერი ვარ“.

ვანო ოძრობირიძე

	D ჯგუფი	1	2	3	4	ბ	ქ
1	რეინჯერსი		17.10	7.11	5:0	5:0	3
2	გალათასარაი	27.09		3:2	7.11	3:2	3
3	მონაკო	20.09	25.10		27.09	2:3	0
4	შტურმი	25.10	20.09	17.10		0:5	0

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიდნეი 2000

არჩილ გოგელია: ბალცეროვიჩი სპორტშიც გვჭირდება

ზურაბ დოლიძისა და ბელა ფოტო

საუკუნის რეფერენდუმზე არჩილ გოგელიამ ოლიმპიურ ჩემპიონ რომან რურუას დაშნა უსახსოვრა

არჩილ გოგელიას, საქართველოს პარლამენტის წევრის და საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის პრეზიდენტის ბიოგრაფიას უდავოდ და ულაპარაკოდ ეთქმის მართლაც მდიდარი. ამ სიმდიდრის ღვიძლი და გამორჩეული ნაწილი ყოველთვის იყო და არის სპორტი: სპორტსმენი, სპორტული ჟურნალისტი, სპორტულ ჟურნალისტთა ამქრის ხელმძღვანელი, სპორტულ წიგნთა ავტორი და სპორტულ გამოცემათა რედაქტორ-ნოვატორი, სპორტული ფედერაციის ხელმძღვანელი.

ძნელია მოიძებნოს სპორტში ამგვარ კაცზე კომპეტენტური პიროვნება...

— როგორ შეაფასებდით საქართველოს ნაკრების მიერ განვლილ მოსამზადებელ პერიოდს?

— ეს პროცესი მხოლოდ გარედან მზირალის პოზიციიდან შემიძლია შევაფასო, რადგან მოსამზადებელი პერიოდის შესახებ ნაკლებად ვარ ინფორმირებული. მაგრამ ის ფაქტი, რომ გამოიძებნა უცხოეთში ქართველ ოლიმპიელთა წვრთნა-სტაჟირების შესაძლებლობა, თავისთავად ბევრ რასმეზე მეტყველებს; მაგალითად იმაზე, რომ ნაკრების წევრთა უმრავლესობის სპორტული და ფსიქოლოგიური მომზადების დონე მეტ-ნაკლებად უნდა პასუხობდეს თანამედროვე სპორტის გარკვეულ სტანდარტებს.

— თქვენი აზრით, როგორ იასპარეზებენ ჩვენი სპორტსმენები სიდნეიში?

— ამ კითხვაზე ნაწილობრივ უკვე ვუპასუხე. ჩემთვის სავსებით გასაგებია საქართველოს ოლიმპიური ნაკრების სპორტსმენთა და მწვრთნელთა, აგრეთვე ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მესვეურთა ფრთხილი პოზიციები ოლიმპიადის წინ. სპორტული მაჩვენებლის არნახულმა ბუმმა, ოლიმპიური სახეობების კომერციონალიზაციამ, სპორტსმენთა ზღაპრული ოდენობის ჰონორარებმა და სხვა ფაქტორებმა უდიდესად გაამძლავრა კონკურენცია. შემთხვევითი არ არის, რომ ცალკეულ ქართველ სპორტულ მოღვაწეებს თავიანთ პროგნოზებში თავისებური იუმორის ელემენტები შეაქვთ. საქართველოს ოლიმპიური ნაკრები სხვა ქვეყნების უხვიროდ დაფინანსებულ გუნდებს შორის საუკეთესო ადგილისთვის იბრძოლებს. მე არ ვამტყუნებ მათ: ისინი რეალისტები და პრაგმატიკოსები არიან, ადამიანები ილუზიების გარეშე, მეორეც, ღმერთმა არ ქნას და წარუმატებლობა სპორტსმენებს ეპატიებათ, სპორტულ ბოსებს კი მკაცრად მოკითხავს პასუხს საზოგადოებრივი აზრი. ასეთია სპორტული სამყაროს დაწერილი და დაუწერელი კანონები ყველგან და საქართველო ამ მხრივ გამონაკლისი არ არის. ისე, კი ვიმეორებ, პირადად მე უცხოეთში ქართული სპორტის ვარსკვლავთა წვრთნა-სტაჟირება ოლიმპიადის წინ გარკვეულ იმედებს მისახავს. ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, რომ წინა ოლიმპიადასთან შედარებით ჩვენები სიდნეიში უკეთ გამოვლენ. ინერციით ვაპირებდი თქმას, ბევრად უკეთ-მეთქი, მაგრამ მეც პრაგმატიკოსი ვარ და არ მინდა ილუზიტანტად გამოვჩნდე.

— რაში ხედავთ გამოსავალს ქართულ სპორტში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობიდან?

— მარკ ტვენმა ჟურნალისტის ანალოგიურ კითხვას ასე უპასუხა: ჯერ ამიხსენით, რა არის უმძიმესი მდგომარეობა, რადგან ადამიანებს გაზვიადება გვიყვარს, და მერე გეტყვით, როგორ დავაღწიოთ თავი. ეს ისე, ხუმრობით. ზემოთ საერთაშორისო სტანდარტებზე ვსაუბრობდი. დასავლეთში შემთხვევით არ არსებობს მენეჯმენტის კულტი. საბაზრო ეკონომიკაში უპირველესი როლი სწორედ მართვის სისტემას ენიჭება. რა ხარისხისაა იგი, ისეთივეა კომპანიის, ფირმის, ამა თუ იმ სფეროს მდგომარეობაც. ლაპარაკია არა თითო-ოროლა ხელმძღვანელის პროფესიონალიზმისა და ზნეობის, არამედ ეფექტიანად მოქმედი მართვის სისტემის შექმნის შესახებ. ცნობილი ეკონომისტი ბალცეროვიჩი ამბობს: როცა პოლონეთში საბაზრო რეფორმებს ვახორციელებდით, სამი მოკავშირე გვყავდა: ამერიკა, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და საკუთარი თავი. ჩემი აზრით, ქართული სპორტის, როგორც თქვენ ამბობთ, უმძიმესი მდგომარეობიდან გამოყვანისთვის უწინარესად უნდა შეიქმნას საერთაშორისო სტანდარტების დონის მართვის სისტემა და საამისოდ უნდა გამოვიყენოთ არამარტო უცხოელი ექსპერტების თეორიული რეკომენდაციები, არამედ პრაქტიკული დახმარებაც, შევქმნათ ბალცეროვიჩის უცხოელი ექსპერტთა ჯგუფის მსგავსი სტრუქტურა. ასეთია ჩვენსავით განვითარებადი ქვეყნების პრაქტიკა სხვადასხვა სფეროს, მათ შორის სპორტის დაწინაურებისათვის. ჩვენ გვჭირდება პროფესიონალი უცხოელი მენეჯერებისა და სპეციალისტების დახმარება როგორც მართვის სისტემის მოდელის შექმნის, ისე მისი რეალიზაციისათვის. სად უნდა მოიძებნოს უღარიბეს ქვეყანასა და არანაკლებ ღატაკ სპორტულ ინდუსტრიაში საამისო კაპიტალი? ეს უკვე სხვა საკითხია, რომლის გადაწყვეტა უნდა უზრუნველყოს, პირველ ყოვლისა, იმავე მართვის სისტემამ, რომელზეც ზემოთ ვსაუბრობდი.

— ოლიმპიადის დასრულების შემდეგ ბევრი სპორტსმენი საზღვარგარეთის ქვეყნების სახელით აპირებს გამოსვლას (თუ არ გაუმჯობესდა პირობები). ამართლებთ თუ არა მათ გადაწყვეტილებას?

— ეს ისეთივე პრობლემაა, როგორც საქართველოდან უცხოეთის ქვეყნებში ადამიანების ემიგრირება. ესაა იძულებითი პროცესი. თუ რატომ, ვფიქრობ, ამას განმარტება არ სჭირდება. ქართველი სპორტსმენი, ისევე, როგორც ტექნიკური და შემოქმედებითი სფეროების წარმომადგენლები, გამონაკლისს არ წარმოადგენენ. ვერავითარი პატრიოტული მოწოდებებით მათ მიგრაციას ვერ შევაჩერებთ, სპორტსმენებისას მით უმეტეს: მათი კარიერა ხანმოკლეა. ამ ხნის განმავლობაში სპორტსმენმა უნდა შეძლოს ისეთი კაპიტალის დაგროვება, რომელიც სარბიელის დატოვების შემდეგ მეტ-ნაკლებად ნორმალური ცხოვრების საშუალებას მისცემს. არსებობს სპორტსმენთა და სხვა სფეროს წარმომადგენლების საშშობლოში ნებაყოფლობით დარჩენის ერთადერთი სისტემა: საკუთარი ნიჭისა და მონაცემების მაქსიმალური რეალიზაციის შესაძლებლობის უზრუნველყოფა. სხვა, უკეთესი სისტემა კაცობრიობას ჯერ არ გამოუგონებია.

— რა მდგომარეობაა დღეს ქართულ ფარიკაობაში?

— რბილად რომ ვთქვათ, ფარიკაობას ჩვენში არ ულხინს. მას არ შეუძლია ამ კრიზისში ნაკრძალად ან კუნძულად ყოფნა. ფარიკაობას იგივე პრობლემები აქვს, რაც სხვა სახეობებს. რა უნდა გაკეთდეს საქმის გამოსასწორებლად ამაზე უკვე ზემოთ ვილაპარაკე.

— ვინ მიგაჩნიათ ყველა დროის საუკეთესო ქართველ და უცხოელ სპორტსმენად?

— გივი კარტოზია და პელე.

ზურაბ თალაკვაძე

დარჩა 1 დღე

მერაბ რატიშვილი: გარანტირებულ მედალს ვერ ვხედავ

მერაბ რატიშვილი გაზეთ „სარბიელის" კალათბურთის რედაქციის რედაქტორი და საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის გენერალური მდივანია. 1996 წლის ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე იგი იყო საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის პრეს-ატაშე, გარკვეული პერიოდის განმავლობაში კი საქართველოს ძიუდოს ფედერაციის გენერალური მდივანი. გთავაზობთ ინტერვიუს მერაბ რატიშვილთან, რომელშიც იგი ქართული სპორტის სამომავლო პერსპექტივებზე და ბევრ სხვა საჭირბოროტო საკითხზე საუბრობს.

— როგორ შეაფასებდით საქართველოს ნაკრების მიერ განვლილ ოლიმპიური თამაშებისწინა მოსამზადებელ პროცესს?

— ჩემი აზრით, ჩვენმა ნაკრებმა არასრული მოსამზადებელი პროცესი გაიარა. იყო გარკვეული სირთულეები, დაუგეგმავი ჩავარდნები, რომლებმაც, შესაძლოა, გარკვეული ზეგავლენა იქონიონ ჩვენი სპორტსმენების გამოსვლაზე. რა თქმა უნდა, ძალიან გამიხარდება, თუ კი ქართველი ოლიმპიელები წარმატებით იასპარეზებენ სიდნეიში, მაგრამ იმ პირობებიდან გამომდინარე, რომლებშიც მათ მოუწიათ მომზადება, ეს ცოტა საეჭვოდ მეჩვენება. კი, გასაგებია, რომ ქვეყანას ეკონომიკურად უჭირს, რომ პრაქტიკულად ნულზეა დაყვანილი სპორტის დაფინანსება, მაგრამ საქართველოში ხომ უკვე დაახლოებით ათი წელია შექმნილია ასეთი რთული ვითარება! შედარებით უკეთესი პირობები იყო ატლანტის ოლიმპიადისთვის მზადების დროს, მომდევნო ოთხი წელი კი ჩავარდა. არსებობს მთელი კომპლექსი გადაუჭრელი პრობლემებისა, რომლებიც მნიშვნელოვნად აფერხებენ საქართველოში სპორტის წინსვლას. ასე რომ, იგივე სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა, ოლიმპიურმა კომიტეტმა და ფედერაციების ხელმძღვანელებმა დროზე უნდა იღონონ რაიმეს შეცვლა. წინაღმდეგ შემთხვევაში დადებითი შედეგი კიდევ დიდხანს არ იქნება. ხოლო საუბარი იმის შესახებ, რომ ქვეყანას უჭირს და არ არის სათანადო პირობები, მე პირადად უფრო თავის მართლებად მიმაჩნია.

— თქვენი აზრით, რა შედეგს უნდა ველოდოთ სიდნეიში ქართველი სპორტსმენებისგან?

— იმ 36 სპორტსმენისგან, რომლებიც გამოვლენ სიდნეიში, უმეტესობა, ჩემი აზრით, ვერ მოიპოვებს მედალს. მაგრამ სპორტსმენები არაფერ შუაში არიან და თუკი ვინმეს მოეთხოვება პასუხი ჩვენი ნაკრების სავარაუდოდ წარუმატებელ გამოსვლაზე, ეს პირველ რიგში ქვეყნის სპორტული ხელმძღვანელობაა. ხომ იცოდნენ, რომ ქვეყანას უჭირს, რომ არ იქნება სათანადო მოსამზადებელი პირობები? კი, რთულია ასეთ შემთხვევაში სპორტსმენის სრულფასოვანი მომზადება, მაგრამ რა ვქნათ წინააღმდეგ შემთხვევაში? ხომ არ ჩავიქნევთ ხელს ჩვენს რჩეულ სპორტსმენებზე, რომლებიც, თუ კი ყველაფერი ასე გაგრძელდა, ალბათ მომავალში სხვა ქვეყნების სახელით იასპარეზებენ.

— ყველა „ბედნიერებას" ისიც დაემატა,რომ ფინანსთა სამინისტრომ მნიშვნელოვნად შეკვეცა ის თანხა, რომელიც უნდა მოხმარებოდა ჩვენი ოლიმპიელების მომზადებას...

— კიდევ ერთხელ ვიმეორებ — ქვეყანას უჭირს, მაგრამ გამოსავლის პოვნა ხომ მეტნაკლებად ნებისმიერი სიტუაციიდან შეიძლება. კი, გასაგებია, რომ სპორტის გარდა ქვეყანაში არის უამრავი მიუხედავი დარგი, მაგრამ ოლიმპიადა ხომ ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება და მე მგონი შესაძლებელია თავიდანვე შეიგეგს მოსამზადებელი პერიოდის გეგმა, ოღონდ იმ სირთულეების გათვალისწინებით, რომლებიც თან სდევენ ამ პროცესს. ჩემი აზრით, სპორტის ხელმძღვანელებს შეეძლოთ ცოტა უფრო მეტად შეეწუხებინათ მმართველი სტრუქტურები, რათა ცოტათი მაინც გაუმჯობესებულიყო მოსამზადებელი პირობები.

— ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად ლიტვაში, აქცენტი გაკეთდა იმ სპორტსმენების უკეთ მომზადებაზე, რომლებიც სავარაუდოდ წარმატებით იასპარეზებენ სიდნეიში. ჩვენი გაჭირვების ფონზე ხომ არ ჯობდა რომ ჩვენც იდენტური ზომები მიგვეღო?

— რა თქმა უნდა ჯობდა. აქცენტი უნდა გაკეთდეს არა რომელიმე სახეობაზე, არამედ გარკვეულ სპორტსმენებზე, რომლებსაც ხელეწიფებათ მედლის მოპოვება. მაგალითისთვის ავიღოთ ტყვიის სროლა. ალბათ უმჯობესი იქნებოდა, რომ აქცენტი მთლიანად ნინო სალუქვაძის სრულ მომზადებაზე გადაეტანათ, რადგან ნინოს თავისუფლად შეუძლია სიდნეიდან ნებისმიერი სინჯის მედლის ჩამოტანა. იგივე ჭიდაობაშიც და ძიუდოშიც, ყველამ იცის, ვინ რისი მაქნისია. არიან გუნდის ლიდერები და სპორტსმენები, რომლებიც უფრო ტურისტების რანგში მიემგზავრებიან ავსტრალიაში. ასე რომ, მომზადების ასეთი პროგრამა სწორად მიმაჩნია.

— თქვენი აზრით, რითი იქნება განსხვავებული სიდნეის ოლიმპიური თამაშები თავისი წინამორბედისგან?

— მე ვიყავი ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე, ტელევიზორით თვალყურს ვადევნებდი ბარსელონის და სეულის ოლიმპიურ ტურნირებს და შემიძლია განვაცხადო, რომ ოლიმპიადიდან ოლიმპიადამდე უმჯობესდება შეჯიბრების სპორტული დონე უკლებლივ ყველა სახეობაში. ნებისმიერი სახეობა ვითარდება და იხვეწება და, აქედან გამომდინარე, უკუსვლაზე საუბარი მე გაუმართლებლად მიმაჩნია. ჩემი აზრით, სიდნეიში ყველაფერი კიდევ უფრო მაღალ დონეზე იქნება, ვიდრე ატლანტაში.

— და ბოლოს, თქვენი აზრით რამდენ მედალს ჩამოიტანენ ჩვენი სპორტსმენები სიდნეიდან?

— ოლიმპიელთა შორის ჩემი უამრავი მეგობარია. ნუ მიწყენენ, მაგრამ ვერ ვხედავ ჩვენს ნაკრებში გარანტირებულ მედლის მფლობელს. ატლანტაში იყო გარანტირებული მედლები, მაგრამ შეცდომების გამო, ამერიკიდან მხოლოდ ორი ბრინჯაოს მედლით დავბრუნდით. სიდნეიდან კი, ჩემი აზრით, დაუგეგმავ მედლებს უნდა ველოდოთ.

ზურაბ თალაკვაძე

ორი კითხვა ქართველ სპორტულ ჟურნალისტებს

1. როგორ შეაფასებდით ჩვენი ოლიმპიელების მიერ გავლილ მოსამზადებელ პროცესს?
2. რა შედეგს უნდა ველოდოთ ჩვენი ოლიმპიელებისაგან სიდნეიში?

***თამარ ბალავაძე** (საქართველოს ტელევიზიის I არხი)*

1. მოსამზადებელ პროცესს არადამაკმაყოფილებლად შევაფასებდი. ჩვენმა ნაკრებმა ამა თუ იმ მიზეზთა გამო ვერ გაიარა მოსამზადებელი პერიოდი ისე, როგორც საჭირო იყო. პრობლემა კი ისევ და ისევ არასათანადო დაფინანსებაა. თანამედროვე სპორტის კრიტერიუმებით ჩვენი ნაკრების მიერ გავლილი ეს პერიოდი უბრალოდ სამარცხვინოა. დროა, გარკვეულმა წრეებმა მიიღონ შესაბამისი ზომები, რამეთუ წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ სულ უკან და უკან წავალთ. არ იქნება შედეგი, სპორტსმენები კი უცხოთის ქვეყნებს შეაფარებენ თავს. შედარებით ნორმალური პირობები ჰქონდათ მსროლელ ნინო სალუქვაძეს და კიდევ ზოგიერთ სპორტსმენს, მაგრამ მთლიანობაში მოსამზადებელი პერიოდი ჩავარდა. იმედი ვიქონიოთ, რომ სიდნეიდან ჩვენი ნაკრების ჩამოსვლისთანავე (მიუხედავად იმისა, თუ რა შედეგს აჩვენებენ ჩვენი ოლიმპიელები) დაიწყება ეტაპობრივი მზადება მომავალი ოლიმპიადისთვის.

2. პროგნოზების გაკეთება არ მიყვარს, თანაც ისეთი მნიშვნელოვანი შეჯიბრის წინ, როგორიც ოლიმპიური თამაშებია. მაგრამ მაინც ალბათ მედლის მოპოვების შანსი აქვთ ძალოსან გიორგი ასანიძეს და ტყვიის მსროლელ ნინო სალუქვაძეს. ორთავემ უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში კარგი შედეგები აჩვენეს სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებზე. ასანიძემ კი საერთოდ რეკორდი დაამყარა. მათ გარდა სხვებზე შედარებით უკეთესი შესაძლებლობა საპრიზო ადგილის დაკავებისა ექნებათ მოჭიდავეებს კურტანიძესა და ბედინეიშვილს, ძიუდოისტებს — ხერგიანს, რევაზიშვილს და ვაზაგაშვილს. პოტენციურად მზად არის მედლის მოსაპოვებლად ბატუტზე მხტომელი — რუსუდან ხოფერია. თუმცა კი მოვლენები შეიძლება სულ სხვანაირად განვითარდეს და მედლის მფლობელებიც სხვა სპორტსმენები გახდნენ. როგორც უკვე აღვნიშნე ძალზედ რთულია ოლიმპიურ ტურნირზე რაიმეს პროგნოზირება, მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ ჩვენი სპორტსმენები გაიღებენ მაქსიმუმს და სიდნეიში ნაკრები უკეთეს შედეგს მიაღწევს ვიდრე ატლანტაში.

***ილია ბაბუნაშვილი** (გაზეთი „სარბიელი“)*

1. ჩვენი ოლიმპიელების მოსამზადებელი პერიოდი ზუსტად ისეთი გახლდათ, როგორიც ლოგიკურად უნდა ყოფილიყო იმგვარ ქვეყანაში, როგორადაც ბოლო წლებში საქართველო ჩამოყალიბდა. თეორიულად, გამონაკლისი ყოველთვის მოსალოდნელია, მაგრამ მას ვერ მოითხოვ და იწინასწარმეტყველებ. ის თუ მოხდება, მოხდება.

2. საქართველოში ზოგადად და კერძოდ ქართულ სპორტში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით, პირადად ჩემთვის, ერთი მედლის ამბის შეტყობაც კი სასიხარულო იქნება. ოღონდ მას ხელმძღვანელთა შრომის შედეგს ვერ დავარქმევ. ეს კონკრეტული სპორტსმენის ნიჭის გამოვლენა იქნება, ხოლო იმის პროგნოზირება, თუ რომელს შეექმნება წარმატებისთვის ხელსაყრელი პირობები, ვგონებ შეუძლებელია.

***ჯამლეტ ხუსაშვილი** (საქართველოს ტელევიზიის I არხი)*

1. სამწუხაროდ მე ვერ გავეცანი მოსამზადებელი პროცესის სრულ წარმართვას. ისე კი, ვიცი რომ ბევრი რამ არ წარიმართა ისე, როგორც ეს დაგეგმილი იყო. ბევრ სპორტსმენს არ ჰქონდა ელემენტარული სავარჯიშო პირობები, არ ხერხდებოდა ნაკრების წევრების გაშვება საერთაშორისო ტურნირებზე. დაფინანსებაზე კი საუბარიც არ მინდა. ქვეყნის მძიმე ეკონომიკური სიტუაციის გამო ნაკრებმა ვერ მიიღო ის თანხა, რომელიც მას ასე სჭირდებოდა. მაგრამ მიუხედავად ასეთი კრიტიკული სიტუაციისა, ჩვენმა ოლიმპიელებმა 36 ლიცენზია მოიპოვეს, რაც გმირობის ტოლფასია.

თუმცა კი, ჩემი აზრით ახლა უკვე გვიანია ფინანსურ პრობლემებზე საუბარი, რადგანაც ეს უფრო თავის მართლებაა, ვიდრე არსებული სიტუაციის რეალურად შეფასება. ჩვენმა სპორტსმენებმა დადეს ფიცი და მე დარწმუნებული ვარ, რომ მათი ენთუზიაზმი, ჟინი და ღვთით მომადლებული ნიჭი ბოლოს და ბოლოს გაიტანს თავისას. ჩვენი სპორტსმენები არიან ნამდვილი პატრიოტები და მე მჯერა, რომ ისინი ღირსეულად წარადგენენ საქართველოს მეოცე საუკუნის უკანასკნელ გრანდიოზულ ფორუმზე.

2. უნდა ველოდოთ სამ ოქროს მედალს, მაგრამ მათი მფლობელების ვინაობას კი ვერ გეტყვით. ალბათ უფრო ნინო სალუქვაძე, ელდარ კურტანიძე და გიორგი ასანიძე იბრძოლებენ მედლებისთვის, მაგრამ შესაძლოა, რომ სხვებმაც „გაიხროლონ“. ასე რომ, მჯერა საქართველოს ნაკრები წარმატებით იასპარეზებს სიდნეიში და მინიმუმ სამ ოქროს მედალს ჩამოიტანს.

ლარი ბერდი: ჰაკიმის ოცნება „ოცნება“ იყო

ლარი ბერდი

1996 წელს ჩატარებული გამოკითხვის შედეგად ენ-ბი-ეის ყველა დროის საუკეთესო თეორკანიან კალათბურთელად დაასახელეს ლარი ბერდი — 80-იანი წლების მძლავრი „სელტიქსის“ კაპიტანი თავისი 11 წლიანი კარიერის განმავლობაში სამჯერ დაასახელეს სეზონის საუკეთესო მოთამაშედ, თითოთითოჯერ კი პლეი-ოფის ფინალებისა და ALL STAR-ის MVP-ის პრიზიც გადასცეს. 1986-88 წლებში ბერდმა ზედიზედ სამჯერ მოიგო სამქულიანი სროლების კონკურსიც, ხოლო კარიერაში გაკეთებული სამმაგი დუბლების რაოდენობით იგი მხოლოდ „მეჯიქ“ ჯონსონსა და ოსკარ რობერტსონს ჩამორჩება. NBA-ის ისტორიაში პირველი „ორმაგი კოშკი“ (ძალისმიერი ფორვარდი+ცენტრი) კი ბერდმა და რობერტ პერიშმა შეადგინეს. სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ლარი ბერდი CNN-ის არხზე ანალიზს გაუკეთებს ამერიკელ კალათბურთელთა თვითოეულ თამაშს, რაშიც დაახლოებით 300 ათას დოლარს მიიღებს. გთავაზობთ ინტერვიუს ლარი ბერდთან, რომელიც გამოქვეყნდა ამერიკულ ჟურნალ „HOOP“-ში.

— ლარი, რა შედეგს აჩვენებს „დრიმ თიმი“?

წესით პირველი ადგილი უნდა დავიკავოთ, თუმცა კი წინასწარ რაიმეს თქმა მიჭირს. ნუ მიწყენენ ამჟამინდელი ნაკრების მოთამაშეები, მაგრამ წინა ორ ოლიმპიადაზე ჩვენ გაცილებით ძლიერი გუნდები გვყავდა. 1992 წელს მე, ჯონსონი, ჯორდანი და დრექსლერი ვქმნიდით დაუვიწყარ შოუს და ამავდროულად 40-50 ქულით ვამარცხებდით მოწინააღმდეგეებს. ამჟამინდელს გუნდს კი აკლია მომხიბვლელობა. გარნეტი, კიდი, პეიტონი და მურნინგი ძლიერი კალათბურთელები არიან, მაგრამ არა ისეთები, როგორებიც იყვნენ ჯორდანი და დრექსლერი, მართალია გუნდს ვერ დაეხმარებიან დანკანი და შაკი, მაგრამ მათი თამაშის შემთხვევაშიც კი ამჟამინდელი „დრიმ თიმი“ ჩემი აზრით წინა ორზე ბევრად უარესი იქნებოდა.

— ვინ მიგაჩნიათ დღევანდელი გუნდის ლიდერებად?

ალბათ პეიტონი და ჰარდეეი, რადგანაც სხვებზე მეტი გამოცდილება აქვთ. კარგად თამაშობს კარტერიც, მაგრამ ამ ბიჭს ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს დასამტკიცებელი. ბევრი მას ჯორდანის მემკვიდრედ მიიჩნევს, მაგრამ ვინსი ისე შორს არის მაიკლისგან, როგორც მე, ვთქვათ ტაიგერ ვუდსისგან. მეტად ორიგინალურად თამაშობს მურნინგი, მაგრამ იგი ყველა დროის ათ საუკეთესო ცენტრთა შორის ალბათ ვერ მოხვდებოდა. დღევანდელი თაობის მოთამაშეებიდან კი ძალზედ მომწონს ჯეისონ კიდი, რომელიც რაღაცით „მეჯიქს“ ჰგავს. ბრწყინვალეა დანკანი, რომლის დახმარებითაც როგორც იქნა მოიპოვა ჩემპიონის ტიტული ჩემმა მეგობარმა დევიდ რობინსონმა. ასევე დიდი მომავალი აქვთ რაშიდ უოლესსა და ჯალენ როუზს.

— ლარი, ინდიანაში ორი დიდებული სეზონი გაატარეთ. რა იყო მიზეზი თქვენი სამწვრთნელო კარიერის ესოდენ მოულოდნელი დასასრულისა?

— ინდიანაში მე გავაკეთე მაქსიმუმი იმისა, რისი გაკეთებაც შესაძლებელი იყო და ძალზედ დამწყდა გული, რომ ფინალში ასე იოლად დავმარცხდით „ლეიკერსთან“. არადა, მოგებაც შეგვეძლო. კი „ლეიკერსს“ ჰყავდა შაკი და ბრაიანტი, მაგრამ სხვა მოთამაშეები ჩემის აზრით ახლოსაც ვერ მივიდოდნენ ჩემს ბიჭებთან. ფინალურ სერიაში როუზმა აშკარად დაჯაბნა რაისი, რეჯი მილერი კი კობიზე არანაკლებ სასარგებლოდ ირჯებოდა. აშკარად გამიცრუა იმედები რაისმა, ვერ ითამაშეს მათთვის ჩვეულ დონეზე ჰარპერმა და ჰორიმ, მარკ ჯექსონმა კი აჯობა ფიშერსა და სხვა უკანასკნელებს. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ „ლეიკერსი“ ნამდვილად არ იყო დაუმარცხებელი მეტოქე.

რაც შეეხება ჩემს ინდიანადან წამოსვლას, მიზეზი მარტივია: გუნდმა ამოწურა თავისი შესაძლებლობები, მე კი აღარ მსურს ასეთ გუნდში მუშაობა. ამავდროულად, არ მინდა რომელიმე სხვა გუნდში გადავიდე, რადგანაც ერთადერთი გუნდი, რომელშიც შესაძლებელი გახდებოდა ჩემი მწვრთნელად დანიშვნა არის ბოსტონ „სელტიქსი“, მაგრამ მათ ხომ ბრწყინვალე სპეციალისტი წვრთნის (რიკ პიტინო). ასე რომ, ჯერ-ჯერობით არცერთ გუნდს არ გავწვრთნი.

— ვინ მიგაჩიათ ყველა დროის საუკეთესო გუნდად და მოთამაშედ?

— NBA-ს ისტორიაში ბევრი ძლიერი გუნდი იყო, მაგრამ საუკეთესო ალბათ მაინც ბილ რასელის ბოსტონია. მეორე ადგილზე ჯორდანის „ბულზს“ დავაყენებდი, მესამეზე კი ჯერი ვესტის „ლეიკერსს“, რაც შეეხება საუკეთესო მოთამაშეს, აქ ჩემი ფავორიტი უილტ ჩემბერლენია. ძალზედ ძლიერები იყვნენ ჯორდანი, ვესტი, რობერტსონი, ირვინგი და ჯონსონი, მაგრამ უილტი მაინც მათზე მაღლა იდგა. ხუმრობაა, ერთ თამაშში 100 ქულა ჩაგდო!

— ყველაზე მეტად თამაში ვის წინააღმდეგ გიჭირდათ?

— ჩემი კარიერის განმავლობაში მითამაშია ფორვარდად და ცენტრადაც. ფორვარდებიდან ყველაზე უხერხული მეტოქე ჯეიმს უორთი იყო, რომელიც რასელისა და პიპენის შემდეგ ყველა დროის საუკეთესო დამცველად მიმაჩნია. რაც შეეხება ცენტრალურ თავდასხმელებს, აქ ალბათ აღსანიშნავია ჰაკიმ ოლაჯუონი.

— რომელმაც მოგვიანებით თქვენი მეტსახელი, „DREAM“ დაირქვა...

— ჰაკიმი უძლიერესი კალათბურთელი და ბრწყინვალე ადამიანია. 1988 წელს, როდესაც ერთ-ერთმა მიმომხილველმა მას „DREAM“ (ოცნება) უწოდა, ოლაჯუონი შემეხმიანა და მკითხა, თუ რას ვფიქრობდი ამის შესახებ. მე ჰაკიმს დავრთე ნება წოდებულიყო „ოცნებად“, მაგრამ ოლაჯუონის სურვილი გადაესწრო ორიგინალ „ოცნებისთვის“ ალბათ სურვილადვე დარჩა (იცინის).

— ხომ ვერ გაიხსენებდით რაიმე კურიოზს თქვენი დიდებული კარიერიდან?

— 1985 წელს კევინ მაკჰეილთან ერთად დაპატიჟებული ვიყავი თეთრ სახლში, პრეზიდენტთან შესახვედრად, მაგრამ ჩამეძინა და ჩემს მაგივრად „ბელადი“ (რობერტ პერიში) წავიდა.

— თქვენზე ამბობენ ფენომენალური მახსოვრობა აქვსო?

— ვინ ამბობს?

— პრაქტიკულად ყველა...

მოკლედ რას აღარ მოიგონებენ... ისეთივე მახსოვრობა მაქვს, როგორც ყველა სხვა ადამიანს. არაფერი განსაკუთრებული, თუმცა კი ზეპირად მახსოვს ბოსტონის რიგებში ჩატარებული თითქმის ყველა მატჩი.

— თქვენი საყვარელი ფილმი და მსახიობი?

— „ნათლიმამა“ და ჯეკ ნიკოლსონი, თუმცა კი ჯინ ჰეკმანიც ძალზედ მომწონს.

— თქვენი სამომავლო გეგმების შესახებ რას გვეტყოდით?

— ოლიმპიადის შემდეგ მე და ჩემმა მეგობარმა დენი ეინჯმა გადავწყვიტეთ გავსნნათ რესტორანი, რომელშიც ძირითადად აზიური კერძებით გავუმასპინძლდებით მშიერ ბოსტონელებს.

— სახელიც ხომ არ შეგირჩევიათ?

— ჯერ არა, მაგრამ გარწმუნებთ, რომ მას არ ერქმევა „DREAM“, თუმცა კი არც ამას გამოვრიცხავ (იცინის). გახსნაზე კი რობერტ დე ნიროსა და ტაიგერ ვუდსს დავპატიჟებთ. ბობი (დე ნირო) თავის საფირმო პიცას გამოაცხობს, ტაიგერი კი ვეგეტარიანელებს გაუმასპინძლდება.

თარგმნა ზურაბ თალაძვაძემ

ოლიმპიური კურიერი

ამერიკის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა დაასახელა ბეისბოლისტთა ეროვნული გუნდის სრული შემადგენლობა, რომელშიც რამოდენიმე სახელოვანი სპორტსმენიც მოხვდა. კეტჩერის პოზიციაზე ამერიკელებს ეყოლებათ 1992 წლის საუკეთესო მოთამაშე პეტ ბორდერსი (ტამპა ბეი), ხოლო მისი შემცვლელი კი არანაკლებ სახელოვანი მარკუს ჯენსენი (მინესოტა) იქნება. სიდნეიში წასვლაზე უარი განაცხადა ყველა დროის საუკეთესო მომწოდებელმა როჯერ კლემენსმა, რომელმაც ოჯახთან ერთად ყოფნა არჩია, ხოლო ბოსტონელი ალექს როდრიგესი კი ტრავმირებულია. ამერიკის ნაკრებს უხელმძღვანელებს ლოს ანჯელესის მთავარი მწვრთნელი და მენეჯერი ტომ ლაზორდა.

ბრაზილიის ფეხბურთელთა ოლიმპიური გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ვანდერლეი ლუქსემბურგომ განაცხადა, რომ სახელოვანი თავდამსხმელი რომარიო არ მიიღებს მონაწილეობას სიდნეის ოლიმპიურ თამაშებში. ლუქსემბურგო, რომელიც ამავდროულად ბრაზილიელთა მთავარი ნაკრების ხელმძღვანელიცაა, თვლის, რომ რომარიო უნდა დეხმაროს ეროვნულ გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში, რომელიც სექტემბრის შუა რიცხვებში გაიმართება. თავად რომარიო კი თვლის, რომ ოლიმპიური ოქროს მედალი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ერთ-ერთი რიგითი საკვალიფიკაციო მატჩი. თუმცა კი საბოლოო სიტყვა მაინც მთავარ მწვრთნელს დარჩა.

ბულგარეთის ეოკ-ის პრეზიდენტის — ივან სლავკოვის თქმით, სიდნეიში მათი ნაკრები მაქსიმუმ ორ ოქროს მედალს მოიპოვებს. პრეზიდენტს პირველ რიგში ბულგარელი ძალოსნების იმედი აქვს, რომელთაგან ორი ევროპის ჩემპიონის ტიტულის მფლობელია. ჩვენმა ნაკრებმა ვერ გაიარა სათანადო მოსამზადებელი პერიოდი და სამწუხაროდ მეტი მედლის მოპოვება ძალზედ გაგვიჭირდება. ახლა გეზი უნდა ავიღოთ ნაკრების გადახალისებაზე, რაც საკმაოდ რთული პროცესია, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ყველაფერი კარგად ჩაივლის“ — განაცხადა სლავკოვმა.

ავსტრალიელმა ჩოგბურთელმა მარკ ფილიპუსისმა შესაძლოა არ მიიღოს მონაწილეობა სიდნეის ოლიმპიურ თამაშებში. „ამერიკის ღია პირველობაზე გემბილთან შეხვედრაში უხერხულად დავეცი და ზურგი ვიტკინე. უახლოეს დღეებში სამედიცინო შემოწმებას გავივლი და ალბათ მხოლოდ მაშინ მეცოდინება, ვითამაშებ თუ არა სიდნეიში“. ფილიპუსისს არყოფნის შემთხვევაში, ავსტრალიელთა ნაკრებში ჩაირიცხება ზორბა უეინ არტურსი, რომელიც იმავე US OPEN-ზე მეოთხე წრეში გავიდა.

ოლიმპიური ჩანართი მოამზადა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრესსამსახურმა

REUTERS დრნოვიცედან

დრნოვიცე — მიუნხენი 0:0. მასპინძელ მარტინ მიულერსა და სტუმარ მარტინ მაჭს ბურთი დაეკარგათ და ერთმანეთის ყბები იპოვეს

ბელგიელთა ქართული სირცხვილი

უეფას თასი. პირველი ეტაპი. პირველი მატჩები

ამსტერდამელები კმაყოფილები არიან: „აიაქსმა“ ძველი დრო გაიხსენა, როცა ის ევროპული ფეხბურთის გიგანტებში ირიცხებოდა და ბელგიურ „გენტს“ მისსავე მოედანზე გადაუარა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამსტერდამელთა სიხარულს 95 იქაური ოჯახი ვერ იზიარებს, რაკიღა ბელგიიდან ცნობა მოვიდა, „აიაქსის“ ქომაგებს წესრიგის დამცველებთან ჩხუბი მოუვიდათ და 95 კაცი დაჭერილიაო. არეულობის მიზეზი ის გახდა, რომ სტუმრებს გენტური ტრანსვაები არ მოწონებიათ და ტრანსპორტის ამ ფრიად სასარგებლო საშუალებათა გაპარტახება დაუწყიათ — იმ საღამოს რამდენიმე ტრამვაის ვაგონს კარები ჩამოგლეჯილი ჰქონდა. მერე გამოჩნდნენ პოლიციელები. გენტის მერის ფრანკ ბეკეს თქმით, სულ 600 კაცი მიმოუფანტავთ, ქომაგთა ზემოთ ნახსენები რაოდენობა კი თავიანთ საპოლიციო უბნებში წაუყვანიათ. გადარჩენილებმა ავი საქმე ტრიბუნებზე დაასრულეს — ათობით სკამი მოგლიჯეს და მინდვრისკენ მოისროლეს.

–უკვე ვიცით, რომ „აიაქსმა“ 6:0 მოიგო. ამ ექვსი გოლიდან ჩვენებურის ერთი გასაკვირი სულაც არ არის. და სხვა დროს ალბათ უბრალოდ ვიტყოდით, აიაქსელთაგან პირველი შოთამ გაიტანო. მაგრამ ეს გოლი ნამდვილად არ იმსახურებს მხოლოდ ერთი წინადადებით ხსენებას. სანამ საბოლოოდ მოიქნევდა ფეხს და გენტელ მეკარეს ბურთს ბადიდან გამოატანინებდა, შოთამ ზედიზედ ხუთი მეტოქე მიაწვინა, რაც ფეხბურთში, დამეთანხმებით, ძალიან იშვიათად ხდება. მომდევნო ხუთი გოლი კი მხოლოდ არველაძის პირველის გაგრძელება იყო. ამას გენტელთა ვეტერანი მცველი ვიტალ ბორკემანსიც ადასტურებს: „პირველმა გოლმა გაგვტეხა. სამარცხვინოდ გავუშვით. შემდეგ განერვიულებულები კიდევ რამდენჯერმე შევცდით სულელურად“.

„აიაქსის“ ამბის თხრობა კი წუხანდელი ინფორმაციით დავასრულოთ — მატჩიდან 20 საათის შემდეგ „გენტმა“ თავის ჰოლანდიელი მწვრთნელი ჰენკ ჰუვაარტი სამსახურიდან დაითხოვა.

ახლა სხვა თამაშებს გადავხედოთ. უპირველესად მასპინძელთა უიღბლობა თუ სისუსტეა თვალში საცემი. ავსტრიული „რაპიდის“ გარდა პირველი წრის შედეგებს კმაყოფილი ერთი მათგანიც არ დაუტოვებია. „რაპიდს“ კი თავი ქუდში უნდა ჰქონდეს, რადგან საეჭვოა, ორ კვირაში ვენელები ისე დაუძლურდნენ, „იორგრიტეს“ სამბურთიანი სხვაობა დააძლევინონ. მათ გარდა მასპინძელთაგან მხოლოდ შვეიცარულმა „ბაზელმა“ მოიგო მატჩის მიწურულს გატანილი პენალტით, მაგრამ 3:2 სპასუხო მატჩის წინ „ბრანს“ ძალიან კარგ შანსს უტოვებს.

ბაზელური მატჩისა არ იყოს, 2:2-ზე თამაშის მიწურულს კოშიცეშიც გავიდა პენალტი, თუმცა მასპინძელთა კარში. არადა, 84-ე წუთამდე სლოვაკები 2:1 იგებდნენ და ბედის ასე უკუღმა დატრიალებას ნამდვილად არ ელოდნენ.

ბოლო წუთზე გაიტანა პენალტი ირლანდიელმა კროუემაც, თუმც ვერ იხეირა, რადგან არაფერი შეიცვლებოდა. მოკრძალებულ დუბლინურ გუნდთან სპასუხო მატჩის წინ ჯორკაეფი და კომპანია სამბურთიანი უპირატესობითაც მშვიდად იქნებოდა და ორბურთიანითაც არხეინად გრძნობს თავს.

სხვა შეხვედრებიდან აღსანიშნავია „მიუნხენისა“ და „ბორდოს“ უგოლო ფრეები, თუმცა ეს ჩეხურ „დრნოვიცესა“ და ბელგიურ „ლიერსს“ უფრო უნდა აწუხებდეთ. მით უმეტეს, რომ ლიერსელები ბოლო 15 წუთი ერთი კაცით მეტნი იყვნენ მინდორზე.

გიორგი დარჯანია

უეფას თასი. პირველი ეტაპი
პირველი მატჩები. 12 სექტემბერი

UEFA CUP

კოშიცე (სლოვაკეთი) — გრაცერი (ავსტრია) 2:3
1:0 ზვარა (54პ), 1:1 აკვუეგბუ (58), 2:1 ფამპორი (76), 2:2 სტანდფესტი (84), 2:3 პამიჩი (90პ)

ნორჩიოპინგი (შვედეთი) — ლიბერეცი (ჩეხეთი) 2:2
1:0 ფლოდსტრიომი (32), 1:1 ლიუნი (70), 1:2 ნუზმარი (77), 2:2 ბ. ანდერსონი (78)

ბაზელი (შვეიცარია) — ბრანი (ნორვეგია) 3:2
1:0 მაგრო (7), 1:1 ლუდვიგსენი (47), 2:1 ჩუგა (53), 2:2 ჰელსტადი (72), 3:2 კროიცერი (86პ)

დრნოვიცე (ჩეხეთი) — მიუნხენ 1860 (გერმანია) 0:0

გენტი (ბელგია) — აიაქსი (ჰოლანდია) 0:6
0:1 შ. ბრანელაძე (7), 0:2, 0:3 კნოპერი (40, 70), 0:4 გრონკიერი (74), 0:5 ვან დერ ვაარტი (82), 0:6 ვან დერ გუნი (84)

ლიერსი (ბელგია) — ბორდო (საფრანგეთი) 0:0
გაძევება: ბონისელი (75, ბორდო)

რაპიდი (ავსტრია) — იორგრიტე (შვედეთი) 3:0
1:0 ვაგნერი (20), 2:0 სავიჩევიჩი (27), 3:0 რატკაიჩკი (80)

ვაშაში (უნგრეთი) — აეკ (საბერძნეთი) 2:2
0:1 პეტო (48სკ.), 0:2 ნიკოლაიდისი (51), 1:2 პეტო (89), 2:2 კომოდი (90)

ბოჰემიანსი (ირლანდია) — კაიზერსლაუტერნი (გერმანია) 1:3
0:1 რაინი (71), 0:2 ხრისტოვი (75), 0:3 ტარე (79), 1:3 კროუეი (90პ)



ჯანლუკა ვიალი

დროებით უმუშევარი

ჯანლუკა ვიალი ლონდონის „ჩელსის“ მწვრთნელი აღარ არის. კოხტად ჩაცმის მოყვარული, 36 წლის თავგადასავლიანი იტალიელი საშშბათს, საღამოს 5 საათზე კლუბის თავმჯდომარის, კენ ბეიტსის კაბინეტში შევიდა და იქიდან, კაბინეტის პატრონსა და აღმასრულებელ დირექტორთან, კოლინ ჰჩისონთან მოლაპარაკების შემდეგ, თანამდებობიდან განთავისუფლებული გამოვიდა. მისი გამოსვლა და „ჩელსის“ ოფიციალური, დიპლომატიური ანუ არაფრისმთქმელი განცხადება ერთი იყო. განცხადებაში ეწერა, რომ კლუბი მადლობელია იმ შედეგებისთვის, ლონდონელებმა ვიალის მმართველობის ხანაში რომ მიაღწიეს, მაგრამ ფართე სტრატეგიული გეგმებიდან გამომდინარე, სჯობს გუნდის ხელმძღვანელობა გამოიცვალოს და ასე შემდეგ.

ერთი სიტყვით, ვიალი მოხსნეს. კაცი, რომელიც თანამდებობაზე 1998 წლის 12 თებერვალს დაინიშნა, ორი დღეა უმუშევარია, თუმცა კონტრაქტი კონტრაქტია და ამიტომ „ჩელსი“ მაისამდე ხელფასს ძველებურად გადაუხდის.

მაგრამ საქმე ხელფასი სულაც არ არის. ჯერ ერთი, ვიალის ფეხბურთელობის წლებში მიღებული გასამრჯელოები ექნება გვარიანად დაგროვილი და მეორეც — ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იგი მდიდარ მეწარმეთა ოჯახიდანაა და მისთვის ფული ბავშვობიდან სხვა რამ იყო. ერთი სიტყვით, ვიალისთვის ოჯახის გამოკვების პრობლემა არასდროს დადგება და ამიტომ მისი ცხოვრების ამ მხარეს თავი დავანებოთ.

ამბობენ, გარდა იმისა, რომ ახალდაწყებულ ინგლისის ჩემპიონატში „ჩელსიმ“ ხუთ თამაშში ექვსი ქულის მეტი ვერ მოაგროვა, მწვრთნელის გაშვების მიზეზი ფეხბურთელებთან ურთიერთობების გაფუჭება იყო. აი, კარგი მაგალითი: გუნდის თავგადაკლული გულშემატკივარი, ბრიტანეთის ყოფილი სპორტის მინისტრი ტონი ბენქსი სამშაბათსვე გამოვიდა BBC-ს რადიოში და მოიგონა, რომ გასულ სეზონში, „უემბლიზე“ ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალში გამარჯვების მერეც კი, ფეხბურთელები ზეიმის ნაცვლად მოფარებულში მწვრთნელს აკრიტიკებდნენ. ბენქსის აზრით, ვიალის მთავარი პრობლემა ადამიანებთან ურთიერთობაა და მისი სამსახურიც სწორედ ამას შეეწირა.

ბოლო დროს იტალიელ მწვრთნელს საყვედური შეკადრეს ფრანკ ლებეფმა, თანამემამულე ჯანფრანკო ძოლამ და 35,24 მილიონ დოლარად ნაყიდმა ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკმა. მათ, ცხადია, ამა თუ იმ შეხვედრაში სათადარიგოთა სკამზე ჯდომა არ მოეწონათ.

თუმცა საქმე არც ისეა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. კრიტიკა კრიტიკად და „ჩელსი“ ტიტულების დიდად მომხვეჭელი გუნდი არასდროს ყოფილა, მითუფრო 80-იან წლებში, ვიალის ეპოქაში კი თუმც „მანჩესტერ იუნაიტედის“ ჰეგემონია ვერ დაამხო

ჯანლუკა ვიალი

- დაიბადა 1964 წლის 9 ივლისს კრემონაში (იტალია)
- 1980 16 წლისამ პირველად ითამაშა „კრემონეზეში“
- 1984 2,93 მილიონ დოლარად ვიალი „სამპდორიამ“ იყიდა
- 1985 დებიუტი იტალიის ნაკრებში, პოლონეთის წინააღმდეგ
- 1990 თასების თასის ფინალში გაიტანა ორივე გოლი. ითამაშა მსოფლიოს ჩემპიონატზე
- 1991 ხდება იტალიის ჩემპიონი. გაიტანა 19 გოლი
- 1992 მარცხდება ჩემპიონთა თასის ფინალში „ბარსელონასთან“ და 19,59 მილიონ დოლარად გადადის „იუვენტუსში“. ეს თანხა მაშინ მსოფლიოს სატრანსფერო რეკორდი გახლდათ
- 1993 ხდება უეფას თასის მფლობელი
- 1995 ხდება იტალიის ჩემპიონი და თასის მფლობელი. ხდება მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი
- 1996 ხდება ჩემპიონთა თასის მფლობელი და გადადის „ჩელსიში“
- 1997 „ჩელსის“ მწვრთნელთან, რუუდ გულიტთან კონფლიქტი აქვს. გულიტი არ ათამაშებს
- 1998 გულიტი თანამდებობას ტოვებს. მის ნაცვლად ვიალის ნიშნავენ. იმავე წელინადს „ჩელსი“ იგებს თა სების თასს
- 2000 „ჩელსი“ იგებს ფეხბურთის ასოციაციის თასს

და ჩემპიონი ვერ გახდა, 1998 წელს ევროპის თასების მფლობელთა თასი მოიგო, 2000-ში კი ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასი.

მერე კი, მოგეხსენებათ მადა ჭამაში მოდისო, ლონდონელებს მეტი და მეტი მოუნდათ და ვინაიდან „ჩელსიმ“ ამ სეზონში ჩემპიონთა ლიგის საგზური ვერ მოიპოვა, უკვე წარუმატებლობებზე დაიწყეს ლაპარაკი. იგივე მოხდა პრემიერლიგის ტიტულთან დაკავშირებით. ჩემპიონი რად ვერ გახდიო, უსაყვედურეს ორწელიწადნახევრის წინ დანიშნულ კაცს, როდესაც მთელი ისტორიის მანძილზე „ჩელსი“ ერთადერთხელ, 1955 წელს იყო ცხრილში პირველ ადგილზე.

თუმცა ამქვეყნად ყველაფერი ვიღაცას, სადღაც, ოდესღაც უკვე გადახდენია. ვიალი არც პირველია და არც უკანასკნელი და რა თქმა უნდა, მართალიცაა და იმავდროულად მტყუანიც.

„ჩელსის“ კი ახალი მწვრთნელის დანიშვნამდე ვიალის ასისტენტი, არასრულწლოვანთან სექსისთვის ციხეში ნაჯდომი გრემ რიქსი უხელმძღვანელებს.

„წინა ორი მწვრთნელის, რუუდ გულიტის და ჯანლუკა ვიალის ხელმძღვანელობით ერთობ მოკრძალებული შედეგების მიღწევის შემდეგ კენ ბეიტსი, ალბათ, ვინმე ვენიბლზის მაგვარს დანიშნავს თანამდებობაზე. ასეთებს ხომ რთულ პირობებში საქმის გამოსწორების უნარი შესწევთ, რაც ბევრჯერ დაუმტკიცებიათ“ — წერდა გუშინდელი „ტაიმსი“.

ვენიბლზი, რომელიც ინგლისური გაზეთის ჟურნალისტებს გაახსენდათ, დიდად გამოცდილი კაცია. მას თავის დროზე ესპანეთშიც კი უმუშავია, სადაც „ბარსელონას“ ედგა სათავეში და ჩემპიონთა თასის ფინალში გაიყვანა, თუმცა იქ „სტიაუასთან“ დამარცხდა.

„კანდიდატთა შორის, ყველასთვის მოულოდნელად, ნომერი პირველი ჯორჯ გრემია, „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ მწვრთნელი, „ჩელსის“ ყოფილი მოთამაშე და კენ ბეიტსის სათაყვანებელი კაცი. გრემის ხელში „ტოტენჰემი“ მნიშვნელოვნად გაძლიერდა. არადა „სფურზს“, „ჩელსისთან“ შედარებით სუსტი ფეხბურთელები ჰყავს“ — ეს გახლავთ ციტატა „ინდიპენდიენტიდან“.

ამ ვერსიას აძლიერებს ის გარემოება, რომ გრემი „ტოტენჰემამდე“ „არსენალის“ მწვრთნელი გახლდათ, ეს გუნდები კი ლონდონის ჩრდილო უბანში მეზობლები არიან და ერთმანეთი ეზიზღებათ, რის გამოც „ტოტენჰემის“ ქომაგებს საკუთარი მწვრთნელი მაინც და მაინც არ ესიმპატიურებათ.

„დეილი ტელეგრაფი“: „საინტერესოა, წინა სამი შემთხვევის მსგავსად დანიშნავს თუ არა „ჩელსი“ მწვრთნელად ახალგაზრდა კაცს. იქნებ პოლიტიკა შეცვალოს და ვინმე სახელოვანს შესთავაზოს თანამდებობა, მაგალითად ჯორჯ გრემს“.

ნიძლავების მოყვარულთ თავისი ვარიანტები შესთავაზა საბუქმეიკერო კომპანია „უილიამ ჰილმა“. მისი ვერსიით, „ჩელსის“ მწვრთნელობის მთავარი კანდიდატია ტერი ვენებლზი (10/11). შემდეგ მოდიან ჯორჯ გრემი (5/1), გლენ ჰოდლი (6/1), ფრანკ რაიკაარდი (7/1), ემე ჟაკე (8/1), იოჰან კრუიფი (12/1), სვენ გორან ერიკსონი, დინო ძოფი (16/1), ჯოვანი ტრაპატონი, ჟან ტიგანა (20/1), დიკ ადვოკაატი, ფაბიო კაპელო, ჯო კინეარი, ჯონ ტოშაკი (25/1), გრემ რიქსი და დევიდ ო'ლირი (33/1).

ბაბუნა ძედია

მარიო გასლერი — ბოჰემიანსის ფასი

უეფას თასის პირველი ეტაპის პირველი მატჩი ირლანდიის დედაქალაქის „ბოჰემიანსსა“ და გერმანულ „კაიზერსლაუტერნს“ შორის სტუმართათვის ცუდად დასრულდა. მართალია, გერმანელებმა 3:1 მოიგეს და მომდევნო ეტაპზე გამსვლელის ვინაობაც ფაქტობრივად ცხადი გახადეს, ეს ამბავი ძვირად დაუჯდათ: უკვე მე-20 წუთზე „ლაუტერნის“ თავკაც ოტო რეჰაგელს გუნდის ლიდერის, კაპიტან მარიო ბასლერის შეცვლა მოუხდა. „სუპერმარიომ“ ერთ-ერთ სათამაშო ეპიზოდში მეტოქესთან შეჯახებისას მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო და ახლა კარგა ხანს მოუწევს დასვენება. არაა გამორიცხული, ოპერაციაც დასჭირდეს. თუ ეს მოხდა, მიუნხენის „ბაიერნისა“ და გერმანიის ეროვნული ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი დეკემბრამდე ვერ ითამაშებს.

„ბასლერის ტრავმა ჩვენთვის აუნაზღაურებელი დანაკლისია. ექიმები გადაწყვეტით ჯერ ვერაფერს ამბობენ. იმედს არ ვკარგავთ, იქნებ ყველაფერი კარგად დასრულდეს და მარიო რამდენიმე კვირაში დაგვიბრუნდეს. უიმისოდ ძალიან გაგვჭირდება“ — თქვა რეჰაგელმა მომხდარის თაობაზე.

ბასლერის გარდა „ბოჰემიანსთან“ „კაიზერსლაუტერნს“ ბერძენი მცველი დიმიტრიოს გრამოცისიც დაუშვდა. მან ტვინის მცირე შერყევა მიიღო და პირველი ტაიმის შემდეგ შესაცვლელი შეიქნა.

„კაიზერსლაუტერნი“ და მისი თავკაცი პრესის კრიტიკას ვერც ამ მატჩის შემდეგ გადაურჩნენ. გერმანული მასმედია სულ უფრო ბევრს ლაპარაკობს ამ კლუბის კრიზისზე. ახალდაწყებული ბუნდესლიგის ჩემპიონატში „ლაუტერნი“ ცხრილის მეორე ნახევარში იმყოფება, გუნდის თამაში კი მდგომარეობის გამოსწორების იმედს არ იძლევა. „ბოჰემიანსთანაც“ 44-ე წუთზე მასპინძლები ათნი რომ არ დარჩენილიყვნენ მოლოის გაძევების გამო, სტუმრები მატჩს ასე ადვილად ვერ მოიგებდნენო, წერს გაზეთი „ზიდი“.

„კაიზერსლაუტერნის“ სუსტ თამაშს მნიშვნელოვანწილად ფეხბურთელთა ტრავმები განაპირობებს. დიდი ხანია, დაშავებულნი არიან ოლაფ მარშალი, ანდრეას ბუკი, მურატ იაკინი, რატინიო და უვე გოსპოდარეკი. თითქოს ცოტა ყოფილიყოს, ახლა ბასლერი და გრამოცისიც დაემატათ. ერთი ეგაა, ჩეხი პეტრ გაბრიელი გამოჯანმრთელდა და ორი დღეა, ვარჯიშს შეუდგა.

„ასეთ მდგომარეობას თითქოს შევეჩვიეთ. ადრეც არაერთხელ გვყოლია ტრავმირებულები, თუმცა ეს უკვე მეტისმეტია. ვეცდებით, გამოსავალი ვიპოვოთ და ისე ვითამაშოთ, როგორც „კაიზერსლაუტერნს“ ეკადრება — აცხადებს ოტო რეჰაგელი.

განო ოგროპირიძე

ფეხბურთი

ოზებს პრენდერგასტმა წააგებინა

REUTERS კანბერადან

ავსტრალია — გერმანია 0:3. წყალწაღებული რას არ მოეკიდება

ᲕᲐᲣᲔᲑᲘ

A ᯒᲯᲒᲣᲤᲘ

ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ 0:1 ᲘᲢᲐᲚᲘᲐ

0:1 პირლო (81)

ᲜᲘᲓᲔᲠᲚᲐᲜᲓᲘᲐ 3:3 ᲰᲝᲜᲓᲣᲠᲐᲡᲘ

0:1 სუასო (35), 1:1 იგბინადოლორი (51), 1:2 ლეონი (60), 1:3 სუასო (76ა), 3:3 ბიეგბენი (90)

C ᯒᲯᲒᲣᲤᲘ

ᲙᲐᲛᲔᲠᲣᲜᲘ 3:2 ᲥᲣᲕᲔᲘᲗᲘ

1:0 ალნუდჯი (37), 1:1 ალშუტბირი (63), 2:1 ᲨᲝᲛᲐ (76), 3:1 აბდულრაპმანი (86სს.ჯ.), 3:2 აბდულრაპმანი (88)

ᲐᲨᲨ 2:2 ᲩᲔᲮᲔᲗᲘ

1:0 ოლბრაიტი (21), 1:1 იანკულოვსკი (28), 2:1 ᲯᲝᲚᲤᲘ (44), 2:2 დოშეკი (52Შ)

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

A ᯒᲯᲒᲣᲤᲘ

ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ 0:2 ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ

0:1 პრეტინია (21), 0:2 კატია (70)

ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ 0:3 ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ

0:1 გრინესი (35), 0:2 ვიეგმანი (70), 0:3 ლინგორი (30)

ᲛᲡᲐᲯᲘ პრენდერგასტი იყო, პიტერ პრენდერგასტი იამაიკიდან, რომლისთვისაც 93 ათასი ადამიანის თვალწინ მასპინძელთა და იტალიელთა თამაშის გაძღოლა არ უნდა ენდოთ. ანდეს და საშინელება გამოვიდა: წვრილმანი შეცდომების კორიანტელს ვინ ჩივის, აღელდა, გადაირია და ვინ იცის მოედნიდან გაქცევაზეც დაიწყო ფიქრი.

ანდა, იქნებ ᯒᲯᲒᲣᲤᲘ გაქცეულიყო. უფრო სწორად, ნამდვილად აᯒᲯᲝᲑᲔᲑᲓᲐ რომ გაქცეულიყო, თან შეხვედრის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ საფინალო ჩასტვენამდე ცხრა წუთით ადრე თვალს საერთოდ ლიბრი გადაეფარა.

ეს ასე მოხდა: ანდრეა პირლო, მილანის „ინტერისა“ და ოლიმპიური „სკუადრა აძურას“ თავდამსხმელი, რომლის ორი გოლის წყალობით ივნისში იტალიელებმა თანატოლთა შორის ევროპის ჩემპიონობა მოიპოვეს, მასიმო მარᯒᲘᲝᲢᲐᲡ პასით მეკარე დენი მილოშევიჩთან პირისპირ გავიდა. ამ დუელის დროს პირლოს დარტყმული აეჭრა, ბური გაუფრინდა და მარᯒᲯᲕᲔᲜᲐ ძელს მოხვდა, ხოლო ძელიდან ჩამოვარდნილი ᲮᲐᲗᲘ იქით არ შესულა — ავსტრალიელმა მცველმა ჰეიდენ ფოქსმა ჰკრა და გაღმა გადაგდო.

აი, აქ კი დაიბნა ის პრენდერგასტი, ᯒᲯᲔᲠ შეყოვნდა, თითქოს იგრძნო, რომ თამაშის ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕ გაგრძელება უნდა ებრძანებინა, მაგრამ შემდეგ იტალიელთა სათადარიგო სკამს გახედა და იქ მოზეიმეთ რომ მოᲩᲙᲠᲐ თვალი (გოლი ეგონათ), ხელი ცენტრისკენ გაიშვირა.

მაყურებელი ცხადია აღშფოთდა და ცხადია უშედეგოდ — ოზებმა წააგეს მატჩი, რომელიც უნდა მოეგოთ. თუმცა მოდით იტალიელთა მეკარეს, კრისტიან აბიატის დამსახურებას ნუ დავუკარგავთ. „მილანის“ კარის დარაᯒᲯᲛᲐ სამᯒᲔᲠ თუ ოთხᯒᲔᲠ ბრწყინვალედ ითამაშა, ოღონდ იმ ეპიზოდში, როდესაც „ლიდს იუნაიტედის“ ავსტრალიელმა თავდამსხმელმა მარკ ვიდუკამ ბურთი კარში ვერ შეაგდო (მარᯒᲯᲕᲜᲘᲓᲐᲜ ᲩᲐᲬᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘ მუხლზე აეჭრა და ᲮᲐᲠᲘᲮᲐᲡ გადაღმა ჩაᲔᲨᲕᲐ) გაუმართლა.

ამის შემყურე იტალიელთა მწვრთნელმა, წარსულის დიდმა ვარსკვლავმა მარკო ტარდელიმ მატᲩᲘᲡᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ პრეკსონფერენციაზე განაცხადა:

„ᲩᲔᲛᲘ აზრით იღბალმა მოგვაგებინა. მგონი, გამარᯒᲯᲕᲔᲑᲐᲡ არ ვიმსახურებდით.“

სხვათაშორის, „სკუადრა აძურას“ ფეხბურთელებს შავი სამკლაურები ეკეთათ, რადგან კვირა დილით იტალიის ქალაქ სოვერატოში მეწყერმა 12 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

იმავ A ᯒᲯᲒᲣᲤᲘᲡ, სადაც ავსტრალიელთა და იტალიელთა შეხვედრა გაიმართა, ატლანტის ოლიმპიადის ჩემპიონმა, ნიგერიის ნაკრებმა ოლიმპიადების დებიუტანტს, ᰰონდურასს ვერ მოუგო — 3:3.

მატჩი ნიგერიელთათვის კარგად დაიწყო — ანგარიში მეტოქემ გახსნა ანუ მოხდა ის, რაც ოთხი წლის წინ ატლანტაში აფრიკელებს კარგად ᰰონდათ დაცდილი. შემდეგ მართალია გაათანაბრეს, მაგრამ ერთი ᲮᲜᲘᲡ მერე ისევ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲜᲔᲜ და თან ორი გოლით. ერთი სიტყვით, ოლიმპიურ ჩემპიონს საქმე ისე მოექცა, ფრითაც კმაყოფილი უნდა დარᲩᲔᲜᲘᲚᲘᲧᲝ და, ალბათ, დარჩა კიდეც.

სენსაციაა? გარეგნულად დიახაც არის, მაგრამ თუ გავიᲮᲡᲔᲜᲗᲔᲗ, რომ მოსამზადებელ პერიოდში წამყვანი ნიგერიელი მოთამაშეები ეროვნულ გუნდში გამოძახებაზე ყურსაც არ იბერტყავდნენ, ლოგიკურიც გახლავთ. ხოლო რაც შეეხება ᰰონდურასს, მერე რა, რომ დებიუტანტია, ნუ დაგვავიწყდება, ეს ის ქვეყანაა, რომელმაც 70-იანი წლების დასაწყისში ფეხბურთის გამო მეზობელ სალვადორთან იომა და იმ ომმა 3 ათასი სიცოცხლე შეიწირა.

C ᯒᲯᲒᲣᲤᲘᲡ კამერუნმა ქუᲕᲔᲘᲗᲘᲡ აᯒᲝᲑᲐ 3:2, აᲨᲨ-ისა და ᲩᲔᲮᲔᲗᲘᲡ მატᲩᲘ კი ფრედ 2:2 დამთავრდა. მატᲩᲘᲡ შემდგომ ორივე გუნდის მწვრთნელი, ამერიკელი კლაივ ᲩᲐᲠᲚᲖᲔ და ᲩᲔᲮᲔ კარელ ბრუკნერი უკმაყოფილონი გახლდნენ.

ᲩᲐᲠᲚᲖᲔ: „მე და ᲩᲔᲛᲘ მოთამაშეები გულნატკენნი ვართ, რადგან მოგებისთვის ყველაფერი გავიღეთ. ᲩᲕᲔᲜ ᲩᲔᲮᲔᲑᲡ ᲕᲯᲝᲑᲓᲘᲗ, მაგრამ მᲮᲝᲚᲝᲓ ᲥᲣᲚᲐ ᲩᲐᲕᲘᲬᲔᲠᲔᲗ.“

ᲑᲠᲣᲙᲜᲔᲠᲘ: „ასე არ ივარგებს, მომავალში უკეთ უნდა ვითამაშოთ. აᲨᲨ კი კარგი გუნდია, რაც დღესაც გამᲝᲩᲜᲓᲐ.“

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲣᲠᲒᲣᲚᲐᲫᲔ

REUTERS ᲑᲔᲚᲒᲘᲣᲠᲜᲘᲓᲐᲜ

ავსტრალია — იტალიის მატᲩᲘᲡ გმირი შეხვედრის იამაიკელი მსაჯი პიტერ პენდერგასტი იყო

ᲕᲐᲘ, ᲠᲐ ᲓᲐᲕᲙᲐᲠᲒᲔᲗ!

ᯒᲝᲜᲐᲗᲐᲜ ᲔᲓᲕᲐᲠᲓᲡᲘ: ᲓᲐᲕᲢᲘᲠᲘ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚ ᲡᲘᲓᲔᲓᲠᲡ

ᲚᲠᲛᲐᲓ რელიგიური ᯒᲝᲜᲐᲗᲐᲜ ᲔᲓᲕᲐᲠᲓᲡᲘ სიდნეის ოლიმპიადაზე გამოსვლას არ აპირებდა, თუმცა იგი ბრიტანელთა მთავარი სამძლეოსნო იმედია. სამხტომელს ტვინის კიბოთი დაავადებული სიდედრი გლაზგოს ᰰოსპიტალში ეწვა და მასთან განᲬორება არ სურდა. მერე ᲔᲓᲕᲐᲠᲓᲡᲗᲐ აზრი შეიცვალა და მაინც გაემგზავრა ავსტრალიაში, მანამდე კი ორᲨᲐᲑᲐᲗᲡ ასე თქვა, ვლოცულობ, არაფერი მოᲮᲓᲔᲡ, სანამ სარბიელზე ფეხს შევდგამო. ვაი, რომ მᲮᲓᲐ... სამᲨᲐᲑᲐᲗᲡ ინგლისიდან სიდნეიში ᲔᲓᲕᲐᲠᲓᲡ ტელეფონით ცოლი შეეხმიანა და დედამისის გარდაცვალება ამცნო. „სანის“ ცნობით, ვინძლო ამან ᲔᲓᲕᲐᲠᲓᲡᲘᲡ მᲮᲐᲓᲔᲑᲐᲡᲐ და შესაბამისად შედეგზეც იმოქმედოს.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲣᲚᲣᲐ

ᲗᲮᲘᲚ ᲐᲓᲒᲘᲚᲡ ᲕᲘᲜ ᲒᲐᲐᲪᲘᲔᲑᲡ? ᲡᲐᲕᲐᲠᲯᲔᲚᲘᲨᲘ ᲑᲐᲮᲘ ᲩᲐᲯᲓᲐ

ᲡᲝᲚᲢ ᲚᲔᲘᲙ ᲡᲘᲢᲘᲡ 2002 წლის ᲗᲐᲛᲗᲠᲘᲡ ოლიმპიადის მასპინძლად არᲩᲔᲕᲘᲡᲐᲡ თანამდებობის ბოროტად გამოყენების ბრალდების გამო კანადელ დიკ პაუნდის მიერ ახლახან გამოთავისუფლებულ სოკ-ის ვიცე-პრეᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ სავარძელი ეულად დიდი ᲮᲜᲘᲗ არ დარᲩᲔᲜᲘᲚᲐ...

გუშინ სიდნეიში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის III-ე სესიაზე სწორედ ამ ცარიელი სავარძლის ღირსეული პატრონის ძიებაში იყვნენ. სოკ-ის სესიას ორი კანდიდატი ᰰყავდა. ერთი, გერმანელი თომას ბახი, ფარიკაობაში 1976 წლის მონრეალის ოლიმპიური თამაშების ᲩᲔᲛᲘᲝᲜᲘ, მეორე იაპონელი სპორტის ფუნქციონერი ᲩᲘᲮᲐᲠᲣ იგაია. პირველობა ანუ სოკ-ის ვიცე-პრეᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲐ 64 ᲮᲛᲘᲡ 32-ის წინააღმდეგ ბახს დარᲩᲐ.

გარდა ამისა, სოკ-მა სესიაზე აღმასრულებელ საბᲭᲝᲨᲘ კიდევ ორი წევრი დაიმატა. როგორც მოსალოდნელი იყო, ერთ-ერთი მანდატი წილად ᲮᲕᲓᲐ შვედეთის ეოკ-ის ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚ გუნილე ლინდბერგს (სხვათა შორის, სოკ-ის ვიცე-პრეᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ, ანიტა დეფრანცის შემდეგ იგი აღმასრულებელ საბᲭᲝᲨᲘ მეორე ქალბატონი იქნება), აღმასკომის მეორე წევრად კი რომის ყოფილი მერი ფრანკო კარარო აირᲩᲘᲔᲡ.

ᲒᲐᲒᲐ ᲒᲣᲠᲐᲡᲙᲕᲘᲚᲘ

ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲔᲚᲔᲑᲡ ᲒᲐᲖᲘ ᲒᲐᲔᲠᲐᲗ

ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ავსტრალიელებმა სიდნეის ოლიმპიადის მᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ პერიოდში ყველას მოაწონეს თავი, მათ შორის ყველაზე ეᲭᲕᲘᲐᲜ და მომᲗᲮᲝᲕᲜ გრინფიელებსაც, მაგრამ ყველა ადამიანი ცდება. სწორედ ასეთი შეცდომისა თუ დაუდევრობის ბრალი იყო, რომ გუშინ დილით სიდნეის საერთაშორისო აეროპორტის სავენტილაციო სისტემაში ავარია მᲮᲓᲐ, რის შედეგადაც 50-ზე მეტი ადამიანი დაᲖᲐᲠᲐᲚᲓᲐ.

საქმე ისაა, რომ აეროპორტის ტექპერსონალმა სავენტილაციო სისტემის გაწმენდისას სუფთა ᰰაერის ნაცვლად ძალზე შᲮᲐᲛᲘᲐᲜᲘ ქიმიური ნაერთი — ქლორირებული ანგიდრიდი გაუშვა მოსაცდელ დარბაზში, რამაც მგზავრთა შორის მოწამვლასთან ერთად პანიკაც გამᲝᲘᲬᲕᲘᲐ. ექიმებმა 10 ადამიანი ᰰოსპიტალში გადაიყვანეს, დანარᲩᲔᲜᲔᲑᲘ კი ადგილზევე აღმოუᲩᲘᲜᲔᲡ დახმარება.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲗᲐ თქმით, საავადმყოფოში გადაყვანილ მგზავრებს საფრთხე არ ემუქრებათ. ამ ინციდენტს დიდი გავლენა არც ავიამეურნეობაზე მოუᲮᲓᲔᲜᲘᲐ, მართალია, რამდენიმე რეისი მაინც შეფერᲮᲓᲐ, მაგრამ ყველაფერი მალევე მოგვარდა.

ავარიის შედეგები შეიძლება უფრო მძიმეც ყოფილიყო, მაგრამ აეროპორტის მუშაკებმა კონდიციონერები დროულად გამᲝᲠᲗᲔᲡ. იმ დროს აეროპორტში მყოფ ოლიმპიელთაგან არავინ მოწამლულა.

ᲒᲘᲒᲐ ᲒᲣᲠᲐᲡᲙᲕᲘᲚᲘ

ᲨᲔᲜ, ᲩᲔᲜ! ᲤᲐᲤᲣ ᲰᲝ-ᲰᲣ

ᲝᲠᲘ მანდილᲝᲡᲐᲜᲘ — ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲚᲘ სამᲮᲢᲝᲛᲔᲚᲘ ივა პრანᯒᲔᲕᲐ და ტაივანელი ძალᲝᲡᲐᲜᲘ, ᲩᲔᲜ ᲰᲝ-ᲰᲣ ოლიმპიადის გᲐᲮᲡᲜᲐᲛᲓᲔ ორი დღით ადრე დოპინგკონტროლმა ᲩᲐᲭᲠᲐ. პრანᯒᲔᲕᲐ ქალთა სამᲮᲢᲝᲛᲨᲘ მᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ფიგურაა, ᲮᲣᲗᲘ წლის წინათ მსოფლიოს ვიცე-ᲩᲔᲛᲠᲘᲝᲜᲘ გᲐᲮᲓᲐ, მაგრამ ატლანტის ოლიმპიადაზე სისᲮᲚᲨᲘ მეთანდᲣᲜᲝᲜᲘ უᲰᲝᲕᲔᲡ და წესისამებრ ორი წლით მოკვეთეს. სიდნეიში იგივე განმეორდა, ტაივანელზე კი იმას ვიტყვით, რომ იგი თანამემამულე კოლეგებიდან ერთადერთი არ არის, ვინც სპორტულ დანაშაულში უᲨᲮᲔᲚᲘᲐᲗ. აგვისტოში ძალᲝᲡᲜᲝᲑᲘᲡ საერთაშორისო ფედერაციამ ორი წლით ორი სხვა კუნძულელიც დასᯒᲯᲐ, რომელთაგან ერთი მსოფლიოს სამგზის ᲩᲔᲛᲠᲘᲝᲜᲘ, ᲩᲔᲜ ᲟᲣᲝ-ᲚᲘᲘᲔᲜ გᲐᲮᲚᲔᲓᲐᲗ.

ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ-ᲨᲘ

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

უეფას თასი. I ეტაპი. I მატჩები

14 სექტემბერი

525	გორიცა-რომა	7,0	3,8	1,4
526	ნაპრედაკი-ოფი	2,2	3,1	3,0
527	ალანია-ამიცა	1,55	3,4	5,6
528	ზიმბრუ-ჰერტა	6,0	3,5	1,5
529	ლოკომოტივი-ნეფტოხიმიკი	1,25	5,0	9,0
530	ლილესტრიომი-დინამო (რუს.)	2,5	2,9	2,6
531	ანთალია-ვერდერი	3,1	3,0	2,2
532	ოლიმპია-ესპანიოლი	3,8	3,0	1,9
533	ცსკა (რუსეთი)-ვიბორგი	1,45	3,6	6,5
534	ცსკა (ბულგარეთი)-მტკ	2,0	3,0	3,5
535	გენიონი-ირაკლისი	2,0	3,2	3,3
536	სლოვანი-დინამო (ხორვატია)	2,3	3,0	2,9
537	ვორსკლა-ბოავიშტა	3,4	3,1	2,0
538	ლოზანა-ტორპედო	2,4	3,0	2,7
539	პოლონია-უდინეზე	3,4	2,9	2,1
540	როდა-ინტერი (სლოვაკეთი)	1,4	3,8	7,0
541	აიკ-ჰერფიოლგე	1,4	4,0	6,5
542	ვიტესი-მაკაბი	1,35	4,0	7,5
543	ციურიხი-გენკი	2,2	3,0	3,1
544	მიოლდე-რაიო ვალეკანო	2,5	3,0	2,5
545	ბრიუგე-აპოელი	1,1	6,0	12,0
546	ჰალმსტადი-ბენფიკა	2,6	2,9	2,5
547	კრივბასი-ნანტი	3,4	3,1	2,0
548	რაპიდი (რუმინ.)-ლივერპული	4,7	3,1	1,7
549	პობედა-პარმა	7,0	3,8	1,4
550	პაოკ-ბეითარი	1,4	4,0	6,5
551	ბრონდბიუ-ოსიეკი	1,4	4,0	6,5
552	ალავესი-გაზიანთეფი	1,4	4,0	6,5
553	ტიროლი-ფიორენტინა	3,5	3,0	2,0
554	შტუტგარტი-ჰართსი	1,3	4,4	8,0
555	სელტიკი-ჰიკ	1,15	5,6	10,0
556	ჩელსი-სენტ გალენი	1,15	5,6	10,0
557	დუნაფერი-ფეიენოორდი	3,0	3,1	2,2
558	ლესტერი-ცრვენა ზვეზდა	1,6	3,3	5,3
559	პარტიზანი-პორტუ	2,8	2,9	2,4
560	რუხი-ინტერი (იტალია)	5,0	3,4	1,6
561	სლავია-აკადემისკი	1,5	3,6	5,6
562	სელტა-რიეკა	1,15	5,6	10,0
563	სარაგოსა-ვისლა	1,25	5,0	9,0

უეფას თასი. I ეტაპი. შემდეგ ეტაპზე გასვლა

14 სექტემბერი

725	გორიცა	-15,0	რომა	-1,01
726	ნაპრედაკი	-2,3	ოფი	-1,35
727	ალანია	-1,3	ამიცა	-2,5
728	ზიმბრუ	-10,0	ჰერტა	-1,02
729	ლოკომოტივი	-1,1	ნეფტოხიმიკი	-5,0
730	ლილესტრიომი	-2,8	დინამო (რუს.)	-1,25
731	ანთალია	-4,0	ვერდერი	-1,1
732	ოლიმპია	-5,0	ესპანიოლი	-1,05
733	ცსკა (რუსეთი)	-1,25	ვიბორგი	-2,8
734	ცსკა (ბულგ.)	-1,7	მტკ	-1,7
735	გენიონი	-1,55	ირაკლისი	-1,7
736	სლოვანი	-1,9	დინამო (ხორ.)	-1,5
737	ვორსკლა	-5,0	ბოავიშტა	-1,1
738	ლოზანა	-2,8	ტორპედო	-1,25
739	პოლონია	-5,0	უდინეზე	-1,05
740	როდა	-1,1	ინტერი (სლ.)	-3,5
741	აიკ	-1,2	ჰერფიოლგე	-2,8
742	ვიტესი	-1,15	მაკაბი	-3,5
743	ციურიხი	-2,1	გენკი	-1,4
744	მოლდე	-4,0	რაიო ვალეკ.	-1,1
745	ბრიუგე	-1,01	აპოელი	-10,0
746	ჰალმსტადი	-4,0	ბენფიკა	-1,15
747	კრივბასი	-5,0	ნანტი	-1,05
748	რაპიდი (რუმ.)	-10,0	ლივერპული	-1,02
749	პობედა	-15,0	პარმა	-1,01
750	პაოკ	-1,2	ბეითარი	-2,8
751	ბრიონდბიუ	-1,15	ოსიეკი	-3,1
752	ალავესი	-1,15	გაზიანთეფი	-3,1
753	ტიროლი	-5,0	ფიორენტინა	-1,05
574	შტუტგარტი	-1,05	ჰართსი	-5,0
755	სელტიკი	-1,02	ჰიკ	-7,5
756	ჩელსი	-1,02	სენტ გალენი	-10,0
757	დუნაფერი	-5,0	ფეიენოორდი	-1,05
758	ლესტერი	-1,2	ცრვენა ზვ.	-2,8
759	პარტიზანი	-4,0	პორტუ	-1,1
760	რუხი	-7,5	ინტერი (იტ.)	-1,02
761	სლავია	-1,2	აკადემისკი	-2,8
762	სელტა	-1,02	რიეკა	-10,0
763	სარაგოსა	-1,1	ვისლა	-4,0

მიუთითეთ მხოლოდ ის გუნდი, რომელიც გაავა შემდეგ ეტაპზე.

წყვილის მთლიანად დაწერა საჭირო არ არის

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

რევაზ ჩხეიძე: ფული მაქვს, ოქრო მინდა

უცხოეთში მოთამაშე ქართველ კალათბურთელთაგან წინა სეზონში ერთადერთს, რევაზ ჩხეიძეს შეეძლო სხვა ქვეყნის ჩემპიონის ტიტულის მოპოვება, ჩხიროს „მბკ ოდესამ“ უკრაინული სუპერლიგის ფინალშიც გააღწია, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, სერია 2:3 დათმო ქართველთათვის კარგად ნაცნობ „ბკ კიევთან“ და შესაბამისად ჩვენებურიც ვიცე-ჩემპიონობას დასჯერდა.

სეზონთაშორის პერიოდში ჩხეიძეს თბილისში ველოდით, თავადაც ამბობდა, შვებულებას სამშობლოში გავატარებო, მაგრამ მოგვიანებით რევაზს შეეცვალა გეგმები, რაც, როგორც შევიტყვეთ, ფინანსებთან ყოფილა დაკავშირებული. ხმები დაირხა, ოდესელებმა პირი უტეხეს ჩხიროს და კუთვნილ ფულს უგვიანებენო. ეს ინფორმაცია ერთი შეხედვით სარწმუნოც ჩანდა, მაგრამ კალათბურთელთან პირადად დაკავშირება და საუბარი გვეწადა, რაც აქამდე ვერაფრით გვიხერხდებოდა...

ვუჩრამ დულიბენკოს ფოტო

რევაზ ჩხეიძე

— აკი შვებულებას თბილისში გატარებო...

— დარწმუნებული ვიყავი, ჩამოვიდოდი, მაგრამ, სამწუხაროდ, არ მომიხერხდა. როგორც მსურდა, ისე არ გამოვიდა ყველაფერი, გარკვეული პრობლემები შემექმნა.

— თუ არ ვცდები, ფინანსურ პრობლემას გულისხმობთ. ამბობენ, უკრაინელებმა ჩხეიძეს შეპირებული თანხა არ გადაუხადეს, დააღალატესო.

— ეგ ცოტა გაბუქებულია. არის სამართლის მარცვალიც, მაგრამ მთლად მასეც არ ყოფილა. აქაურებს ფულის მოცემაზე უარი არ უთქვამთ, მთელი სეზონის განმავლობაში სტაბილურად მაძლევდნენ გასამრჯელოს, მაგრამ ბოლოს მართლაც დამიგვიანეს ხელფასი. „მბკ ოდესას“ რაღაც პერიოდში ფინანსური კრიზისი ჰქონდა. კლუბის ხელმძღვანელობამ მობოდიშებით მითხრა, ასე და ასეა საქმე და გაგიგეო. მეც მდგომარეობის გამოსწორებას დაველოდე და არც წამიგია. ეგაა, სამშობლოში ველარ ჩამოვედი.

— ესე იგი, კლუბის ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესდა.

— შედარებაც არაა, ყველაფერი იდეალურად აეწყო და დარწმუნებული ვარ, ახალ სეზონში კიდევ უფრო ძლიერი გუნდი იქნება „მბკ ოდესა“. და, რაც მთავარია, კლუბმა სრულად დაფარა კალათბურთელთა დავალიანება.

— გავძლიერდითო, ამბობთ. მაინც რის ხარჯზე?

— შემადგენლობა საფუძვლიანად გადახალისდა, შარშანდელი გუნდიდან შვიდნი დავრჩით, შევსება კი საკმაოდ სოლიდური მივიღეთ. ორი მოთამაშე კიევის ცსკა-დან დავიმატეთ, ერთიც — დონეცკის „შახტიორიდან“. ყველაზე მნიშვნელოვანი შენაძენი ოდესელთათვის მაინც რუსი სობცოკოვია, ეს 210-სანტიმეტრიანი ცენტრი სარატოვის „ავტოდორიდან“ გადმოიბირეს.

— ამჟამად რამდენი ლეგიონერი ხართ გუნდში?

— სამნი. ადრე უკრაინულ კლუბებს ორი უცხოელის ყოლის უფლება ჰქონდათ, წლეულს ეს რიცხვი სამამდე გაზარდეს. ჩემს გარდა „მბკ ოდესას“ ორი უცხოელი ჰყავს, ორივე რუსი. ახალწვეული სობცაკოვი და პეტენიოვი, რომელიც ასევე ცენტრია ამპლუთი.

— საუბრის დასაწყისში გუნდს შეკრებებზე ვახლდიო, თქვით. აჯობებს, უფრო კონკრეტულად მოგვითხროთ...

— პირველად 15 ივლისს შევიკრიბეთ და თვის ბოლომდე ქვე, ოდესაში მოვემზადეთ. ძირითადად ფიზიკური და ტაქტიკური მეცადინეობები გვიტარდებოდა, ბოლოს ცოტა ბურთზეც წავიმუშავეთ და ჩეხეთში გავემგზავრეთ ტურნირზე, სადაც ორი ადგილობრივი, თითოც ავსტრიული, პოლონური და ბელგიური გუნდები გვყავდა მეტოქეებად. „მბკ ოდესა“ საკმაოდ დამაჯერებლად გამოვიდა ამ ტურნირზე, ყველა მატჩი მოვიგეთ და პირველობაც არავის დავუთმეთ. ამის შემდეგ ისევ ოდესაში გავაგრძელეთ წვრთნა, მერე კი პოლონეთს ვეწვიეთ და იქაურ გუნდებთან ვისპარინგეთ. არც პოლონეთში წაგვიგია, მოსამზადებელი ეტაპი დღემდე დაუმარცხებლად გავიარეთ. ახლა ერთი კვირით ბულგარეთში მივემგზავრებით და შევეცდებით, ასევე გავაგრძელოთ.

— საწვრთნელ შეხვედრებში დიდ ხანს გიწევდათ მოედანზე ყოფნა?

— იმას არ გეტყვით, სულ ძირითად ხუთეულში ვიყავი-მეთქი, თუმც მწვრთნელი საკმაოდ მათამაშებდა. ჩემს ამპლუაში, უკანა ხაზში, სულ ხუთნი ვართ, თანაც მეტ-ნაკლებად თანაბარძალისანი და ამიტომ სათამაშო დრო ხუთივეზე რაციონალურად ნაწილდება. ყოველ შემთხვევაში, სპარინგ-მატჩებში ასე იყო.

ახალი სეზონიდან, მოგეხსენებათ, ახლებური წესები ამოქმედდება, ათწუთიანი ტაიმები იქნება, მეტოქის ნახევარზე რვა წამში უნდა გადაიტანო ბურთი, შეტევის განვითარებისათვის განკუთვნილი დროც ოცდაოთხ წამამდე შემცირდა... ყოველივე ეს მოთამაშისგან ორმაგ ძალისხმევას მოითხოვს, რადგან კალათბურთი ერთიორად პროდუქტიული გახდება, ამასთანავე, გაცილებით სწრაფი და ძალისმიერი. ასეთ პირობებში მოთამაშე ფიზიკურად ძალიან ძლიერი უნდა იყოს, სხვანაირად გაუჭირდება თამაში. ყოველივე ეს „მბკ ოდესას“ მწვრთნელებმაც კარგად იციან და ადრინდელთან შედარებით მოთხოვნებმა ძალიან იმატა.

— საუბარს შევყევით და ლამის დამავიწყდა მეკითხა — უკვე განახლეთ კონტრაქტი „მბკ ოდესასთან“?

— სადღეისოდ თავისუფალი აგენტი ვარ, მაგრამ აქედან წასვლას არ ვაპირებ. უფრო სწორად რომ ვთქვა, ოდესელები მოწადინებულნი არიან, დამიტოვონ და არც მე ვარ წინააღმდეგი. წინასწარი შეთანხმება მიღწეულია, კლუბის ხელმძღვანელობასთან უკლებლივ ყველა დეტალი შევათანხმე და დღეს-ხვალ ხელშეკრულება ოფიციალურად გაფორმდება. აქაურებმა მრავალწლიანი კონტრაქტი შემომთავაზეს, მაგრამ შარშანდელის მსგავსად ერთწლიანზე დავყაბულდი. სეზონის ბოლომდე „მბკ ოდესას“ საკუთრება ვარ-ქნები.

— სხვა კლუბებიდან არ გქონიათ მიწვევა?

— კონკრეტული წინადადებით მომმართა ისრაელის მეორე ლიგის ერთ-ერთმა გუნდმა, მაგრამ არ დავთანხმდი, ოდესაში დარჩენა მიჯობს. ისრაელიდან უმაღლესი ლიგის გუნდიც მეპატიჟებოდა, პირობებსაც კარგს მთავაზობდა, მაგრამ ჯერ უნდა გაგსინჯოთო, მითხრეს. ეს ვარიანტიც ვიუარე, გაურკვეველ სიტუაციაში ყოფნას ვარჩიე, არსად წავსულიყავი. თანაც უკრაინაში საკმაოდ მაღალი დონეა, აქაურობას კარგად შევეგუე და სათუოდ რაღად უნდა გამეხადა საქმე.

— როდის იწყება უკრაინული სუპერლიგა და რა მიზნებს ისახავს „მბკ ოდესა“?

— ჩემპიონატი 24 სექტემბერს იწყება, ჩემი გუნდის მიზანი კი ერთადერთი იქნება — ჩემპიონობა. ამას წინათ კლუბის ხელმძღვანელებთან გვქონდა შეხვედრა. მათ აღნიშნეს, რომ ნებისმიერი სხვა შედეგი წარუმატებლობა იქნება.

— როგორ ფიქრობთ, რეალურად შეუძლია „მბკ ოდესას“ ჩემპიონობა?

— რა თქმა უნდა, შეუძლია კი არა, უნდა შეძლოს. ოდნავ რომ გავემართლებოდა, ახალ გათამაშებას ჩემპიონის რანგში შევხვდებოდით, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა და წლეულს უნდა ავისრულოთ გულისწადილი. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ჩვენმა უშუალო კონკურენტმა, „ბკ კიევმა“ ორი წამყვანი კალათბურთელი — მედვედენკო და ხიჟნიაკი გაუშვა, კიდევ უფრო იზრდება „მბკ ოდესას“ შანსები. საკმაოდ მძლიერდა „ბუდიველნიკი“ და ვფიქრობ, ჩემპიონობაში ეს გუნდიც შეგვეცილება, მაგრამ რადაც უნდა დაგვიჯდეს, ოქრო ჩვენ უნდა დავისაკუთროთ.

გიორგი ბიკაშვილი

კრის მულინი

ინდიანამ მულინი დაინუნა

ეს სეზონთაშორისი პერიოდი შარშანდელი ფინალისტი „ინდიანა პეისერზისთვის“ ცვლილებების თვალსაზრისით ერთობ მრავალფეროვანი გამოდგა. ინდიანაპოლისელები თანდათან იშლებიან. ყველაფერი კი გუნდიდან ძველი მწვრთნელის, ლარი ბერდის წასვლას მოჰყვა. წარმატებული სამწვრთნელო კარიერის შემდეგ ლეგენდარულმა ლარიმ პენსიაზე გასვლა გადაწყვიტა. შემდეგ თავისუფალი აგენტის სტატუსით გუნდიდან წავიდა ერთ-ერთი წამყვანი კალათბურთელი, გამთამაშებელი მარკ ჯეკსონი. კლუბმა კიდევ ერთი ლიდერი, დეილ დევისი „პორტლენდს“ პორტიტველა ჯერმენ ონილში გაუცვალა, რითაც ყველას დაუმტკიცა, კურსი გაახალგაზრდავებისკენ ავიღეთო. და აი, სამშაბათს კლუბმა კიდევ ერთი ვეტერანი, კრის მულინი დაითხოვა.

მულინს ჯერ კიდევ აკავშირებდა კლუბთან კონტრაქტი, მაგრამ „ინდიანას“ მამებმა იგი ყოველგვარი ხელშეკრულებისგან გაათავისუფლეს და გზა დაულოცეს. როგორც კლუბის პრეზიდენტმა დონი ვოლშმა განაცხადა, მულინი იმ ასაკშია, რომ ჯერ კიდევ შეუძლია, სხვა გუნდი მოძებნოს. რაღა დარჩენია 37 წლის მულინს თავისი ბრწყინვალე კარიერის დაისზე...

მულინმა კარიერა „გოლდენ სტეიტში“ დაიწყო 1985 წელს და თორმეტი სეზონი ერთგულად ემსახურა ამ გუნდს. მისმა სნაიპერულმა თვისებებმა, ლამაზმა სანახაობრივმა თამაშმა და საკალათბურთო ინტელექტმა იგი თავისი დროის ერთ-ერთ თვალსაჩინო კალათბურთელად აქცია, ამიტომაც არავის გაჰკვირვებია, როცა იგი მაიკლ ჯორდანის, ლარი ბერდის, მეჯიქ ჯონსონის და სხვა დიდი კალათბურთელების გვერდით ბარსელონას ოლიმპიადაზე გამოჩნდა „დრიმ თიმის“ რიგებში. იქ მოპოვებული ოლიმპიური ოქრო მულინისთვის მეორე იყო. კრისი ოლიმპიური ჩემპიონი პირველად 1984 წლის ლოს ანჯელესის ოლიმპიადაზე გახდა — მაშინ, როგორც სტუდენტი. ოთხმოციან — ოთხმოცდაათიანი წლების მიჯნაზე რამდენიმე წლის განმავლობაში ფრთის ამპლუის მოთამაშეებში იგი მეორე გახლდათ ლარი ბერდის შემდეგ

კრის მულინმა თავისი კარიერის ჯერ-ჯერობით ბოლო სამი სეზონი „ინდიანაში“ გაატარა თავის მეგობარ, შემდეგ კი მასწავლებლად ქცეულ ლარი ბერდთან ერთად. თუმც ვერ ვიტყვით, რომ აქ ძველებურად ბრწყინავდა. ასაკმა თავისი გაიტანა და ბოლო სეზონში მულინის შედეგიანობა მატჩში საშუალოდ 5,1 ქულამდე დაეცა მაშინ, როცა თხუთმეტწლიან კარიერაში მას მატჩში საშუალოდ 18,4 ქულა მოუტანია თავისი გუნდებისთვის. მულინი „ოლ სტარის“ ხუთგზის მონაწილეა.

ირაკლი ფირაშვილი

ოლიმპიური ამბები

ბელგრადი ავსტრალიაში გადაიტანეს

იუგოსლავია 72:65 ლიტვა

იუგოსლავია: ბოდიროგა (17), რებრაჩა (12), ტომაშევიჩი (9), სტოიაკოვიჩი (8), ლუკოვსკი (7), დრობნიაკი (7), ობრადოვიჩი (5), შეჩანოვიჩი (4), ტარლაჩი (2), რაკოჩევიჩი (1)

ლიტვა: ტიმინსკასი (12), შტომბერგასი (12), ეინიკისი (9), შიშკაუსკასი (8), მასიულისი (7), იასიკევიჩუსი (6), გედრაიტისი (4), სონგაილა (4), მასკოლიუნასი (3), ჟ. ჟუკაუსკასი (2)

ავსტრალიაში ბევრი იუგოსლავიელი, კერძოდ კი სერბი ცხოვრობს. სამშაბათს მათი ნაწილი ქალაქ ვოლონგონგის საკალათბურთო დარბაზისკენ დაიძრა და იგი პირთამდე გაავსო. სერბები თვისტომთა ნაკრების საქმაგოდ მივიდნენ, რომლებიც საკონტროლოდ ეთამაშებოდნენ ლიტვას. ატლანტის ოლიმპიადის ვერცხლის (იუგოსლავია) და ბრინჯაოს (ლიტვა) პრიზიორების მატჩი მეტად დაძაბული და საინტერესო გამოდგა. სერბმა მაყურებელმა დარბაზში ისე იხმაურა, რომ ლიტველ კალათბურთელებს ნამატჩევს ათქმევინა — ისეთი შეგრძნება გვქონდა, თითქოს ბელგრადში ვთამაშობდითო.

მატჩის დასაწყისში იუგოსლავიის ცენტრმა ჟელკო რებრაჩამ დაჩაგრა მეტოქე-კოლეგები — ეურელიუს ჟუკაუსკასი და გინტარას ეინიკისი. ამის წყალობით მსოფლიოს ჩემპიონები ათი ქულით დაწინაურდნენ. ლიტველთაგან ტომას მასიულისმა გამოიღო თავი და ანგარიშში სხვაობა ერთ ქულამდე შემცირდა — 27:26. ტაიმი კი იუგოსლავიამ 40:37 მოიგო.

მეორე ტაიმი ლიტვამ უფრო აქტიურად დაიწყო და 34-ე წუთზე 60:53 გაიჭრა წინ. იუგოსლავიამ 7:0 მოიგო ორწუთიანი მონაკვეთი და ანგარიში გაათანაბრა. აქედან მოყოლებული წინ ხან ერთი გუნდი გადიოდა, ხან მეორე, ოღონდ ორ ქულაზე მეტით მეტოქეს ვერცერთი მოსწყდა.

მატჩის ბედი ბოლო ორ წუთზე გადაწყდა. გმირის შარავანდედით ბოლონიის „კინდერის“ იუგოსლავიელი უნივერსალი პრედრაგ დანილოვიჩი შეიმოსა. მან ზედიზედ ორი შეტევა დაასრულა ნახტომში ზუსტი სროლით და თავისიანებს გამარჯვება მოუტანა.

მატჩის შემდეგ იუგოსლავიის ნაკრების და საკრამენტო კინგზის ფორვარდმა პრედრაგ სტოიაკოვიჩმა აღნიშნა: „ძალიან კარგია, რომ ოლიმპიადის წინ ასეთი დაძაბული მატჩი ვითამაშეთ. ასეთი შეხვედრები პირველ რიგში ფსიქოლოგიურად გამზადებს“.

გეიზი ასანიძის ბედქვეშ

ავსტრალიას ტიტულოვანი და სახელოვანი სპორტსმენები არ აკლია და ამის გამო ქვეყნის ოლიმპიური მამები დიდ საგონებელში ჩავარდნენ. მათ ვერ გადაეწყვიტათ, ვინ დაენიშნათ ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალზე ავსტრალიის გუნდის მედროშედ.

და აი, სამშაბათს, გახსნამდე სამი დღით ადრე, გაცხადდა ავსტრალიელთა მედროშის ვინაობა. იგი არც ოლიმპიური და არც მსოფლიოს ჩემპიონი ან რეკორდსმენია, მაგრამ უდიდესი ოლიმპიური გამოცდილება აქვს. 35 წლის კალათბურთელ ენდრიუ გეიზისთვის სიდნეის თამაშები მეხუთე ოლიმპიადა იქნება. სწორედ ამ ფაქტორმა გადაწყვიტა მისი მედროშეობა.

გეიზი ავსტრალიის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელია. თავის დროზე ეროვნული საკალათბურთო ასოციაციაშიც უთამაშია. იგი ოლიმპიური ოჯახის შვილია — მამამისი ლინდსიც მონაწილეობდა რამდენიმე ოლიმპიადაზე, ჯერ როგორც მოთამაშე, მერე კი როგორც მწვრთნელი.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს გუნდის მედროშე ძალოსანი, ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს რეკორდსმენი გიორგი ასანიძეა.

„55-ე სკოლა“

გთავაზობთ გახანგრძლივებულ კლასგარეშე მომსახურებას I, II, III და IV კლასებისთვის. სათანადო დარგის კვალიფიციური პედაგოგები ძალღონეს არ დაიშურებენ, რათა ბავშვები დაახლოვონ ხელოვნების, მუსიკისა და ლიტერატურის საფუძვლებს; სურვილის მიხედვით ამეცადინონ ინგლისურ და/ან რუსულ ენებში, დაეხმარონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დავალებების დაძლევაში.

პატარები ისწავლიან ხელოვნების ისტორიის საწყის კურსს ლეგენდების თუ მითოლოგიის სახით. შესაძლებელია ანიმაციური ფილმის სპეციფიკის შესწავლა დაწყებით ეტაპზე. მსურველებს მიეცემათ საშუალება მონაწილეობა მიიღონ სატელევიზიო საბავშვო გადაცემაში „ჩიპო“

ცნობებისათვის დარეკეთ: 99 79 03 ლელა ჭავჭანიძე

მესამე და საუკეთესო

მარატ საფინი

დიდი სლემის ტურნირებზე ფარდა დაეშვა და საჩოგბურთო სეზონიც თანდათან დასასრულს მიუახლოვდა. წინ მხოლოდ ოლიმპიადა და დარბაზის სხვადასხვა სიძლიერის პირველობებია, რომელთაც ქალებიცა და კაცებიც მსოფლიოს ჩემპიონატებით დაავგირგვინებენ.

კაცებში წლის ბოლოს მსოფლიოს პირველ ჩოგნად წოდების ოთხი რეალური კანდიდატია — პიტ სამპრასი, გუსტავო კუერტენი, მარატ საფინი და მაგნუს ნორმანი. ეს კვარტეტი უახლოეს მდევრებს საკმაოდ დიდი უპირატესობით უსწრებს და სასწაული თუ არ მოხდა, მათ ვერავინ დაეწევა.

თავის მხრივ, თავად ამ ოთხეულიდანაც კუერტენი და ნორმანი უფრო თიხნარსა და შედარებით ნელ საფარზე თამაშის ოსტატებად შეიძლება ჩავთვალოთ, რომელთაც დარბაზში ხალიჩაზე წარმატებების მიღწევა მეტად გაუჭირდებათ.

ასე რომ, ძირითადი ბრძოლა, ისევე, როგორც აშშ-ის ღია პირველობის ფინალში, ალბათ მაინც პისტოლ პიტსა და ახალამოსულ რუს ვარსკვლავ მარატ საფინს შორის გაიმართება.

„ვერ ვიტყვი, რომ ეს ჩემი პრიორიტეტი იყოს ამჟამად, მაგრამ კლასიფიკაციაში პირველობა ამ სეზონს ნამდვილად დამიმშვენებდა. ჩემი მთავარი მიზანი უიმბლდონის მოგება და (დიდი სლემის ტიტულების რაოდენობის) რეკორდის გაუმჯობესება იყო, თუმცა უარს არც მასზე ვიტყოდი“ — განაცხადა სამპრასმა ნიუ იორკში.

თავის მხრივ, საფინსაც არ დაუმალავს, რომ კლასიფიკაციის სათავეში მოქცევას და იქ რაც შეიძლება დიდი ხნით დამკვიდრებას აპირებს. „მას ყველაფერი გააჩნია, რაც ჩოგბურთში საბატონოდაა საჭირო, მთავარია, სურვილიც ჰქონდეს“ — ეს ისევ სამპრასის სიტყვებია, რომელმაც კვირას ფინალში საკუთარ თავზე იწვნია „რუსული დათვის“ ძალა.

ზემოხსენებულ ჩოგბურთელთა გარდა კიდევ 5-6 მოთამაშე უკვე ლისაბონის „მასტერსის თასზე“, იგივე მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრი დარჩენილი 4 საგზურისთვის იბრძოლებს. იქნება მათ შორის მსოფლიოს აწ უკვე ყოფილი პირველი ჩოგანი ანდრე აგასი, თუ ოჯახის გაუარესებულ ჯანმრთელობის მდგომარეობაზე იზრუნებს, ჯერ ძნელი სათქმელია.

ქალებს რაც შეეხება, ამ წუთისთვის პლანეტის საუკეთესო ჩოგბურთელი ვინუს უილიამსი ნუსხაში ისევ მესამე ადგილზე რჩება და ჰინგის-დევენპორტის გასწრებას დარჩენილ ორ თვეში ვეღარც მოახერხებს. შავი ოჯახის უფროს წარმომადგენელს პირველობის ოფიციალურად გასაფორმებლად თებერვლამდე მაინც მოუხდება ლოდინი.

ავთანდილ სვანიძე

კლასიფიკაცია

კაცები. ჩემპიონთა რბოლა 2000

1.3 პიტ სამპრასი (აშშ)	637
2.1 გუსტავო კუერტენი (ბრაზილია)	623
3.4 მარატ საფინი (რუსეთი)	615
4.2 მაგნუს ნორმანი (შვედეთი)	586
5.9 ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია)	435
6.6 ალექს კორეჩა (ესპანეთი)	422
7.5 ანდრე აგასი (აშშ)	418
8.8 ტომას ენკვისტი (შვედეთი)	402
9.7 ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი)	392
10.10 ტიმ ჰენმანი (ინგლისი)	321
11.12 ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი)	310
12.11 ფრანკო სკილარი (არგენტინა)	296
13.13 სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი)	282
14.14 პატრიკ რაფტერი (ავსტრალია)	250
15.16 მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია)	248
16.15 მარიანო პუერტა (არგენტინა)	244
17.17 უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა)	239
18.22 ნიკოლას კიფერი (გერმანია)	230
19.18 იუნეს ელ აინაუი (მაროკო)	210
20.32 არნო კლემანი (საფრანგეთი)	206
32.47 რიჩარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია)	169
41.85 ტოდ მარტინი (აშშ)	147

კლასიფიკაცია ძველი სისტემით

1.4 პიტ სამპრასი	3739
2.7 მარატ საფინი	3412
3.2 გუსტავო კუერტენი	3283
4.3 მაგნუს ნორმანი	3196
5.1 ანდრე აგასი	3020
6.5 ტომას ენკვისტი	2693
7.9 ლეიტონ ჰიუიტი	2404
8.6 ევგენი კაფელნიკოვი	2313
9.8 ალექს კორეჩა	2277
10.11 ტიმ ჰენმანი	1797

ქალები

1.1 მარტინა ჰინგისი (შვეიცარია)	5684
2.2 ლინდსი დევენპორტი (აშშ)	5414
3.3 ვინუს უილიამსი (აშშ)	4336
4.4 მარი პირსი (საფრანგეთი)	3139
5.5 მონიკა სელეში (აშშ)	2985
6.7 კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი)	2719
7.8 ნატალი ტოზია (საფრანგეთი)	2490
8.6 სერენა უილიამსი (აშშ)	2055
9.9 არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი)	1996
10.10 ანკე ჰუბერი (გერმანია)	1964
11.11 სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი)	1897
12.12 ამანდა კუტცერი (სამხრეთ აფრიკა)	1704
13.14 ანა კურნიკოვა (რუსეთი)	1661
14.15 დომინიკ ვან რუსტი (ბელგია)	1579
15.13 ამელი მორესმო (საფრანგეთი)	1560
16.17 ჩანდა რუბინი (აშშ)	1494
17.25 ელენა დემენტიევა (რუსეთი)	1467
18.16 ჯენიფერ კაპრიატი (აშშ)	1379
19.19 ემი ფრეზერი (აშშ)	1261
20.18 ჟული ალარი (საფრანგეთი)	1257
21.21 ნატალი დეში (საფრანგეთი)	1173
22.26 ლაიზა რეიმონდი (აშშ)	1136
23.20 ბარბარა შეტი (ავსტრია)	1131
24.23 სილვია ტალაია (ხორვატია)	1096
25.22 პატი შნიდერი (შვეიცარია)	1038
26.27 აი სუგიამა (იაპონია)	1032
27.24 ელენა ლიხოვცევა (რუსეთი)	1020
28.29 გალა ლეონ გარსია (ესპანეთი)	938
29.30 კიმ კლაისტერსი (ბელგია)	937
30.28 საბინე აპელმანსი (ბელგია)	934
31.33 მაუი სერნა (ესპანეთი)	925
34.43 ელენა დოკიჩი (ავსტრალია)	865
47.58 ჟუსტინ ენენი (ბელგია)	745

ვინ რამდენი $ მოიხვეჭა 2000-ში

1. მარატ საფინი	2 110 869
2. პიტ სამპრასი	1 924 598
3. გუსტავო კუერტენი	1 846 070
4. მაგნუს ნორმანი	1 388 029
5. ევგენი კაფელნიკოვი	1 193 209
6. ლეიტონ ჰიუიტი	1 150 172
7. ალექს კორეჩა	1 101 325
8. ტომას ენკვისტი	1 073 920
9. ანდრე აგასი	987 793
10. დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი)	936 637
11. სედრიკ პიოლინი	812 039
12. ტიმ ჰენმანი	707 923
13. უეინ ფერერა	699 624
14. პატრიკ რაფტერი	679 686
15. ტოდ ვუდბრიჯი (ავსტრალია)	662 871

1. ვინუს უილიამსი	2 030 650
2. ლინდსი დევენპორტი	1 995 484
3. მარტინა ჰინგისი	1 988 474
4. მარი პირსი	1 208 018
5. კონჩიტა მარტინესი	941 730
6. მონიკა სელეში	846 850
7. სერენა უილიამსი	839 818
8. არანჩა სანჩეს-ვიკარიო	696 639
9. ჟული ალარი	673 470
10. აი სუგიამა	620 535
11. სანდრინ ტესტიუ	507 384
12. ნატალი ტოზია	497 161
13. ლაიზა რეიმონდი	491 574
14. ანა კურნიკოვა	486 905
15. ანკე ჰუბერი	447 407

კარგია იალაღზე, სიმონ?!

სამშაბათს მრბოლებს „ვუელტას“ უძნელესი ეტაპი ელოდათ. რამდენიმე სხვადასხვა კატეგორიის სიძნელის მთის შემდეგ მათ ფინიშის ხაზი, უმაღლესი კატეგორიის სიძნელის ანგლირუზე უნდა გადაეკვეთათ. ანგლირუ ევროპის ათი ყველაზე რთული დაბრკოლებიდან ერთერთია და ესპანეთში „ჯოჯოხეთურ მთასაც“ უწოდებენ. აქ კარგა ხნის განავლობაში მხოლოდ საძოვრები იყო, მწყემსები ანგლირუზე ზაფხულობით აბალახებდნენ ხოლმე პირუტყვს. ჩვეულებრივი მოკვდავებიდან სხვას არავის მოაფიქრდებოდა ანგლირუზე ასვლა, მანქანითაც კი, ველოსიპედზე ლაპარაკიც ზედმეტია — ჯოჯოხეთური მთის მწვერვალისკენ ხომ მხოლოდ საცალფეხო ბილიკები მიემართება.

ჯილბერტო სიმონმა გაილაღა

და აი, შარშან „ვუელტას“ ორგანიზატორებმა იქ გზა გაიყვანეს, მოაასფალტეს და მრბოლებს უთხრეს, იწვალეთ, რამდენიც გინდათ, მაგრამ მადრიდში სხვანაირად ვერ მოხვდებით, აქ თუ არ გაიარეთო. ჰოდა, ვისაც შეჯიბრის დამთავრება სურდა, ყველამ შეუტია ამ აღმართს, რომლის დახრილობაც ალაგ-ალაგ 23 პროცენტსაც კი აჭარბებს. შარშანდელი ეტაპი ბანესტოელმა ხოსე-მარია ხიმენესმა მოიგო. წლეულს იგი ტრავმის გამო ნაადრევად გამოეთიშა ტურნირს, ასე რომ, ანგლირუს ახალი მპყრობელი უნდა გასჩენოდა.

„ვუელტას“ ჰიკი პირველმა იტალიელმა ჯილბერტო სიმონიმ დალაშქრა, თუმცა მასზე არანაკლებ გახარებული იყო ესპანელი რობერტო ერასი, რომელმაც საერთო ჩათვლაში ლიდერობა ერთობ განიმტკიცა.

„თუ რაიმე უბედურება არ შეემთხვა, „ვუელტას“ ჩემპიონი რობერტო ერასი გახდება“ — განაცხადა მისმა თანაგუნდელმა ხოსე-ლუის რუბიერამ ეტაპის დამთავრების შემდეგ. ერასმა, შეიძლება ითქვას, რბოლა მშვენივრად გააკონტროლა. თავიდან ათ კაცზე მეტმა რომ შეუტია (მათ შორის სიმონიმ), ლტოლვილებს უპირატესობის გაზრდის საშუალება მისცა (13 წუთს გადააჭარბა), რადგან მათ შორის კონკურენტი არავინ ეგულებოდა. თანაგუნდელები საწყისი ორი მთის (მესამე და მეორე კატეგორიის სიძნელეები) გადავლამდე დაეკავა, მერე კი ნებაზე მიუშვა. და „მწვანე მატარებელმაც“ ნელ-ნელა, ქშენა-ქშენით აკრიფა სიჩქარე.

მწვანეფორმიანელის ტემპს ფავორიტებმა ლა კოლადიელას მთაზე (პირველი კატეგორიის სიძნელე) გაუძლეს, მაგრამ შემდეგზე, იგივე სიძნელის ალტო დე კორდალზე ზოგიერთ მათგანს უკვე ძლიერ გაუჭირდა, რომ აღარაფერი ვთქვათ ოქროსფერი მაისურის ყოფილ მფლობელ აბრაამ ოლანოზე, რომელიც მთებში ისედაც ბრწყინავს. ჩამორჩა შარშანდელი „ვუელტას“ ვიცე-ჩემპიონი, ბასკი იგორ გონსალეს დე გალდეანოც. „ვიტალიციოს“ ლიდერმა ცოტა ხანში სულაც მიატოვა შეჯიბრი, რადგან მუხლის ძველი ტრავმა გაუმიზეზდა.

ანგლირუზე კი „კელმე“ სულ გაგიჟდა და ერასის მეტოქეებიც პანტაპუნტით გამოეთიშნენ ბრძოლას. სანტოს გონსალესი, რიშარ ვირანკი და კარლოს სასტრი მალევე მოიტოვეს უკან, თუმცა პაველ ტონკოვი და ანხელ კასერო კერკეტი კაკლები გამოდგნენ. პელოტონის მოწინავე ჯგუფი სწორედ ტონკოვის აქტიურობამ დაშალა — რუსი ერასთან ერთად გაექცა დანარჩენებს.

და როცა გზის დახრილობამ 23,6 პროცენტს მიაღწია, ესპანელმა რუსი მიატოვა და ფინიშისკენ გაფრინდა. მისი მდევარი კასერო ფინიშამდე ხუთი და მწვერვალამდე ოთხი კილომეტრით ადრე მეტოქეს დიდად არ ჩამორჩებოდა, მაგრამ მერე თითქმის ყოველ კილომეტრზე წუთი წააგო და არათუ ჩემპიონობა, შეიძლება მეორე ადგილიც დაკარგოს, რადგან ტონკოვი საკმაოდ მიუახლოვდა. თუმცა ფესტინელი დანებებას მაინც არ აპირებს და ეს ჟურნალისტებთან საუბარშიც დაადასტურა. „სანამ ცოცხლობ, იმედი უნდა გქონდეს. კიდევ დარჩა ეტაპები და კილომეტრები. ქარიც იქნება და ბოლოს ინდივიდუალური რბოლაც გველის. ასე რომ, ერასს თავი ქუდში ნუ ეგონება“ — თქვა კასერომ. ისე, ძნელია, 38-კილომეტრიან ინდივიდუალურ რბოლაში მეტოქეს დაეწიო. და თუ ერასმა ქარის და ჯგუფური წაქცევის გამო ალბასეტეს ეტაპზე წუთი წააგო, ამჯერად უფრო ფრთხილად იქნება და ისეთსავე ხაფანგში აღარ გაებმება.

ოქროსფერი მაისურის მფლობელი კი ანგლირუს ეტაპით სავსებით კმაყოფილია და აცხადებს, შეტევაზე აღარ გადავალ, რადგან ეს უპირატესობა საბოლოო გამარჯვებისთვის სავსებით საკმარისიაო.

გაიოზ თალაძვაძე

მეთექვსმეტე ეტაპი

ხიხონი — ანგლირუ, 168 კმ

1. ჯილბერტო სიმონი (იტალია, ლამპრე) — 4სთ 37წთ 34წმ
2. იან ჰრუსკა (ჩეხეთი, ვიტალიციო) — +2წთ 19წმ
3. რობერტო ერასი (ესპანეთი, კელმე) — +2წთ 58
4. ტომას ბროზინა (პოლონეთი, ბანესტო) — +3წთ 11
5. პაველ ტონკოვი (რუსეთი, მაპეი) — +4წთ 27

საერთო ჩათვლა

1. რობერტო ერასი — 55სთ 49წთ 53წმ
2. ანხელ კასერო (ესპანეთი, ფესტინა) — +3წთ 41
3. პაველ ტონკოვი — +4წთ 50
4. რაიმონდას რუმსასი (ლიტვა, ფასა ბორტოლო) — +6წთ 37
5. სანტოს გონსალესი (ესპანეთი, ონსე) — +7წთ 03

ანგლირუზე ასასვლელად უნდა მიაწვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორმაგი ძაგნიძე ძნელი დასაძლევია

ბათუმი. 14 სექტემბერი

დათვები — ლოკომოტივი 1

თბილისი. 14 სექტემბერი

უნივერსიტეტი — ასკ

დღეს, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მესამე წრის მესამე ტურის, ორი მატჩია. ბათუმში იქაური „დათვები“ „ლოკომოტივი 1“-ს უმასპინძლებს, ხოლო თბილისში ორი დედაქალაქური გუნდი — „უნივერსიტეტი“ და ასკ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ცხადია, ტურის ცენტრალურ მატჩად „დათვები“ — „ლოკომოტივი 1“ ითვლება, დღემდე ჩატარებულ ორ მატჩში რკინიგზელებმა ჩემპიონები სტუმრადაც და შინაც პირწმინდად დაამარცხეს და პირველობის მონაწილე ხუთი გუნდიდან ჩემპიონატს წაუგებლად ლიდერობენ, მაგრამ დღეს სავსებით შესაძლებელია, მათაც დამარცხების გემო იწვნიონ. ბათუმელებს ზურგს მოედნის ფაქტორი და ავადმყოფობით გამოწვეული შესვენების შემდეგ, გუნდში მოთამაშე მწვრთნელად დაბრუნებული ნუგზარ ძაგნიძე უმაგრებს. რას წარმოადგენს უფროსი „ბეყე“ ქართულ რაგბიში, ყველას კარგად მოგეხსენებათ. მატჩის წინ ორივე გუნდმა ჩინებული განწყობა შეიქმნა, წინა ტურში ხღვისპირელებმა ასკ-ს სძლიეს და თან პრემიალური ქულაც მოიპოვეს, ხოლო რკინიგზელებმა სათადარიგო შემადგენლობით მოთამაშე ვიცე-ჩემპიონები, თბილისის „ყოჩები“ დაამარცხეს.

დღეს კიდევ ერთი მატჩი გაიმართება, გათამაშების მაჩანჩალა „უნივერსიტეტი“ ასკ-ს დაუპირისპირდება. სტუდენტებს გამარჯვებით გამოწვეული სიხარული ჯერ არ სწვევიათ, თუმც ნავსის გატეხვას ამ ტურში შეეცდებიან, მით უმეტეს, რომ არმიულ კლუბს რაგბიდან სამუდამოდ მოკვეთილი, საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი მალხაზ ურჯუკაშვილი დააკლდება. მატჩს ალბათ მაინც ასკ მოიგებს, თუმც არა გვგონია, ამ ორ გუნდს შორის კლასში იმხელა სხვაობა იყოს, რომ ეს დაბეჯითებით ვამტკიცოთ. თუ სატურნირო ვითარებას გადავხედავთ, მატჩს „უნივერსიტეტისთვის“ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, თუ სტუდენტებს პლეი ოფში თამაში სურთ, დარჩენილი თეორიული შანსი მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ და თავიანთ ძირითად კონკურენტთან ასკ-თან პაექრობაში უპირობო გამარჯვებას უნდა მიაღწიონ, თანაც პრემიალური ქულის მოპოვებაზეც იზრუნონ.

გაჩო სვანიძე

სატურნირო ვითარება

	თ	მ	ფ	წ	ბ	პ	ქ
დათვები	10	8	0	2	187-110	5	37
ლოკომოტივი 1	8	8	0	0	179-83	2	34
ყოჩები	9	4	0	5	168-185	1	17
ასკ	10	3	0	7	142-185	0	11
უნივერსიტეტი	9	0	0	9	120-140	0	0

პ — პრემიალური ქულა

ასკ-ს დაჯლუბული აქვს ერთი ქულა

„დათვები“ — „ლოკომოტივი 1“-ის დღევანდელი შეხვედრა, ცხადია, დაძაბული კი იქნება, მაგრამ წინა სეზონის ბათუმური მატჩისგან განსხვავებით იმედია, უჩხუბრად ჩაივლის

ინდოჩინური ენდშპილი

ჩინეთში მსოფლიოს თასის გათამაშება თავიდანვე ფავორიტად შერაცხულმა ვიშვანათან ანანდმა მოიგო. ინდუსმა ბლიცპარტიები აღარ დაიჭირვა, ევგენი ბარეევთან შავებით ყაიმი უზრუნველყო და მეორე პარტიაში თეთრი ლაშქარი თამამი ზრახვებით გააწყო. ბარეევმა ვიშის შემოტევისა ალბათ თავიდანვე უწყოდა და პირველ სვლაზე მეტოქის მეფის პაიკმა ორუჯრიანი სკუპი რომ გააკეთა, მისმა მხოლოდ ერთი გაუბედავი ნაბიჯი გადადგა: ფრანგული დაცვა ბარეევს კარგად აქვს დამუღამებული, მეთოხედი საუკუნის მანძილზე მრავალჯერ გამოუყენებია წარმატებით.

ნაცად სადებიუტო გზებს პირველად ანანდმა გადაუხვია, ხარისხი დამმო და სამაგიეროდ ორი პაიკი მოიგო. შედეგად მისი ლაზიერის ფრთის პაიკთა წყობამ ჩინებული სახე მიიღო და მათი იერიში ინდოელის მთავარი კოზირი გახდა. შეტევა მაინცდამაინც გამანადგურებელი არ ყოფილა, მაგრამ ყოველი ფიგურის გაცვლა უპირველესად თეთრებს აძლევდა ხელს. ენდშპილში ანანდმა უპირატესობა განიმტკიცა და 38-ე სვლაზე ბარეევმა სულაც გამარჯვება მიუოლოცა მეტოქეს. დასკვნითი პოზიცია დიაგრამაზე გამოვსახეთ.

შავების ბოლო იმედის, გამსვლელი პაიკის დაღუპვა უცილო ჩანს. 38... მფe7-ს მოჰყვება 39. ეf5 და 40. ეe5+, რაც პარტიას უეჭველ წერტილს უსვამს. ბარეევი ამას ჩვენზე წინ მიხვდებოდა.

მაშ, 50 ათასი დოლარი ვიშის (კაცთა 238-ათასიანი საპრიზო ფონდიდან) და რამდენიმე შეკითხვაც მასმედიისგან. „მალე ნიუ დელის მსოფლიო პირველობისთვის მზადებას შევუდგები — განაცხადა ანანდმა. ფიდეს ჩემპიონატი იგულისხმება — სამშობლოში თამაშს პლუსებიც აქვს და მინუსებიც. ერთის მხრივ მეტი პასუხისმგებლობაა, მაგრამ ჩემი მხარდამჭერებისგან არ მომაკლდება დიდი სითბო. მანამდე ანანდი ავსტრალიაშიც უნდა წავიდეს, ალექსეი შიროვთან მისი საჩვენებელი მატჩი სიდნეის ოლიმპიადის საჩინო ფრაგმენტი იქნება და საერთოდ, ფიდეს სიდნეიში კიდევ რაღაც-რაღაცეები აქვს დაგეგმილი.

ქალთა თასი ჩინეთში დარჩა და ეს მოულოდნელი ამბავია არა იმიტომ, რომ ჩინელებმა ჭადრაკის თამაში არ იციან (ბოლო-ბოლო მსოფლიოს ჩემპიონი სიუ ჟუნია). უბრალოდ, ქსუ იუჰუას აქამდე ბევრი არავინ იცნობდა. ახალგაზრდა ჩინელმა მანდილოსანმა თავიდან ბოლომდე დამაჯერებლად იარა, იღბალიც ოდნავ მიეხმარა და ფინალის მეორე პარტია 74 სვლაში მოიგო. 21 წლის უკრაინელი ნატალია ჟუკოვა ამასწინათ ბათუმში ევროპის ჩემპიონი გახდა, მაგრამ ტიტულმა შენიანში ვერაფრით უშველა. პირველი ყაიმის შემდეგ მართალია, მეორე პარტია გაიწელა (ზემოთ 74 სვლა ვახსენეთ), მაგრამ თავიდან ბოლომდე ჩინელი ფლობდა უპირატესობას, ლაზიერების ენდშპილში ზედმეტი პაიკთ შეაბიჯა, მერე ჟუკოვამაც ერთი-ორი მიჰქარა და მასპინძელმა მოიგო. სხვათა შორის, ქალთა რვა მეოთხედფინალისტიდან ოთხი ჩინელი იყო. აღმოსავლეთის დიდ ქვეყანაში საჭადრაკო აღმავლობა შეინიშნება.





ვიშვანათან ანანდი

დავით გულუა

ბრაზილიური დუბლი სეკაში

CART

ევროპული ფორმულისა არ იყოს, ოკეანისგაღმა კარტის ჩემპიონატშიც ისე დაიძაბა სატურნირო მდგომარეობა, რომ სეზონის ფინიშამდე ოთხი ეტაპით ადრე პირველი ადგილისთვის ბრძოლა იქაც პრაქტიკულად ხელახლა იწყება.

ერთი თვის წინ ამერიკელი მაიკლ ანდრეტის ოცქულიან უპირატესობას თითქოს საფრთხე არ ემუქრებოდა, მაგრამ მოულოდნელი წაფორხილებით (ბოლო სამ რბოლაში მხოლოდ ერთი ქულის შოვნა შეძლო) ისე გაფლანგა მთელი წლის ნაღვაწი, რომ მარტო ლიდერობას კი არა, იქნებ მეორე ადგილსაც გამოემშვიდობოს.

კალიფორნიაში, მონტერეის ავტოდრომ „ლაგუნა სეკაზე“ გამართული მორიგი, მე-16 რაუნდი როჯერ პენსკეს გუნდის „რეინარდ-ჰონდას“ შთამბეჭდავი დუბლით დასრულდა. 25 წლის ბრაზილიელმა ჰელიო კასტრონევესმა 106-წუთიანი რბოლის ფინიშთან სულ რაღაც წამით მიასწრო თანამემამულე-თანაგუნდელ ჟილ დე ფერანს, თუმცა 32 წლის ვეტერანისთვის მეორე ადგილიც საკმარისი აღმოჩნდა საერთო ჩათვლაში ლიდერობის ხელში ჩასაგდებად. ფერანს სადღეისოდ 132 ქულა აქვს და ექვსით უსწრებს ანდრეტის. შემდეგ მოდიან პოლ ტრეისი (კანადა) — 122, ადრიან ფერნანდესი (მექსიკა) — 118, კენი ბრაკი (შვედეთი) — 116.

წლეულს მესამე ეტაპის მოგებით კასტრონევესმაც საგრძნობლად გაიუმჯობესა მდგომარეობა (101 ქულით ამჟამად მეშვიდეა) და საპრიზო ადგილზე გასვლის შანსიც გაუჩნდა.

პენსკეს პილოტებმა კალიფორნიაში მოპოვებული გამარჯვება ყოფილი თანაგუნდელის, გონსალო როდრიგესის ხსოვნას მიუძღვნეს. 27 წლის ურუგვაელი შარშან სწორედ „ლაგუნა სეკაზე“ რბოლის წინა ვარჯიშისას დაიღუპა: 220 კმ/სთ სიჩქარეზე მის ბოლიდს აქსელერატორი გაეჭედა და საშინელი ძალით შეენარცხა ბეტონის ბარიერს.

გია ახალაძე

ჰელიო კასტრონევესი

FEDEX CART

მე-16 ეტაპი

მონტერეი (კალიფორნია, აშშ)
ავტოდრომი „ლაგუნა სეკა“
83 წრე — 300 კმ.

1. (20 ქულა) ჰელიო კასტრონევესი (რეინარდ-ჰონდა) — 1.46.11,8;
2. (16) ჟილ დე ფერანი (რეინარდ-ჰონდა) — ჩამორჩა 0,95 წამით;
3. (14) დარიო ფრანკიტი (რეინარდ-ჰონდა) — 2,62;
4. (12) ბრაიან ჰერტა (რეინარდ-ფორდი) — 4,42;
5. (10) კენი ბრაკი (რეინარდ-ფორდი) — 5,16;
6. (8) ხუან მონტოია (ლოლა-ტოიოტა) — 7,30;
7. (6) მაურისიო გუჟელმინი (რეინარდ-მერსედესი) — 14,81;
8. (5) ჯიმი ვასერი (ლოლა-ტოიოტა) — 20,90;
9. (4) პატრიკ კარპენტერი (რეინარდ-ფორდი) — 21,61;
10. (3) კრისტიან ფიტიპალდი (ლოლა-ფორდი) — 22,29;
11. (2) პოლ ტრეისი (რეინარდ-ჰონდა) — 23,22;
12. (1) ადრიან ფერნანდესი (რეინარდ-ფორდი) — 23,50.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვალ

სიდი, მილი და ოლი, სამი ეგზოტიკური არსება მწვანე კონტინენტიდან, სიდნეის ოლიმპიადის სამი სიმბოლო ოლიმპიური ბარკის შუაგულში დგას და ყოველ მსურველს შეუძლია მათთან სურათის გადაღება. იხვნისკარტა, იქედნე და კუკაბარა მეტად კეთილნი და მხიარულნი ჩანან.

ამასობაში კი სიდნეის უახლოვდება ავსტრალიის მიწაზე მოგზაურობით მოქანცული ოლიმპიური ცეცხლი. ჩირაღდნის მტვირთველმა დებრა ტინსონმა სოფელ ნარომაში, რაიც ახალი სამხრეთ უელსში ძევს, ჩირაღდანი მხცოვან აბორიგენ ბებოს ელდერ აგნეს ჰარისონსაც დააჭერინა ხელში.

ოლიმპიურ სოფელში კი პირველი დღეობა გაიმართა: ფრანგმა სპრინტერმა კრისტინ არონმა მზრუნველად მოუჭრა ტორტი თავის საქმროს დან ფილიბერს.





ერთი, ორი, და... ჰოპ

შლეგ პარაშუტისტთა ამბავი ყველას მოეხსენება. ამოარჩევენ შიშისმომგვრელ ადგილებს და ჰოპ! ავსტრალიელ ფელიქს ბაუმგარტნერსა და შვეიცარიელ ული გეგენშაცს ბრიტანეთის მთავრობის ნებართვა დასჭირდათ, რათა ედინბურგის ფორსროუდ ბრიჯის კენწეროდან გადმომხტარიყვნენ. ეს იყო პირველი წყვილური ნახტომი ბრიტანეთის ტერიტორიაზე. ნებართვა მიიღეს, 156 მეტრის სიმაღლეზე აფორთხდნენ და გადმოეშვნენ. პარაშუტები გაიხსნა.

გამოსცურეს

აჰა, გამოსცურეს საუთჰემპტონიდან. გუშინ დაიწყო „ბითი გლობალ ჩელინჯი“, მსოფლიოს ყველაზე თავზეხელაღებული სანაოსნო შეჯიბრი. ზურგქარი, ძმანო!

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაძიშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის რედაქცია გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge